ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐ Გვ. 10

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲗ ᲪᲝᲓᲜᲐᲡ Გვ. 46

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲡᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐ ONLINE Გვ. 40

ᲤᲝᲥᲡᲢᲠᲝᲢᲘ ᲗᲝᲕᲚᲖᲔ Გვ. 34

ᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲟᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ Გვ. 30

GOOGLE GLASS-ᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ Გვ. 74

ᲚᲘᲑᲔᲗᲐᲚᲘ

№ 150 / ᲐᲞᲠᲘᲚᲘ / 2014

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲚᲐᲠᲘ

ISSN 1987-7528

9 771987 752008

1737
2014

ᲨᲘᲛᲐᲡ ᲑᲐᲓᲔᲗᲩᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

Გვ. 22

IOTA iOS-ISTVIS

ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

IOTA iOS-ISTVIS საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს წიგნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touc

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTune-ზე მოძებნეთ „IOTA READER"

lit.ge

ლიბერალი

№ 150 / აპრილი / 2014

მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ზურაბ ვარდიაშვილი

ჟურნალისტები:
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ქეთევან ღვედაშვილი, სალომე გორგოძე

კონტრიბუცია:
ვასილ კუჭუხიძე, ესაუბრა სილვია შტიობერი, თამარ ცაგარეიშვილი, ნათელა გრიგალაშვილი, ნინო ნატროშვილი, მარიკა ლაფაური-ბურკი, დავით ბუხრიკიძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
სტილისტ-კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:
შპს „ლიბერალი"

პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:
ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:
გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით:
247 02 46

www.liberali.ge

29818

რედაქტორის სვეტი

გასული კვირის განმავლობაში თბილისის გულში, მმართველი პარტიის ოფისთან, ორმა სასოწარკვეთილმა ადამიანმა სხვადასხვა დღეს თავის დაწვა სცადა. სასოწარკვეთამდე ადამიანები რუსთავის მერიის ქმედებამ მიიყვანა. მამები, ვინც ოჯახის გამოსაკვებად რამდენიმეათასიანი კრედიტები აიღეს, მერიის მიერ ჩატარებული ტენდერის შემდეგ ულუკმაპუროდ და ვალაკიდებულები დარჩნენ. ეს ადამიანური ტრაგედიებია - ჩვენ გვერდით მცხოვრები მრავალი ოჯახის ადამიანური ტრაგედია.

ჟურნალისტებმა აქაც მოვახერხეთ და რუსთაველი მძღოლების საქმე პარტიული კინკლაობის საგნად ვაქციეთ. თითქმის არაფერი ვიცით იმის შესახებ, კონკრეტულად რამ მიიყვანა ორი ზრდასრული და შრომისუნარიანი მამაკაცი სუიციდის ამ სასტიკ და საჯარო ფორმამდე? რამდენი შვილი ჰყავთ? იქნებ მოხუცი დედ-მამისთვის წამლის ფული აღარ ჰქონდათ? საკუთარის გარდა რამდენიმე სხვა ოჯახსაც ხომ არ არჩენენ?

სამაგიეროდ, გულდასმით გამოვიძიეთ, რომელ პოლიტიკოსებს სად და რამდენჯერ შეხვედრიან, ვისთან ერთად გადაუღიათ ფოტოები.

იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერში პოლიტიკური კონტექსტის ძიება ხშირად მთავარს გვავიწყებს - რომ პოლიტიკაა ადამიანისთვის და არა პირიქით - ადამიანი პოლიტიკისთვის.

„ლიბერალის" ამ ნომრის მთავარი თემა ადამიანური ისტორიებია. ისინი სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში ცხოვრობენ, მაგრამ საერთო ბედისწერა აქვთ: მათ ის საქმე იციან, რასაც საქართველოში მხოლოდ თავიანთ მშობლიურ ადგილებში თუ გააკეთებენ. ბევრ მათგანს პროფესიის არჩევაზე არც უფიქრია – ტყიბულში თუ დაიბადე, მეშახტე უნდა იყო, ჭიათურაში – მაღაროელი. უმეტეს შემთხვევაში მათი მამები და ბაბუებიც ამ საქმეს მისდევდნენ.

წაიკითხეთ, როგორ ცხოვრობენ, რას ფიქრობენ და რაზე ოცნებობენ ადამიანები, ვის შესახებაც ფეისბუქსტატუსები არაფერს ჰყვებიან. ვცადოთ, იქნებ ერთად მოვხადოთ მათ უჩინმაჩინის ქუდები.

ირაკლი აბსანძე, მთავარი რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი თემა

შიმა გადარჩენისათვის

შესაძლოა კომპანიასა და მუშებს შორის გარკვეული შეთანხმება შედგა, თუმცა ისიც უნდა გავიაზროთ, რეალურად რას ითხოვდნენ საწარმოს თანამშრომლები და საბოლოოდ რა მიიღეს: მუშების რა მოთხოვნები დაკმაყოფილდა სრულად, რა - ნაწილობრივ და არ დაკმაყოფილებულა საერთოდ. გაფიცვების დროს ითხოვდნენ 152 ადამიანის უპირობოდ აღდგენას, ხელფასების გაზრდასა და მენეჯმენტის ცვლილებას. ანუ შეიძლება ითქვას რომ ყველაზე კრიტიკულ მოთხოვნებზე მოლაპარაკება არ შედგა, არც ხელფასები გაზარდია ყველა მუშას. 152-დან მხოლოდ 80 დაუბრუნდა სამსახურს, მენეჯმენტი კი კომპანიას ისევ უცვლელი ჰყავს.

თათია ხალიანი, სოფო აფციაური
33.22

უსხოეთი

ხავეიდოვანი ანექსია და პუტინის ახალი დოქტრინა

16 მარტის ავტომატის ლულის ქვეშ ჩატარებულმა რეფერენდუმმა და 18 მარტის რუსეთის პრეზიდენტის კრემლში საჯარო გამოსვლამ, აშკარა გახადა, რომ მოსკოვი არათუ აღიარებს დაშვებულ შეცდომას, არამედ დასავლეთს თამაშის ალტერნატიულ წესებს სთავაზობს. 2007 წელს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლის დროს, საბჭოთა კავშირის დაშლის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეფასება პუტინს ნოსტალგიად ჩაუთვალეს, თუმცა მას შემდეგ გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა პუტინის მიერ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის მცდელობა დაგვანახა.

ვასილ კუჭუხიძე
33.12

განათლება

ჰობოჰ ვაბჰოვებთ ოოდნას

ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახორციელებს. მისი 2014 წლის ბიუჯეტი 23 227 000 ლარს შეადგენს. ფონდი საგრანტო დაფინანსებას მხოლოდ კონკურსის საფუძველზე გასცემს. მის მიერ გამოცხადებული სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის 20 საგრანტო კონკურსის შედეგად, გასულ წელს 822 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტი დაფინანსდა, რომლებზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 20 მილიონამდე ლარი გაიცა

სალომე გორგოძე
გვ.46

ფოტოპროექტი

დუხობოჰების ქვეყანა

ნათელა გრიგალაშვილი
გვ. 56-67

სამაჩთალი

უჯჰაინეე ღიდეჰებს ეჰ გაუმეოჰებიათ ის შეცდომები, ჰას საუჯაშვილმა დაუშვა.

ინტერვიუ 2009-2013 წწ. მოწვევის ბუნდესტაგის წევრთან კავშირი 90/ მწვანეებიდან ვიოლა ფონ კრამონთან

ევროკავშირის მხრიდან უკვე არსებობს საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების სწრაფად გაფორმების მზაობა და სურვილი. ბრიუსელი ყველა წინაპირობის შესრულებაში დარწმუნებული რომ არ იყოს, ასე არ მოიქცეოდა. ერთი მხრივ, ეს რუსეთზე წნეხის საშუალებაა, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მტკიცედ აცხადებს - ჩვენ მზად ვართ და სხვა ალტერნატივა არც განიხილება, ჩვენ სომხეთივით რუსულ კაპიტალზე არ ვიყიდებით და არც აზერბაიჯანი ვართ მისი კორუმპირებული ნავთობელიტით. საქართველოში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და ძალიანაც კარგია, რომ ასეა.

ირაკლი აბსანძე
გვ.20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

ფოტო: ალეკო ალფასიანი

06 **მოკლედ**

08 **ციტატები**

უცხოეთი

12 ხავერდოვანი ანექსია და პუტინის ახალი დოქტრინა

პოლიტიკა

16 9 აპრილის შემდეგ შეუძლებელი გახდა ხელების დაკაპიწება

18 მაპი არ ნიშნავს, რომ ალიანსი საქართველოს რომელიმე ნაწილს დაიცავს

20 უკრაინელ ლიდერებს არ გაუმეორებიათ ის შეცდომები, რაც საკაშვილმა დაუშვა

მთავარი თემა

22 შრომა გადარჩენისათვის

სამართალი

40 თვითმკვლელი პატიმრების გადასარჩენად

43 მართლმსაჯულება ONLINE

განათლება

46 როგორ ვაგროვებთ ცოდნას?

მედია

52 ჟურნალისტიკის მომავალი – წიგნი თუ „პომოჩები“?

ფოტოპროექტი

56 დუხობორების ქვეყანა

ტექნოლოგიები

66 Google glass-ის მოლოდინში

კულტურა

70 ფოქსტროტი თოვლზე

74 „ქრონოტოპოსი“ – „სამოთხის გასაღები“?

76 დაივიწყეთ ვენეცია

78 ტრუსები ჟანა დარკისათვის

სამართალი

თვითმკვლელი პატიმრების გადასარჩენად

სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყო და გასაკვირი არაა, თუ ომბუდსმენის ანგარიშში მისი შედეგები ვერ აისახა. თუმცა პენიტენციური სისტემა საზოგადოებრივი ყურადღების არეალში რჩება. ყოველი ძალადობრივი სიკვდილი, მათ შორის თვითმკვლელობაც საზოგადოებრივი განსჯის და პოლიტიკური დაპირისპირების ახალ ტალღას იწვევს, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის ყოველი მარცხი თუ წარმატება განსჯის საგანი კიდევ ბევრჯერ გახდება.

ზურაბ ვარდიაშვილი
33.40

ტელტეხა

ტრუსები ჟანა დარკისათვის

როცა ადამიანები ფსიქიკის მოსაწესრიგებლად მარკებს, მონეტებს, მცენარეებს, ან ნიჟარებს აგროვებენ, ეს არავის უკვირს. მათ კოლექციონერებს უწოდებენ და რაღაც უცნაური მოწიწებითაც კი ეპყრობიან. მაგრამ ვინმემ ტრუსების შეგროვება რომ დაიწყოს და მთელი სახლი ქალისა და მამაკაცის ფერადი ტრუსებით მორთოს, ალბათ ეს მთელი საზოგადოების განსჯის საგანი გახდება. უფრო „ფაქიზად“ და ფსიქოლოგიურად რომ ვთქვათ, პიროვნების ინტიმურ-ფეტიშისტურ მიდრეკილებებს ჩვენ აშკარა გამოწვევად აღვიქვამთ მაშინ, როცა ათასობით მკვდარი პეპლის, თუ გამხმარი მცენარეების წიგნებში ჩაკვრა ლამის მეცნიერულ მიდრეკილებად აღიქმება.

დავით ბუხრიკიძე
33.78

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

Part of the ProCredit Group

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ბეიმანული საბანკო გამოცდილება მსოფლიოს 22 ქვეყანაში

პროკრედიტ ბანკი

15 წელი საქართველოში!

*22 22 | 220 22 22 | procreditbank.ge

ამერიკელმა ექიმებმა შიდსით დაავადებული კიდევ ერთი ბავშვის განკურნება შეძლეს

ამერიკელმა ექიმებმა შიდსით დაავადებული კიდევ ერთი ბავშვის განკურნება შეძლეს. ახალშობილს დაბადებისთანავე ინტენსიური თერაპიული კურსი ჩაუტარდა. მკურნალობის კურსის დეტალები ბოსტონში, შიდსთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გამართულ კონფერენციაზე წარადგინეს. მედიკოსები ამტკიცებენ, რომ კალიფორნიაში მცხოვრები 9 თვის გოგონა სავარაუდოდ სრულად განიკურნა. მეცნიერების თქმით, ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ ვირუსის ორგანიზმში მყარად დამკვიდრებამდე სწრაფი თერაპიული ჩარევა, მისი დაძლევის საშუალებას იძლევა. გასულ წელს ანალოგიური მეთოდით მეცნიერებმა მისისიპიში მცხოვრები ახალშობილი გოგონას განკურნება შეძლეს.

ჩესეთი დიდი ჩვიანიდან გაჩისხეს

ჰააგაში გამართულ შეხვედრაზე, დიდი შვიდეულის ქვეყნების ლიდერებმა რუსეთი დიდი რვიანიდან გარიცხეს. შეერთებული შტატების, გერმანიის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იაპონიისა და კანადის, ასევე ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ლიდერებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთის ქმედებები ეწინააღმდეგება იმ საერთო ღირებულებებს, რის საფუძველზეც დიდი რვიანი შეიქმნა.

შეხვედრის შემდეგ დიდი შვიდეულის ქვეყნების ლიდერებმა სპეციალური განცხადებაც გაავრცელეს:

"ჩვენ, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის ლიდერები და ევროსაბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს ყველა ძალისხმევა ყირიმის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც უკრაინისა და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა. მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყირიმის რეფერენდუმის მხარდაჭერა მისი სტატუსის თაობაზე, რაც უკრაინის კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევაა".

ყირიმში ოფიციალურ ვალუტად ჩესული რუბლი გამოცხადდა

ყირიმში ოფიციალურ ვალუტად რუსული რუბლი გამოცხადდა. ეს გადაწყვეტილება ყირიმის უმაღლესმა რადამ მიიღო.

საინფორმაციო სააგენტო „Unian"-ის ცნობით, უკრაინული გრივნა ყირიმის ტერიტორიაზე 2016 წლამდე იმოქმედებს. „ყირიმის რესპუბლიკის ოფიციალური ვალუტა რუსული რუბლია. ამასთან, 2016 წლის 1 იანვრამდე ოფიციალური ვალუტა იქნება უკრაინული გრივნაც", – აღნიშნულია ყირიმის ე.წ. პარლამენტის პრესცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თურქეთის ხელისუფლებამ YOUTUBE-ის აჩრძალვა გადაწყვიტა

თურქეთის ხელისუფლებამ ვიდეოპორტალ Youtube-ის აკრძალვის გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების მიზეზი ვებგვერდზე ატვირთული ის ვიდეო გახდა, სადაც თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებისა და სამხედრო მაღალჩინოსნების შეხვედრაა ასახული.

ჩანაწერში ისმის ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის, დაზვერვის ხელმძღვანელისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მეთაურის ხმები. ისინი სირიის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შესაძლებლობაზე საუბრობენ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა მხარდამჭერებთან გამართულ შეხვედრაზე ფაქტობრივად დაადასტურა აღნიშნული ჩანაწერის ავთენტურობა. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ოპონენტები მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ მათ საიდუმლო შეხვედრის ჩანაწერიც კი გაავრცელეს.

მანამდე თურქეთში სოციალური ქსელი Twitter დაბლოკეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ეს აკრძალვა გააუქმა, თურქ მომხმარებელს მიკრობლოგზე ხელი ისევ არ მიუწვდება.

ახლო აღმოსავლეთში დაჩენ ჩარლზ ოფსკის ახალი ფილმი _ "ნოე" - აკრძალეს

ახლო აღმოსავლეთში დარენ არონოფსკის ახალი ფილმი „ნოე" აკრძალეს. არაბთა გაერთიანებული საემიროები, ყატარი და ბაჰრეინი იმ ქვეყნების სიაშია, სადაც ბიბლიური პერსონაჟის შესახებ გადაღებულ ახალ ფილმს ვერ იხილავენ.

არაბთა გაერთიანებული საემიროების ეროვნულ კინოცენტრში განაცხადეს, რომ ფილმი ისლამურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. ანალოგიური განცხადებები გააკეთეს ეგვიპტეში, პაკისტანსა და ტუნისშიც. ფილმის გადაღება, რომელშიც ნოეს როლს რასელ ქროუ ასრულებს, 125 მილიონი აშშ დოლარი დაჯდა. კომპანია Paramount Pictures-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საცდელი ჩვენების დროს კინოსურათმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია კონსერვატულად განწყობილ ქრისტიანებშიც.

ახლო აღმოსავლეთსა და ისრაელში თავის დროზე ანალოგიური აკრძალვა დაწესდა მელ გიბსონის ფილმზე – „ქრისტეს ვნებანი".

ყველაზე სწრაფად ჩრობლემების გადაჭრა სინგაპურში და საქართველო მოსწავლეებს შეუძლიათ

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ



ჩატარებული ტესტირების შედეგების მიხედვით, პრობლემების გადაჭრა ყველაზე იოლად და სწრაფად სინგაპურელ და სამხრეთ კორეელ მოსწავლეებს შეუძლიათ.
კვლევა 44 ქვეყნაში ჩატარდა და მასში 15 წლის მოზარდები მონაწილეობდნენ. ტესტირების მიზანი იყო იმის შემოწმება, თუ რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს სკოლაში მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება. მაგალითისთვის მოწაფეებს მიაწოდეს ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის მატარებლის ბილეთების შესახებ, შემდეგ კი ყველაზე იაფი მარშრუტის გამოთვლა დაავალეს.
ევროპაში ყველაზე კარგი შედეგი ფინელ და ბრიტანელ ახალგაზრდებს ჰქონდათ. მათ შემდეგ იყო ესტონეთი, საფრანგეთი და ნიდერლანდები. ყველაზე ცუდი შედეგი ბულგარელმა, კოლუმბიელმა და ურუგვაიში მცხოვრებმა მოსწავლეებმა აჩვენეს. კვლევის ავტორების თქმით, ტესტი აჩვენებს, მომავალში რამდენად იოლად შეძლებენ ახალგაზრდები დასაქმებას.

ვატიკანის რადიომ 8000 უნიკალური აუდიოჩანაწერი გაასაჯაროვა

ვატიკანის რადიომ 8000 უნიკალური აუდიოჩანაწერი გაასაჯაროვა. ციფრულ არქივში ყველაზე ძველი ჩანაწერი 1884 წლით თარიღდება და ის რომის პაპ ლეო XIII ეკუთვნის. არქივში შესულია კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლების მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული ისტორიული სიტყვები. მათ შორის არის 1939 წლის აგვისტოში პიუს მეთორმეტეს სიტყვით გამოვსლის ჩანაწერი, რომელშიც რომის პაპი მოახლოებული ომის საფრთხეზე საუბრობს და ბენედიქტე მეთექვსმეტეს სიტყვა, რომელიც მან წმინდა საყდრის დატოვებამდე წარმოთქვა.

ᲮᲝᲩᲜᲔᲚᲘᲣᲡ ᲑᲣᲩᲚᲘᲢᲘ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲩ ᲛᲝᲬᲐᲩᲣᲚᲘ ᲜᲐᲩᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲑᲩᲣᲜᲔᲑᲡ

ბერლინში მცხოვრებმა 81 წლის კორნელიუს გურლიტმა, რომელიც ოჯახთან ერთად ათწლეულების განმავლობაში ნაცისტების მიერ მოპარულ ხელოვნების ნიმუშებს მალავდა, ნახატების კანონიერ მფლობელთათვის ან მათი შთამომავლებისთვის დაბრუნება გადაწყვიტა.
პირველი ტილო, რომელიც კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება ჰენრი მატისის – „ქალი სავარძელში/მჯდომარე ქალი“ იქნება, რომელიც პოლ როსენბერგის, ფრანგი არტდილერის შთამომავლებს გადაეცემათ.
ერთ-ერთ გერმანულ ტელევიზიასთან საუბარში გურლიტის ადვოკატმა განაცხადა, რომ გურლიტმა გულის ოპერაცია გაიკეთა, ის მალე გამოჯანმრთელდება და, შესაბამისად, განახლდება სხვა ნამუშევრებზე მოლაპარაკებები.
„კორნელიუსმა განაცხადა, რომ სურს ეს ნამუშევრები იმ ებრაელებს ან მათ შთამომავლებს გადასცეს, ვისაც ნახატები ეკუთვნოდა“, – აღნიშნა ადვოკატმა.
კორნელიუს გურლიტის მამა, ასევე არტდილერი, ნაცისტებთან მუშაობდა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მათ ევროპაში არსებული განძის დიდი ნაწილი იგდეს ხელთ. ნამუშევრები, რომელთა ღირებულება 1 მილიარდ ევროს აჭარბებს და რომლებიც მფლობელებს, მათ შორის ებრაელ კოლექციონერებს, 1930-იან და 1940-იან წლებში, როგორც „გადაგვარებული ხელოვნების“ ნიმუშები ჩამოერთვათ, გერმანელი კოლექციონერის ჰილდერბრანდ გურლიტის ხელში აღმოჩნდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის ვაჟს დარჩა.
ეს ამბავი 2013 წლის ნოემბერში გახდა ცნობილი.

როგორც კი სააკაშვილი ციხეში აღმოჩნდება, ევროპასთან ასოცირების პროცესი შეჩერდება, –

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად არ დგანან ნატოში გაწევრიანების გზაზე. არ არსებობს ნატოს დაუყოვნებლივი გაფართოების გეგმა, –

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა.

მე არ მინდა კონკრეტულად (გახმაურებული) საქმეები დავასახელო. თუმცა აშკარად ჩანს, კანონმდებლობის მიხედვით რომ მიღებულიყო გადაწყვეტილება, სხვა შედეგი გვექნებოდა. განაჩენი გამოტანილია პრაქტიკის გადახვევით და ჩემთვის ეს არასწორია. თუმცა ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ ეს მოსამართლის დამოუკიდებელი, ობიექტური გადაწყვეტილებაა, –

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი.

მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად ის, რომ ხდება ჩემი კრიტიკა, ჩემთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის. ამასთან ერთად ბიძინამ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ იყო გარკვეული თემები, რომლის თაობაზეც ჩვენ ვერ შევთანხმდით, რაღაც საკითხებზე ვერ მოხდა ბოლომდე შეთანხმება. იყო ინტენსიური მსჯელობები ამ საკითხების ირგვლივ, თუმცა მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ რასაც ვსაუბრობდით და განვიხილავდით ერთი მიზეზით არ ვაპირებ იმის საჯაროდ გამოტანას - ეს არის ურთიერთობები ჩემსა და ბიძინას შორის, და არა ჩემი და ბიძინას ურთიერთობები მედიის მეშვეობით, –

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
დაზღვევა
ჯიპიაი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი
დაიცავი ის, რაც შენთვის მნიშვნელოვანია
▪ დააზღვიეთ თქვენი სესხის შენატანი
▪ დაიზღვიეთ თავი სესხის გადაუხდელობით გამოწვეული დისკომფორტისგან
INSURANCE
Protect what you care for
თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით
227 27 27 | * 27 27
www.tbcbank.ge

რისგან შედგება შენი საარსებო მინიმუმი?



საარსებო მინიმუმის დღიური სასურსათო კალათა

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გამოყენებული ხატულები. thenounproject.com

JumpStart Ge

ავტორი: თათია ხალიანი, დიზაინერი: მარიამ ქობულაძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

"კეთილმოწყობის ღონისძიება", ანუ მილიონ-ნახევარი საპატრიარქოსთვის

1 430 962₾

2013 წელს თბილისის რაიონული გამგეობების ბიუჯეტიდან ეკლესიებისთვის გადარიცხული თანხა

* 2013 წლის მარტიდან

პროცენტული წილი კეთილმოწყობის ღონისძიების ბიუჯეტიდან

30 000 ლარი → 315 508 ლარი



75 000* — 6% დიდუბე

157 000 — 11% გლდანი

157 000* — 7% საბურთალო

75 000* — 4% ნაძალადევი

201 000 — 6% ვაკე

140 500* — 6% სამგორი

30 000 — 2% ჩუღურეთი

315 508* — 8% მთაწმინდა

187 000* — 26% კრწანისი

92 954 — 5% ისანი

კეთილმოწყობის ღონისძიებების ბიუჯეტიდან დაფინანსებული აქტივობები

სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა & შეკეთება

აივნების, სახურავების, ა.შ. შეკეთება

ხეების გადაბელვა

სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია

ეკლესია-მონასტრების ფინანსური დახმარება

წყარო: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).
კვლევა: "სახელმწიფო დაფინანსება მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებისათვის", 2013 წელი

გამოყენებული ხატულები: thenounproject.com

JumpStart Ge

ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი, დიზაინერი: ირაკლი ჭუმბურიძე (ჯამპსტარტ ჯორჯია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავეიდოვანი ანექსია და პუტინის ახალი დოქტრინა

16 მარტს ყირიმში გამართულ რეფერენდუმზე მისული მოსახლეობის თითქმის 97-მა პროცენტმა მხარი რუსეთთან შეერთებას დაუჭირა. რუსეთში „დაკარგული ტერიტორიის“ დაბრუნება დიდ გამარჯვებად იქნა შერაცხული და სახალხო ზეიმის მიზეზი გახდა. თუმცა უკვე აშკარად შეიძლება ყირიმის კრიზისი იმ კონფლიქტების სიას მივაკუთვნოთ, რომელსაც გამარჯვებული არ ჰყავს. თავად რუსეთისთვისაც კი, რომელიც დღეს მიღწეული წარმატებით ტკბება, არსებული ვითარება მომავალში დიდი ზიანის მომტანი იქნება.

ვასილ კუჭუხიძე

ყირიმში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების მერე, 16 მარტი 2014

ყირიმში რუსული შენაერთების შესვლის დღიდან დასავლეთის ლიდერების მხრიდან აქცენტი იმ პოლიტიკაზე გაკეთდა, რომელსაც პუტინი საკუთარ შეცდომაში უნდა დაერწმუნებინა. თუმცა 16 მარტის ავტომატის ლულის ქვეშ ჩატარებულმა რეფერენდუმმა და 18 მარტის რუსეთის პრეზიდენტის საჯარო გამოსვლამ კრემლში აშკარა გახადა, რომ მოსკოვი არათუ აღიარებს დაშვებულ შეცდომას, არამედ დასავლეთს თამაშის ალტერნატიულ წესებს სთავაზობს. 2007 წელს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლის დროს, საბჭოთა კავშირის დაშლის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეფასება პუტინს ნოსტალგიად ჩაუთვალეს, თუმცა მას შემდეგ გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა პუტინის მიერ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის მცდელობა დაგვანახა.

18 მარტის გამოსვლას პუტინის დოქტრინის სააშკარაოზე გამოტანაც კი შეიძლება დავარქვათ, რადგანაც რუსეთის პრეზიდენტმა ის პრინციპები გაახმოვანა, რომელსაც კრემლის საგარეო პოლიტიკა ემყარება. კერძოდ, ნათელი გახდა, რომ რუსეთი დასავლეთს პარტნიორად არ აღიქვამს. პუტინის მიერ გაჟღერებული ფრაზა, „რუსეთი არამარტო მოატყუეს, არამედ გაძარცვეს“, მიანიშნებს იმაზე, რომ კრემლი უნდობლობას უცხადებს დასავლეთს, მასთან თანამშრომლობას არ აპირებს და ურთიერთობის კონფრონტაციულ ფაზაში გაგრძელებას ამჯობინებს.

დროის მოკლევადიან პერსპექტივაში არჩეული კურსი პუტინისთვის რამდენიმე მიმართულებით იქნება მომგებიანი. პირველ რიგში, მან საკუთარი პერსონის გარშემო მოახდინა ყველა სამთავრობო ჯგუფის კონსოლიდაცია, რამაც მისი ძალაუფლების ბერკეტები გაზარდა. გარდა ამისა, უკანასკნელი გამოკითხვებით, ყირიმის ანექსიის შემდეგ პუტინის რეიტინგი მოსახლეობაში თითქმის 80%-მდე გაიზარდა, რაც მას საშინაო ასპარეზზე უფრო აქტიურად მოქმედების საშუალებას მისცემს. თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში კრემლს წინ სერიოზული გამოწვევები ელის. ამ გამოწვევათა ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზას დაადგება დასავლეთი რუსეთთან ურთიერთობაში.

დასავლეთის მხრიდან რეაქციის არაერთგვაროვანი და ფრაგმენტული ხასიათი გამომდინარეობს იმ დილემიდან, რომლის წინაშეც ამერიკელები და ევროპელები აღმოჩდნენ. ჯერ კიდევ ვერ მოხდა ერთიანი პოზიციის შეჯერება იმასთან დაკავშირებით, რომ მიუსხდნენ რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდას და შექმნილი კრიზისიდან გამოსავალი დიალოგის რეჟიმში ეძებონ, თუ კონფრონტაციის გზას დაადგნენ და მკაცრი და მასშტაბური სანქციებით მოახდინონ რუსულ ექსპანსიასთან დაპირისპირება.

ამ ეტაპზე სანქციები მხოლოდ რუსი ჩინოვნიკების საზღვარგარეთის საბანკო ანგარიშებს შეეხო, თუმცა დასავლეთს საკმაოდ მძლავრი ბერკეტები გააჩნია რუსეთის ეკონომიკურ ბლოკადაში მოსაქცევად. გამაფრთხილებელ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალის ევროკავშირის მხრიდან „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის

18 მარტის გამოსვლას პუტინის დოქტრინის სააშკარაოზე გამოტანაც კი შეიძლება დავარქვათ, რადგანაც რუსეთის პრეზიდენტმა ის პრინციპები გაახმოვანა, რომელსაც კრემლის საგარეო პოლიტიკა ემყარება. კერძოდ, ნათელი გახდა, რომ რუსეთი დასავლეთს პარტნიორად არ აღიქვამს. პუტინის მიერ გაჟღერებული ფრაზა, „რუსეთი არამარტო მოატყუეს, არამედ გაძარცვეს“, მიანიშნებს იმაზე, რომ კრემლი უნდობლობას უცხადებს დასავლეთს, მასთან თანამშრომლობას არ აპირებს და ურთიერთობის კონფრონტაციულ ფაზაში გაგრძელებას ამჯობინებს.

პროექტში მონაწილეობაზე უარის თქმა. 11 მარტს ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ეტინგერმა გერმანულ გამოცემა „Die Welt"-ს განუცხადა, რომ ბრიუსელი მოლაპარაკებებს წყვეტს მოსკოვთან შავი ზღვის ფსკერზე მასშტაბური პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. რუსული ეკონომიკა დიდწილად ენერგორესურსების ექსპორტზეა დამოკიდებული და ევროპის მხრიდან მასზე უარის თქმა ან მოთხოვნის მნიშვნელოვნად შემცირება მოსკოვს გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან რუსეთს არ გააჩნია ევროპის მასშტაბის დაკარგული ბაზრის ახლო მომავალში ჩანაცვლების პოტენციალი.

მართალია, მოსკოვი უკვე რამდენიმე წელია ცდილობს ალტერნატიული ბაზრის ჩინეთში მოძიებას, მაგრამ შეთანხმება ვერ ხერხდება. პეკინის მიერ შემოთავაზებული თანხაც და მოცულობაც საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, თუკი მხარეები შეთანხმებას შეძლებენ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნაც საკმაოდ დიდ დროს და ფინანსებს წაიღებს და რუსეთის მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს. რაც შეეხება იაპონიას, ტოკიომ საკმაოდ ხისტი პოზიცია დაიკავა რუსეთის მიმართ და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესების მოწოდება გაახმაურა.

არაპროგნოზირებადმა მომავალმა რუსეთის ეკონომიკაში გარკვეული რყევები უკვე გამოიწვია. ცენტრალური ბანკის მიერ რადიკალური ჩარევის მიუხედავად რუბლმა გაუფასურება დაიწყო. ასევე 12%-ით დაეცა რუსეთის SMI (Swiss Market Index). იოლი წარმოსადგენია, ეკონომიკური კრიზისის მასშტაბები რუსეთში მის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების შემოღების შემთხვევაში.

თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში რუსეთში საკმაოდ დიდი ინვესტიციებით შევიდა დასავლური კორპორაციები, რომლებიც ყოველწლიურად მილიარდობით დოლარის მოგებას ნახულობენ. შესაბამისად, მათი მმართველების ინტერესებში რუსეთსა და დასავლეთს შორის ფინანსურ-ეკონომიკური ხასიათის დაპირისპირება არ შედის და არსებობს მოსაზრება, რომ სწორედ ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ დაქირავებული ლობისტური ჯგუფები ცდილობენ ვაშინგტონსა და ბრიუსელში ეკონომიკური სანქციების საკითხის დღის წესრიგიდან ამოღებას.

რაც შეეხება აშშ-ს როლს არსებულ ვითარებაში, ანალიტიკოსთა ნაწილი ინონებს ბარაქ ობამას საკმაოდ გაწონასწორებულ პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში, მიაჩნიათ რა, რომ ნებისმიერი დაუფიქრებელი და აჩქარებული ნაბიჯი შეიძლება გლობალური შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი გახდეს. ობამას აუჩქარებლობის გასამართლებლად შესაძლოა 1805 წელს ნაპოლეონის მიერ წარმოთქმული ცნობილი ფრაზაც კი გამოდგეს – „არასოდეს შეუშალო ხელი მოწინააღმდეგეს, როცა ის შეცდომას უშვებს". მართალია, თეთრი სახლის თავშეკავებულმა პოლიტიკამ მსოფლიოს ააცილა დაძაბულობის ესკალაცია, მაგრამ თავად ამერიკის იმიჯს და ინტერესებს შეუქმნა საფრთხე. მაგალითად, ტაივანში, რომლის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი აშშ-ია, ყირიმის პრეცედენტმა სერიოზული რეზონანსი გამოიწვია, რადგანაც ტაიპეიში შიშობენ, რომ ჩინეთის ინტერვენციის შემთხვევაში, ვაშინგტონმა შესაძლოა აღებული გარანტიების შესრულებას უკრაინის მაგალითის მსგავსად თავი იქაც აარიდოს.

ასევე უკრაინის შემთხვევა შესაძლოა მაგალითი იყოს იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ღიად თუ ფარულად მუშაობენ ბირთვულ პროგრამებზე. 1994 წელს ბუქარესტის მემორანდუმით კიევმა ვაშინგტონიდან და ლონდონიდან მიღებული გარანტიების სანაცვლოდ უარი თქვა ბირთვულ იარაღზე და იგი რუსეთს გადასცა. დღეს კი ნათელი ხდება, რომ ბირთვულ შეიარაღებას ნებისმიერ გარანტიაზე უკეთესად შეეძლო დაეცვა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა. შესაბამისად, ყირიმის პრეცედენტიდან გამომდინარე, რთული იქნება მომავალში ნებისმიერი სახელმწიფოს დარწმუნება, უარი თქვას ბირთვულ შეიარაღებაზე ან მისი შექმნის მცდელობაზე. ამიტომაც ობამას შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ შემოთავაზებული ბირთვული განიარაღების ინიციატივის მომავალი პირველ რიგში უკრაინის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტირებას უნდა დაკავშირებოდა და არა რუსეთთან თანამშრომლობას.

არსებული ვითარებიდან ყველაზე დაზარალებული უკრაინა გამოვიდა. ყირიმის საკითხი შეიძლება ჩაითვალოს როგორც fait accompli და კიევს ძალა არ შესწევს რაიმე შეცვალოს, თუმცა არანაკლები გამოწვევები ქვეყანას წინ ელოდება. ჯერ კიდევ სტაბილურობის პერიოდში, 2013 წლის ზაფხულში უკრაინა სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე იდგა, რად-

■ ობამას აუჩქარებლობის გასამართლებლად შესაძლოა 1805 წელს ნაპოლეონის მიერ წარმოთქმული ცნობილი ფრაზაც კი გამოდგეს - „არასოდეს შეუშალო ხელი მოწინააღმდეგეს, როცა ის შეცდომას უშვებს". მართალია, თეთრი სახლის თავშეკავებულმა პოლიტიკამ მსოფლიოს ააცილა დაძაბულობის ესკალაცია, მაგრამ თავად ამერიკის იმიჯს და ინტერესებს შეუქმნა საფრთხე.

რეფერენდუმის დღე, 16 მარტი 2014

■ არსებული ვითარებიდან ყველაზე დაზარალებული უკრაინა გამოვიდა. ყირიმის საკითხი შეიძლება ჩაითვალოს როგორც **fait accompli** და კიევს ძალა არ შესწევს რაიმე შეცვალოს, თუმცა არანაკლები გამოწვევები ქვეყანას წინ ელოდება.

გან ვერანაირი გათვლით ვერ ახერხებდა 2014 წლისთვის ქვეყნის დეფოლტისგან გადარჩენისთვის აუცილებელი 64 მილიარდი დოლარის მობილიზებას. სწორედ ამ თანხისთვის რუსეთსა და ევროპას შორის ვაჭრობას შეეწირა იანუკოვიჩი. თუმცა ეკონომიკური პრობლემა მისი ქვეყნიდან გაქცევის შემდეგ არ გამქრალა. ის დროებით მთავრობას მემკვიდრეობით ერგო. მართალია, ევროკავშირი, აშშ და მსოფლიო სავალუტო ფონდი უკრაინას ფინანსურ დახმარებას შეჰპირდნენ, მაგრამ ყველაზე გულუხვი მოწყალების შემთხვევაშიც კი კიევს საჭირო თანხის უდიდესი ნაწილის მოძიება ქვეყნის შიგნით მოუწევს.

ამ ვითარებას ართულებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და სამოქალაქო დაპირისპირება. აღმოსავლეთ რეგიონებში საკმაოდ მძლავრი ანტისახელისუფლებო მუხტია და დაძაბულობის განეიტრალება ვერ ხდება, რადგანაც დროებითი მთავრობა უძლური აღმოჩნდა სრულად დაექვემდებარებინა სპეცსამსახურები, რომლებიც ერთი თვის წინ ქუჩაში ხოცავდნენ ამავე მთავრობის მხარდამჭერ მომიტინგეებს. ასევე სერიოზული დაპირისპირებაა თავად გამარჯვებულ გუნდს შორის. 25 მაისს დანიშნული არჩევნებისთვის განხეთქილება უკვე რამდენიმე ძალას შორის მოხდა. ვიტალი კლიჩკო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრ ტურჩინოვის ინფიჩმენტს ითხოვს და დროებით მთავრობას უნდობლობას უცხადებს. იულია ტიმოშენკო საკუთარ პარტიაში დაპირისპირებას წააწყდა და ძალებს იანუკოვიჩის ყოფილი მომხრეების გადმობირებით იკრებს, „მემარჯვენე სექტორი“ ყირიმის დაკარგვას იაცენიუკის წინდაუხედაობას აბრალებს და ა.შ. არჩევნების მოახლოების პარალელურად ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავდება და ქვეყანას ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური კრიზისის წინაშე აყენებს.

რუსეთი კი გარედან ცდილობს ისედაც დესტაბილიზირებული ქვეყნისთვის დამატებითი პრობლემების შექმნას. ბუნებრივი აირის გაძვირება და არსებული დავალიანების მოკლე ვადაში დაფარვის მოთხოვნა უკრაინის ეკონომიკურ გასაჭირს კიდევ უფრო ამძიმებს. გარდა ამისა, უკრაინის საზღვართან მობილიზებული ათიათასობით რუსი სამხედრო აღმოსავლეთ უკრაინაში ნებისმიერ დროს შეჭრის საფრთხეს ქმნის და ქვეყანას შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე მშვიდად კონცენტრირების საშუალებას არ აძლევს.

ასეთ ვითარებაში სტატუსქვოს შენარჩუნებით ყველაზე მეტად რუსეთი არის დაინტერესებული, უკრაინა კი ყველაზე სავალალო მდგომარეობაშია. მას ძალაც არ შესწევს რაიმეს შეცვლისა, ამიტომ დასავლეთი ვალდებულია უკრაინას მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინოს და ამით ხელი შეუშალოს ევროპის კონტინენტზე 45-მილიონიანი ნაცრისფერი ზონის შექმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 აპრილის შემდეგ შეუძლებელი ბახდა ხელების დაჭაპნება

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან

თქვენ რამდენჯერმე გითქვამთ, რომ ქვეყნისთვის კარგი იქნება და დემოკრატიასაც წაადგებათ თუ „ნაციონალური მოძრაობა", როგორც ხელისუფლებაში ყოფნის გამოცდილების მქონე პარტია ოპოზიციაში საარჩევნო ციკლს გაუძლებს და პოლიტიკაში დარჩება. ამითვის რას ურჩევდით „ნაციონალებს"?

ჩემი რჩევები სხვა პოლიტიკური პარტიის მიმართ ვერ იქნება ძალიან კონკრეტული. შემიძლია ზოგადი მოსაზრებები გამოვთქვა ამასთან დაკავშირებით. ცხოვრება იმაზე რთულია, ვიდრე წარმოგვიდგენია ხოლმე. მათ შორის პოლიტიკური ცხოვრებაც. ამიტომ ადამიანებს უნდა ჰქოდნეთ უნარი, თვალი გასუწორონ რეალობას. ეს რეალობა ხშირად არც ისე სასიამოვნოა. რეალობა არის ის, რომ ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური განაცხადი, რომელიც 2002- 2003 წლებში გაკეთდა, და რომლის სისწორეში მეც მყარად ვიყავი დარწმუნებული, ვერ შესრულდა. ამას საფუძველი მისცა არა მხოლოდ ობიექტურმა, არამედ ფუნდამენტურმა პრობლემებმაც.

ის, რაც დამკვიდრდა საქართველოში, ეს იყო ნეობოლშევიზმი. ამის პირველი ნიშანი იყო ის, რომ არსებობდა მხოლოდ შავი და თეთრი, გმირები და მტრები, ქვეყნის აღმშენებლები და პრორუსული აგენტები და ა.შ. მეორე თვისობრივი ნიშანი ნეობოლშევიზმის იყო ყველას და ყველაფრის გაკონტროლების სურვილი და მცდელობა, ყველაფრის ერთი ცენტრიდან მართვის სურვილი, ანუ ლენინური დემოკრატიული ცენტრალიზმის სერიოზული აღორძინება, როდესაც ყოველი ზემდგომი ყოველი ქვემდგომის სრული უფროსია და ქვემდგომს არანაირი უფლება არ აქვს. შემდეგი იყო ბოლშევიკური სისტემის თვითწმენდის ამბები, როდესაც ამ მონოლითიდან რაღაცა პერიოდში ვიღაცა უნდა განიდევნოს, რომ სისტემის თვითწმენდა მოხდეს.

სამწუხაროდ, ეს გაგრძელდა კიდევ რამდენიმე წელი. ამ წლებში მოხდა 2008 წლის ომი და კიდევ ბერი ცუდი რამ, რომლის გამოსწორებასაც არაერთი და ორი წელი, არამედ სახელისუფლებო ცვლილებების, საპარლამენტო არჩევნების რამდენიმე ციკლი სჭირდება. მაგრამ რა ვქნათ, ეს არის ჩვენი ქვეყანა. სხვა დროს ამ ქვეყანაში არც თუ ნაკლები მნიშვნელობის პრობლემები ყოფილა, მაგრამ ეს ჩვენი ბედია და ჩვენ წინ უნდა წავიდეთ. მივდივართ კიდეც.

როდიდან დაიწყო თავად სააკაშვილის „გაურჩხულების" პროცესი? მას შეეძლო დაემთავრებინა, როგორც, მაგალითად, მოდერნიზატორს, როგორც ათათურქს, მაგრამ დაამთავრა ისე, როგორც დაამთავრა.

ეს ყველაფერი 2003 წლის ნოემბერში მოხდა. მას განუსაზღვრელი ძალაუფლება ჩაუვარდა ხელში. მაშინ სააკაშვილისათვის განუსაზღვრელი ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომხრე მისსავე უახლოეს გარემოცვაშიც კი არავინ მეგულებოდა. ის პოლიტიკური სქემა, პოლიტიკური პროცესი, რომელიც არჩევნებამდე მიმდინარეობდა, სულ სხვა შედეგზე იყო ორიენტირებული. კერძოდ, შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ შევარდნაძეს თუ მის ფარულ პარტნიორებს არ უნდა ჰქონოდათ უმრავლესობა პარლამენტში და, შესაბამისად, პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელსაც დარჩენილი ჰქონდა პრეზიდენტობის კიდევ წელიწადნახევარი, უნდა გამხდარიყო იძულებული, გაეტარებინა ის კურსი, რასაც პარლამენტი მოსთხოვდა, მერე კი, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ქვეყანა უნდა ყოფილიყო თვისობრივად სხვა ვითარებაში. ანუ, პოლიტიკურ პარტიებს და ძალებს უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა და ქარიზმატული ლიდერების ეპოქა უნდა დამთავრებულიყო - ის, რის გაკეთებასაც ახლა ჩვენ ვცდილობთ.

რამ შეუშალა ხელი ამას? ვინ იყო ანტიგმირი?

ყველაზე დიდი ანტიგმირი, ცხადია, შევარდნაძე იყო, რომელსაც უკვე აღარ ჰქონდა უნარი გაეაზრებინა, რა ხდებოდა. ერთი მხრივ, წინა პლანზე მდგომი ანტიგმირი ჟვანია-ბურჯანაძე, რომლებმაც იმდენად ცუდი შედეგი აჩვენეს, რომ მათთვის სააკაშვილისთვის მისაღები

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა (მე პირველ ადგილზე და დანარჩენი – შევარდნაძისა და აბაშიძის ბლოკი - ქვემოთ), მიულებელი აღმოჩნდა. ამიტომ ტემპერატურის მომატება მათი მხრიდან იყო წამოსული. პროცესები მაშინ დაიწყო, როცა ფილარმონიაში შეიკრიბნენ და დაიძრნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჟვანია-ბურჯანაძე ანტიგმირი იყო, იმიტომ, რომ ისინი აღმოჩნდნენ ვითარებაში, როცა სიტუაცია უნდა გაემწვავებინათ.

ახლა, როცა უკრაინის პროცესებს აკვირდებით, სადაც სამი ექსპრეზიდენტი ერთად სხედან და ერთობლივ განცხადებებს აკეთებენ, ფიქრობთ თუ არა, რა დროიდან დავტრიალდით ამ დაწყევლილ წრეში, რომელშიც ისევ ვბრუნავთ? ეს ზვიად გამსახურდიას დროს დაიწყო?

მგონი, 9 აპრილს ჩვენ ის შეგვემთხვა, რაც რაღაც გარკვეული განვითარების კოდი აღმოჩნდა, რომელიც სისტემაში ჩაიტვირთა. ჩემი აზრით, 9 აპრილის მოვლენამ ძალიან ბევრი რამ განაპირობა, რაც დღემდეც მიმდინარეობს და გარკვეული მოვლენები შესაძლოა კიდევ წინ იყოს.

რა იყო ეს? პირველი - მაშინდელი ხელისუფლების წარმოუდგენელი უმეცრება. საქართველოს ხელისუფლებაში აღმოჩნდა წარმოუდგენლად შეუსაბამო ხალხი, რომლებიც ვერ დაუახლოვდნენ იმ რეალობას, რაც იქმნებოდა, ოდნავადაც ვერ აუღეს ალღო იმას, რაც მსოფლიოში ხდებოდა. 1988 წელს სრულიად აშკარა იყო, რომ სხვა რამისთვის უნდა მოემზადებულიყავით. სხვა ქვეყნებშიც იყვნენ კომუნისტი ლიდერები, რომლებმაც მიიხედ-მოიხედეს და რაღაცები შეცვალეს. აქ იყო უბედურება. ამან დაპირისპირება ისეთ ფაზაში გადაიყვანა, რომ ის აპრილით დასრულდა. 9 აპრილის მერე ბალტიისპირეთში ვხედავდით, რომ თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი მეტ დროს ატარებდა წიგნთან, ქაღალდთან, ჩვენთან კი ქუჩაში და სუფრაზე სადღეგრძელოებით ახალი სახელმწიფოს მშენებლობა და დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის ფუნდამენტის ჩაყრა ხდებოდა.

9 აპრილმა შემდგომისთვის ბევრი რამ განაპირობა. რუსთაველი მთლიანად სულიერებაში გადასული სამყარო იყო. ეს იყო სუპერ თანადგომის, სუპერ კეთილშობილების, სუპერ ერთიანობის გრძნობა. ეს აღარ იქნება და არც მინდა რომ იყოს. იმ უბედურებასა და ტრაგედიას მოჰყვა ყველაფერი. ამან შემდეგ ხელი შეუწყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის პროექტისადმი ძალიან ზერელე დამოკიდებულებას. ერთი მხრივ, სუპერ ტრაგედიის განცდამ და, მეორე მხრივ, ასე ემოციებში და სულიერ სამყაროში გადასულმა თემამ კიდევ უფრო დაგვაკარგვინა ქვეყნის შენების გეგმა. 9 აპრილის შემდეგ კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა ხელების დაკაპიწება. მოვიდა ხელისუფლება, რომელიც საერთოდ ხელისუფლება აღარ იყო. დილით იმიტომ ილვიძებდნენ, რომ გაეგოთ კიდევ რამდენ რაიკომის მდივანს აუჭედეს კარები. უხელისფლებობა არის ყველაზე უარესი რამ, რაც ქვეყანას შეიძლება დაემართოს. უხელისუფლებობას დიქტატორული ხელისუფლება ჯობს.

ესაუბრა ირაკლი აბსანძე

შემდეგი იყო ბოლშევიკური სისტემის თვითწმენდის ამბები, როდესაც ამ მონოლითიდან რაღაცა პერიოდში ვიღაცა უნდა განიდევნოს, რომ სისტემის თვითწმენდა მოხდეს. სამწუხაროდ, ეს გაგრძელდა კიდევ რამდენიმე წელი. ამ წლებში მოხდა 2008 წელის ომი და კიდევ ბერი ცუდი რამ, რომლის გამოსწორებასაც არაერთი და ორი წელი, არამედ სახელისუფლებო ცვლილებების, საპარლამენტო არჩევნების რამდენიმე ციკლი სჭირდება. მაგრამ რა ვქნათ, ეს არის ჩვენი ქვეყანა. სხვა დროს ამ ქვეყანაში არც თუ ნაკლები მნიშვნელობის პრობლემები ყოფილა, მაგრამ ეს ჩვენი ბედია და ჩვენ წინ უნდა წავიდეთ. მივდივართ კიდეც.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაპი არ ნიშნავს, რომ ალიანსი საქართველოს რომელიმე ნაწილს დაიცავს

ინტერვიუ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, ჯეიმს აპატურაისთან.

ჩვენ ხანდახან ერთმანეთში გვერევა საგნები. მაპი არ ნიშნავს იმას, რომ ალიანსი საქართველოს რომელიმე ნაწილს დაიცავს. ეს ქართველებმაც კარგად იციან, ისინი საუბრობენ ამის შესახებ და ვფიქრობ, თავადაც მოხარულები იქნებიან, თუ ამ ორ ასპექტს ერთმანეთისგან განვასხვავებთ. მაპი არაა დაკავშირებული კოლექტიურ თავდაცვასთან.

პრეზიდენტ ობამას ნათქვამმა, რომ საქართველო და უკრაინა ახლა ნატოს გზას არ ადგანან, საქართველოში ბევრი ადამიანი გააკვირვა და იმედი გაუცრუა. როგორია ამ საკითხზე ნატოს პოზიცია?

საქართველოში არავინ უნდა იყოს იმედგაცრუებული, რადგან ნატო-ს პოზიცია არ შეუცვლია. 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ძალაში რჩება. საქართველო ნატო-ს წევრი გახდება. ამერიკელები ამ გადაწყვეტილების ერთგულები რჩებიან. და მეორეც: ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა თქვა, რომ მას სჯერა, სექტემბერში დიდ ბრიტანეთში ნატო-ს სამიტზე საქართველო ნატოს მიმართულებით თვალსაჩინო ნაბიჯს გადადგამს. მას არ დაუკონკრეტებია, ეს რა იქნება, რადგან ამას თვითონ არ წყვეტს, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ საქართველომ ძალიან ბევრი რეფორმა გაატარა, მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია და რაღაც უნდა მოხდეს. მაგრამ, ამ „რაღაცას" ჩვენ სახელი უნდა დავარქვათ.

ისევ მაპზეა საუბარი თუ შესაძლოა ეს სხვა რამე აღმოჩნდეს? საპარტნიორო შეთანხმების რაიმე ფორმა ან სხვა რამ?

სწორედ ესაა შეკითხვები. ჩვენ გათვითცნობიერებულად ზედმეტად არ ვაკონკრეტებთ, რა შეიძლება ეს იყოს. ასეა თუ ისე, მაპი იქნება ეს თუ სხვა რამ, სექტემბრის სამიტმა რაც არ უნდა გადაწყვიტოს, დარწმუნებული ვარ ეს ნატოსკენ გადადგმნული მნიშვნელოვანი ნაბიჯი და საქართველოს წარმატებების აღიარება იქნება. ვიმედოვნებ, ქართველები ამაში დარწმუნდებიან. ველი, რომ ისინი კმაყოფილები იქნებიან იმით, რასაც ჩვენ გადავწყვეტთ – მაპი იქნება ეს თუ სხვა რამ.

უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია ამბობს, რომ საქართველო, მონტენეგროსთან, მაკედონიასთან და ბოსნიასთან ერთად, ასპირანტი ქვეყნების ჯგუფში შედის, რომელსაც უკრაინა არ განეკუთვნება. აქვს ეს სტატუსი საქართველოს?

ასპირანტი ქვეყნების რაიმე ფორმალური ჯგუფები ჩვენ არ გვაქვს. საქართველოსა და უკრაინას შორის კი ერთი თვალსაჩინო განსხვავება არსებობს. როგორც ვიცი, უკრაინა, როგორც ადრე, ისევე ახლა, ფორმალურად ნატო-ს წევრობისაკენ არ ისწრაფვის. რადაში არსებობს სათანადო კანონპროექტი, მაგრამ, გულწრფელად რომ ვთქვათ, ახლა არაა საუკეთესო დრო იმისთვის, რომ უკრაინამ ნატოს წევრობის სურვილის შესახებ განაცხადოს. ეს მაინცდამაინც გონივრული არ იქნებოდა.

საქართველო კი იმ ოთხი ქვეყნიდან და მნიშვნელოვანი პარტნიორებიდან ერთ-ერთია, ვინც ნატოს წევრობისკენ ისწრაფვის.

მნიშვნელოვანი საკითხი საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების, უფრო კი ნატო-ს წევრობის კონტექსტში ისაა, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელდება თუ არა პრინციპი, რომლის თანახმადაც ნატო-ს წევრი ქვეყნები ასეთ შემთხვევაში ალიანსის დაცვის ქვეშ ხვდებიან. ამას გვთავაზობდა ცოტა ხნის წინ თავის სტატიაში

ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენელი დემონ ვილსონი. შესაძლებელია ეს?

ჩვენ ივნისში გადავამოწმებთ ყველა ასპირანტ ქვეყანაში მიღწეულ წინსვლას. ამის შემდეგ დაიწყება დისკუსია საქართველოსთვის მაპ-ის მიცემის შესახებ.

ჩვენ ხანდახან ერთმანეთში გვერევა საგნები. მაპ-ი არ ნიშნავს იმას, რომ ალიანსი საქართველოს რომელიმე ნაწილს დაიცავს. ეს ქართველებმაც კარგად იციან, ისინი საუბრობენ ამის შესახებ და ვფიქრობ, თავადაც მოხარულები იქნებიან, თუ ამ ორ ასპექტს ერთმანეთისგან განვასხვავებთ. მაპი არაა დაკავშირებული კოლექტიურ თავდაცვასთან.

მაგრამ, თუ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, ეს ოკუპირებულ ტერიტორიებსაც მოიცავს?

ნატოს სპიკერად მუშაობის ექვსნახევარი წლის განმავლობაში ვისწავლე, არ ვუპასუხო შეკითხვებს, რომელიც „თუ"-თი იწყება. ახლა სერიოზულად: გეცოდინებათ, ინგლისურად ვამბობთ ხოლმე – ჯერ ხიდამდე უნდა მივიდეთ, რომ ის მერე გადავიაროთ. უახლოესი ხიდია – მაპ-ი ან რაიმე სხვა. ჩვენ აქედან რომელიმეს ავარჩევთ, მაგრამ არც ერთი არ ითვალისწინებს მე-5 მუხლის ვალდებულებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ გრძელდება სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვრის გამაგრება. სოჭის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ, საქაველოში ბევრი პრორუსული, ნატო-სადმი მტრულად განწობილი ჯგუფი გააქტიურდა. მიიჩნევა, რომ მათ პირდაპირ ან ირიბად რუსეთი უჭერს მხარს. ამის შესახებ ოპოზიციური და ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები ადრევე საუბრობდნენ.

წლებია საქართველოთი ვარ დაკავებული და ვგრძნობ, რომ ეს ძალიან პროდასავლურად განწყობილი ქვეყანაა. ამ შთაბეჭდილებას გამოკითხვებიც ადასტურებს.

სირთულეების მიუხედავად, ქართველებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დასავლური სახელმწიფოების ოჯახის წევრობა და ჩვენი ფასეულობების გაზიარება. ვერ ვიწინასწარმეტყველებ, რა და რა ფორმის ეფექტი შეიძლება მოჰყვეს დესტაბილიზაციის მცდელობებს, მაგრამ თუ რეგიონში არსებობს ქვეყანა, სადაც ეს მცდელობები ვერ იმუშავებს, ეს საქართველოა. პროცესი დიდ გავლენას ვერ მოახდენს. ეს საქართველოა!

მეორე მხრივ, საქართველოში მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებაა. თუ ლიბერალ-დემოკრატებმა, როგორიც, მაგალითად, ალასანიაა, დაპირებები ვერ შეასრულეს, შესაძლოა გაძლიერდეს ულტრა-კონსერვატული და ორთოდოქსული ძალები ...

დიახ, ეს რისკი არსებობს, მაგრამ ეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ და ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავებამ უნდა შეაკავოს. ევროკავშირის ბაზრის გახსნა და სტანდარტების გაუმჯობესება ქართულ ეკონომიკას გააძლიერებს. ეს მხოლოდ პროდასავლურ და მოდერნისტულ ძალებს კი არ გაძლიერებს, გააუმჯობესებს რიგითი მოქალაქეების მდგომარეობასაც.

საქართველომ აისაფ-ის მისიაში დიდი წვლილი შეიტანა. ავღანეთში ქვეყანა 1500 ჯარისკაცითაა წარმოდგენილი, მათგან 29 დაიღუპა. თუ ავღანეთის მთავრობა დასთანხმება, საქართველო მისიაში მონაწილეობის გაგრძელებას 2014 წელსაც აპირებს...

ჩვენ ძალიან ვაფასებთ საქართველოს წვლილს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველო იქცევა როგორც მოკავშირე, ნატოს წევრი. ჩვენ მოხარულები ვართ საქართველოს შემოთავაზებით, 2014 წლის შემდეგაც განაგრძოს მისიაში მონაწილეობა.

მთავარი გამოწვევა ავღანეთის მთავრობაა. ჩვენ არ ვიცით, გაგრძელდება თუ არა მისია და, თუ გაგრძელდა – როგორ. ავღანეთის პრეზიდენტობის კანდიდატები აცხადებენ, რომ ხელს მოაწერენ უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენს ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. მხოლოდ ხელმოწერაა საჭირო. პროცესი საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტურის დანიშვნამ შეიძლება გააჭიანუროს. მაგრამ, თუ ვითარება გეგმის მიხედვით განვითარდა, ველი, რომ საქართველო თავის წილ პასუხისმგებლობას აიღებს. დღეისათვის საქართველო ორმხრივი შეთანხმებების მისაღწევად სხვადასხვა ქვეყანასთან დისკუსიებში მონაწილეობს.

■ დიახ, ეს რისკი არსებობს, მაგრამ ეს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ და ევროპასთან ურთიერთობის გაღრმავებამ უნდა შეაკავოს. ევროკავშირის ბაზრის გახსნა და სტანდარტების გაუმჯობესება ქართულ ეკონომიკას გააძლიერებს. ეს მხოლოდ პროდასავლურ და მოდერნისტულ ძალებს კი არ გაძლიერებს, გააუმჯობესებს რიგითი მოქალაქეების მდგომარეობასაც.

ესაუბრა სილვია შტიობერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭველი ღიდეჩებს პრ გაუმეოჩებიათ ის შეცდომები, ჩას საუეაშვილმა დაუშვა

ინტერვიუ 2009-2013 წწ. მოწვევის ბუნდესტაგის წევრთან კავშირი 90/მწვანეებიდან ვიოლა ფონ კრამონთან

როცა უკრაინულ მოვლენებს ევროპიდან აკვირდებით, არ ფიქრობთ, რომ კრიზისის ასე გამწვავებაში ევროპას, უკრაინის მიმართ ორაზროვანი დამოკიდებულებით, დიდი ბრალი მიუძღვის?

ვფიქრობ, ევროკავშირმა შეცდომები დაუშვა, მაგრამ ამის მიუხედავად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პუტინი პროცესში ასე ბრუტალურად ჩაერეოდა. იანუკოვიჩი არჩევის დღიდან 4 წლის განმავლობაში, ყველა ვიზიტზე ლონდონში, პარიზში, ბერლინში მუდმივად ამტკიცებდა, რომ დასავლეთისკენ სვლის მომხრეა. ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებაც თავად მოახდინა, შემუშავებაში მისი ხალხი იყო ჩართული, უკანკი, პუტინთან შეხვედრის შემდეგ, რატიფიცირებამდე ერთი კვირით ადრე დაიხია. არავინ ელოდა ამას. უკრაინის სამოქალაქო საზოგადოებაც არ იყო სათანადოდ შეფასებული. არავინ ელოდა, რომ ავღანური წარმოშობის ჟურნალისტის მიერ ფეისბუქზე გავრცელებულ მოწოდებას მაიდანზე ათასობით ადამიანის შეკრება მოჰყვებოდა. და ეს, ერთი-ორი დღე კი არა, თვეები გაგრძელდებოდა. დასავლეთში ბევრი არც ინტერესდებოდა უკრაინით, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იქაურ ვითარებაზე. გულწრფელად რომ ვთქვათ, უკრაინა ჟურნალისტურადაც "დაჩაგრული" იყო. კიევში თითქმის არ იყვნენ უცხოეთის ახალი ამბების რედაქტორები, ჟურნალისტები. იანუკოვიჩის უკანდახევით ფრიად განცვიფრებულები დარჩნენ, მისი ფსიქოლოგიის არ ესმოდათ. არადა, იანუკოვიჩს ძალიან სწრაფად უნდა ეშოვნა ფული – უკრაინა თითქმის გაკოტრებულია და ეს კარგა ხანია ცნობილია. გამოსავალი მას პუტინმა შესთავაზა და 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მხარდაჭერაც აღუთქვა. იანუკოვიჩს ბევრი რამ აქვს დასამალი, ის უჩვეულოდ დიდი კრიმინალური ენერგიის მატარებელია – ბოლო წლებში საკუთარი ქონების მოსახვეჭად ყველაფერს აკეთებდა. ცხადია, ხელისუფლების შესანარჩუნებლად ის ყველაფერზე წავიდოდა, რომ მისი წინამორბედების ბედი არ გაეზიარებინა (რედ: იგულისხმება იულია ტიმოშენკო).

რითი გავს ერთმანეთს და რითი განსხვავდება 2008 წლის საქართველო და უკრაინული მოვლენები?

როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ცხადი გახდა, რომ პუტინი ყირიმის დასაბრუნებლად საომარი ქმედებებისთვის იყო მზად, დასავლეთმა უკრაინის ხელისუფლებასთან კარგად კოორდინირებული მუშაობა დაიწყო. ეს არ იყო ადვილი – უკრაინის ახალი ხელისუფლების წევრები ყველაფერზე შეთანხმებულები არ არიან. თუმცა უკრაინელების მხრიდან ძალიან ჭკვიანური საქციელი იყო, რომ პროვოკაციას არ აყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე სექტორიდან ბევრი 2008 წელს საქართველოს მსგავსად სამხედრო ძალის გამოყენებას ემხრობოდა, ისინი ამაზე მაინც არ წავიდნენ. სამხედროები ყაზარმებში დარჩნენ და უკრაინული მხრიდან არავის გაუსვრია. ისინი ყირიმს, რა თქმა უნდა, საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდნენ, მაგრამ როცა რუსებმა ყაზარმების შტურმი დაიწყეს, ისინი უბრალოდ გაეცალნენ იქაურობას. ვფიქრობ, სწორედ ამაშია სხვაობა. ჩვენ გვესმის, რა რთულ მდგომარეობაშია მთავრობა, გვესმის, რომ "მემარჯვენე სექტორს" მთავრობაში არაფერი ესაქმება – გერმანიაში, მაგალითად, მათ არავინ დაელაპარაკება და არავინ ითანამშრომლებს მათთან, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ბევრი რამ, რასაც დასავლეთში ფაშისტურ იდეებად აღიქვამენ, მოსკოვიდანაა პროვოცირე-

■ არავინ ელოდა, რომ ავღანური წარმოშობის ჟურნალისტის მიერ ფეისბუქზე გავრცელებულ მოწოდებას მაიდანზე ათასობით ადამიანის შეკრება მოჰყვებოდა. და ეს, ერთი-ორი დღე კი არა, თვეები გაგრძელდებოდა. დასავლეთში ბევრი არც ინტერესდებოდა უკრაინით, წარმოდგენაც არ ჰქონდათ იქაურ ვითარებაზე. გულწრფელად რომ ვთქვათ, უკრაინა ჟურნალისტურადაც „დაჩაგრული" იყო. კიევში თითქმის არ იყვნენ უცხოეთის ახალი ამბების რედაქტორები, ჟურნალისტები.

ბული. ეს რუსეთის პროპაგანდისტული ხრიკია, რომელიც ზოგიერთმა მედიამ აიტაცა. ისინი 1968 წელს პრაღის რევოლუციასაც ფაშისტურს უწოდებდნენ. ამ ხრიკს რუსეთი ხშირად იყენებს და ისიც უნდა ვთქვათ, რომ დასავლეთის მემარცხენე წრეებში ის ბევრზე გავლენასაც ახდენს. ისმის ხოლმე, რომ დროებით მთავრობასთან თანამშრომლობა არ შეიძლება. მათ არ უნდა დავეხმაროთ, არ უნდა მოვუსმინოთ და ა.შ. თუმცა მიმაჩნია, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, თავად ანგელა მერკელმაც კარგად იცის, რა დევს სასწორზე. ვფიქრობ ისიც ჭკვიანურია, რომ უკრაინის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მათ პუტინისთვის სამაგიეროს სხვაგვარად გადახდა გადაწყვიტეს. ისინი ამბობენ – ჩვენ არ გვინდა ომი, სამხედრო დაპირისპირება. ომი უნდა კრემლს. ამიტომ ჩვენ შევთავაზეთ დიალოგი. თუმცა, ვფიქრობ, ეს დიალოგი ძალიან გაგვიგრძელდა. მე სანქციებს ბევრად ადრე ვისურვებდი. დიალოგი არ უნდა შეგვეწყვიტა, მაგრამ ამავდროულად სანქციებისთვისაც უნდა მიგვემართა, როგორც თავად პუტინი იქცევა. პუტინი საუბრობს ტელეფონით და პარალელურად ჯარისკაცებს გზავნის.

2008 წელს კი სააკაშვილმა მისი მხარდაჭერა ძალიან გაგვირთულა. მან სწორედ ის შეცდომები დაუშვა, რაც უკრაინელ ლიდერებს არ გაუმეორებიათ. ის პროვოკაციაზე წამოეგო, მყისიერად აგრესიულად უპასუხა და შემდეგ კითხულობდა – სადაა დასავლეთი, რატომ არავინ მიჭერს მხარსო. ის მაშინ არც ისეთი მჭიდრო თანამშრომლობისთვის იყო მზად, როგორც ახლა უკრაინელი ლიდერები იქცევიან.

ყირიმი უკრაინისთვის დაკარგულია?

ცხადია. ეს თავიდანვე ცხადი იყო. მაიდნისთვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, უკრაინას ფასის გადახდა მოუხდებოდა. უფრო მეტიც, რეალისტური გამოსავალი იქნებოდა, თავიდანვე რომ ეთქვათ – წაიღეთ ყირიმი, ჩვენ დავთმობთ ამას და სანაცვლოდ დანარჩენ უკრაინას დამოუკიდებლად განვითარების საშუალება მიეცით. მაგრამ პუტინი ამით არ დაკმაყოფილდება. პუტინი ყოველთვის შეეცდება უკრაინის სტაბილიზაციას სხვადასხვა ხერხით შეუშალოს ხელი, რომ ეკონომიკა არ გაჯანსაღდეს, დემოკრატიული რეფორმები წარმატებით არ განხორციელდეს და ა.შ. ეს არ ჯდება მის პროპაგანდისტულ

ფოტო: ლევან ხარბედია

სურათში – ფაშისტებმა დემოკრატიზაცია ვერ უნდა მოახერხონ. მან საკუთარი მოსახლეობა მუდმივად უნდა ატყუოს ცივი ომისდროინდელი პროპაგანდისტული მეთოდებით. ბევრი გერმანული მედია უკრაინას დღესაც მოსკოვის ბიუროებიდან ფარავს. ბერლინში ბევრი მედიასაშუალება უკრაინულ ამბებს რუსული პროპაგანდის გავლენით აშუქებს და ეს ასე არ უნდა გრძელდებოდეს. მაგალითად, ხშირად მსმენია, რომ სამეზობლოში დასავლეთის აქტიურად ჩარევამ პუტინი იძულებული გახადა მკაცრი ზომები მიეღო. და ამას მხოლოდ მემარცხენე ჯგუფები კი არა, მემარჯვენე ნაციონალური მსოფლხედვის პოლიტიკოსებიც იმეორებენ.

უკრაინული მოვლენები მოახდენს გავლენას საქართველოს ევროპაში ინტეგრაციაზე?

ევროკავშირის მხრიდან უკვე არსებობს საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების სწრაფად გაფორმების მზაობა და სურვილი. ბრიუსელი ყველა წინაპირობის შესრულებაში დარწმუნებული რომ არ იყოს, ასე არ მოიქცეოდა. ერთი მხრივ, ეს რუსეთზე წნეხის საშუალებაა, თუმცა ის უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მტკიცედ აცხადებს – ჩვენ მზად ვართ და სხვა ალტერნატივა არც განიხილება, ჩვენ სომხეთივით რუსულ კაპიტალზე არ ვიყიდებით და არც აზერბაიჯანი ვართ მისი კორუმპირებული ნავთობელიტით. საქართველოში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და ძალიანაც კარგია, რომ ასეა.

2008 წელს კი სააკაშვილმა მისი მხარდაჭერა ძალიან გაგვირთულა. მან სწორედ ის შეცდომები დაუშვა, რაც უკრაინელ ლიდერებს არ გაუმეორებიათ. ის პროვოკაციაზე წამოეგო, მყისიერად აგრესიულად უპასუხა და შემდეგ კითხულობდა – სადაა დასავლეთი, რატომ არავინ მიჭერსო მხარს. ის მაშინ არც ისეთი მჭიდრო თანამშრომლობისთვის იყო მზად, როგორც ახლა უკრაინელი ლიდერები იქცევიან.

ესაუბრა ირაკლი აბსანძე

შრომა ბედნიერებისათვის

თათია ხალიანი, სოფო აფციაური

ფოტო: ალეკო ცაგარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სხვა სამსახური ჭიათურაში არ არსებობს, ერთი მაღარო გვაქვს და ისიც თან გვკლავს, თან გვაცოცხლებს“.

„გეკითხებით, როცა შემოსავალი 540 ლარი მაქვს და გასავალი – მინიმუმ 900 ლარი, ოჯახი როგორ უნდა ვარჩინო? ბანკს მივადგე? სესხი ავიღო და საბოლოოდ დავიღუპო?“

„საზღვარგარეთ მიდიხარ, მონად მუშაობ, აქ ხარ და მაინც მონა ხარ“.

„ბუშტი როცა დიდხანს დევს ერთ ადგილზე, იფუშება. სწორედ ასე დაიშალა ხალხის ერთობაც“.

„ეს ყველაფერი ჭადრაკის თამაშს ჰგავს, პაიკი მეფისთვის კვდება. სახელმწიფოსთვის ჩვენ სწორედ პაიკები ვართ“.

„პირველი მუხტი შიმშილობის შეწყვეტის დროს ჩაქრა. შიმშილობის მერე დასუსტებული ცოტა ხნით აქციაზე ველარ გავედი, უკან რომ დავბრუდი, ხალხი ველარ ვიცანი. დასუსტებულები და მორალურად განადგურებული დამხვდნენ. მაშინ მივხვდი, რომ აქცია დიდხანს ველარ გასტანდა“.

„გამოდის, რომ სახელმწიფო კომპანიის მხარეს დადგა. ჩვენ უბრალოდ, პროდუქციის შემქმნელები ვართ. რა ვქნათ სხვა, სად გავიქცეთ?“

ჭიათურა – ზესტაფონი – ტყიბული

საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნების ნარჩენები, საღებავგადაცლილი საბაგიროები, შავი ყვირილა... – ეს დეტალები არაფრით მიანიშნებს, რომ ქალაქი, რომელსაც ვსტუმრობთ, 130 წელია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტის მწარმოებელია.

ჭიათურას გვერდს ვუვლით და ნახევრადდანგრეული, მიხვეულ-მოხვეული გზით პირდაპირ სოფელ შუქრუთის მაღარომდე მივდივართ. აქაურობა ერთფეროვანი და უფერულია. ეზოში რამდენიმე მუშას ვხედავთ, ხელში ჩაფხუტები უჭირავთ და სწრაფი ნაბიჯებით გადაადგილდებიან.

სამსართულიანი შენობის ერთ კედელს საბჭოთა მოზაიკა ფარავს: მაღაროს მუშა ფართოდ გაშლილი ხელებითა და მოღიმარი, ბედნიერი სახით გადმოგვყურებს.

მაღაროს დირექტორი გვეუბნება, რომ ოთხ საათზე მორიგეობა იცვლება, და მუშებთან შეხვედრას შუალედში შევძლებთ.

მანამდე მაღაროში მომუშავე ქალების სანახავად შენობაში შევდივართ. მედდა გვიყვება, რომ ადრე, კომუნისტების დროს, შიგნით, მაღაროში ერთი ქალი მუშაობდა, ახლა კი ქალებს ძირითადად მედდის, ბუღალტრისა და დამლაგებლის ფუნქციები აკისრიათ.

სამედიცინო ოთახში ფანჯრის რაფასთან, წყლის ძველი ნიჟარაა დამონტაჟებული, ირგვლივ ოთახის ყვავილები და ყავის ჭიქები ალაგია. თაროდან სპირტი, ბამბა და ბინტი მოჩანს. სხვაგვარად ვერც მიხვდებით, რომ ამ ოთახს სამედიცინო ფუნქცია აქვს.

ჩვენს ყურადღებას მეორე ოთახში, საკვები ულუფებით გამოტენილი მაცივარი იპყრობს. იქვე, ხის ყუთებში კი პური და წყლის ბოთლები ყრია.

მედდა გვიყვება, რომ პურისა და წყლის გარდა, მაღაროს მუშას 8-საათიანი მორიგეობის დროს ორი ნაჭერი ძეხვი, მაწონი, არაჟანი და ბისკვიტიც ერგება.

ხელში ვატრიალებთ ამ ე.წ. პაიკას და ერთსა და იმავე შეკითხვას რამდენჯერმე ვიმეორებთ. გვაინტერესებს, ეს ულუფა ჰყოფნით თუ არა მუშებს.

„კი, როგორ არა. ადრე უფრო მნირი საკვები ჰქონდათ, ახლა კიდევ გააუმჯობესეს...“.

მაღაროს დირექტორის კაბინეტში სამი მუშა გვხვდება. „ნახევარი საათი გაქვთ

საბჭოთა მოზაიკა მაღაროს ფასადზე. ჭიათურა, მარტი 2014

ფოტო: ალექსანდრე ალექსიძე

დრო", – გვეუბნება თამაზ კაპანაძე და მათთან მარტო გვტოვებს.

გუბაზ ბინაძე, გიორგი ტაბატაძე და ვალერი გუდაძე ცდილობენ, ამ ნახევარი საათის განმავლობაში ყველა პრობლემაზე ლაპარაკი მოასწრონ.

გვირაბგამყვანები, ვისი სამუშაოც ყველაზე მძიმეა, ძირითადად, არასათანადო სამუშაო პირობებზე, არაადეკვატურად დაბალ ხელფასებზე, გაუმართავ სამედიცინო მომსახურებაზე და მოძველებულ ტექნიკაზე საუბრობენ.

რამდენიმე თვის წინ გამართულ საპროტესტო აქციებში სამივე მათგანი მონაწილეობდა.

ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა 2014 წლის 23 თებერვალს სტიქიურად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო. იანვარ-თებერვლის ხელფასების დარიცხვის დროს მუშებმა აღმოაჩინეს, რომ ყველა მათგანს ანაზღაურება 25%-ით ნაკლები ჰქონდა. „ჯორჯიან მარგანეზის" შვიდი მაღაროსა და ხუთი ქარხნის ყველა თანამშრომელმა მუშაობა შეწყვიტა. აქციების დროს მათ სოლიდარობა ჭიათურის მოსახლეობამაც გამოუცხადა.

მაღაროელების მთავარი მოთხოვნა დაკლებული ხელფასების სრულად ჩარიცხვა, ანაზღაურების გაზრდა, სამუშაო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება იყო.

გაფიცვა 12 დღეში დასრულდა და შეთანხმების შედეგად, „ჯორჯიან მარგანეზი" მუშებს აპრილიდან ხელფასების 7%-ით გაზრდას შეჰპირდა.

„ჭიათურაში სხვა სამსახური თითქმის არაა, ყველანი მაღაროზე ვართ დამოკიდებულები. აქაც სახარბიელო არაფერია. ვმუშაობთ, ყოველდღე საფრთხეში ვიგდებთ თავს, ხელფასი კი საშუალოდ 700 ლარი გამოგვდის".

ვალერი გუდაძეს 35 წელია გვირაბები გაჰყავს. ამბობს, რომ ამ წლების განმავლობაში სამსახურში რაიმე მნიშვნელოვანი და მუშებისთვის სასარგებლო ცვლილება არ მომხდარა: „მთავრობის შეცვლის შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში მდგომარეობა თითქოს უმჯობესდებოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი ისევ უკან-უკან მიდის".

მუშების თქმით, შიგნით, მაღაროში მუშაობა აუტანელია, განიავების მოუწესრი-

მედდა გვიყვება, რომ პურისა და წყლის გარდა, მაღაროს მუშას 8-საათიანი მორიგეობის დროს ორი ნაჭერი ძეხვი, მაწონი, არაჟანი და ბისკვიტიც ერგება. ხელში ვატრიალებთ ამ ე.წ. პაიკას და ერთსა და იმავე შეკითხვას რამდენჯერმე ვიმეორებთ. გვაინტერესებს, ეს ულუფა ჰყოფნით თუ არა მუშებს.

მუშები ე.წ. სახალხო ვაგონით გვირაბში შედიან. შუქრუთის მაღარო. ჭიათურა, მარტი 2014

ფოტოები სოფო ავალიანი
შუქრუთის მაღარო. ჭიათურა, მარტი 2014

გებელი სისტემა და საბჭოთა პერიოდის ძველი ტექნიკა სამუშაოს ძალიან ართულებს.

მაღაროში ორი სახის – ადგილობრივი და მთავარი განიავების სისტემა უნდა ფუნქციონირებდეს, თუმცა მუშების თქმით, მთავარი განიავების ვენტილაცია წლებია მოიშლილია. ადგილობრივი განიავების სისტემა მხოლოდ მაღაროშივე ცირკულირებს და მიწის ქვეშ სუფთა ჰაერი ფაქტობრივად არ შედის.

მუშები საუბრისას ხშირად ახსენებენ მოძველებულ ტექნიკას: „ახლა, ორი დღეა ჩინური მტვირთავი მანქანები შემოიყვანეს. გამოსაცდელადო, ასე ამბობენ, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ გავმართეთ, არასტანდარტულები აღმოჩნდა. მსუბუქია და მადნის დატვირთვისას პრობლემებს ქმნის“.

„რაზე საუბრობთ?“, – ოთახში მაღაროს დირექტორი, თამაზ კაპანაძე შემოდის – „მაღაროში დიდი გადაიარაღება მიმდინარეობს, რამდენიმე დღის წინ კარგი მანქანები შე-

მოვიდა. „ჯორჯიან მარგანეზმა“ ერთ-ერთ ჩინურ კომპანიასთან ხელშეკრულება დადო და, სავარაუდოდ, ახალი მტვირთავი ტექნიკა მასიურად შემოვა“.

მუშები ჩუმდებიან, დირექტორი კი საუბარს განაგრძობს: „მაღაროში კარიერების მდგომარეობა გამოსწორდა, ვაგონები შემოიყვანეს, მუშებს ტექნიკა, სპირალები აქვთ: ადამიანური პირობები? ეს არაა სამუშაო პირობების გაუმჯობესება?“, – კაპანაძე კარში გასვლისას ტრიალდება – „საკვები ულუფა ნახეთ? თუ გინდათ ამოგიტანთ და გასინჯეთ, რომ იცოდეთ რითი იკვებებიან მუშები. სიღრმეში სამუშაოდ სწორედ ასეთი მცირე რაოდენობის მშრალი საკვებია რეკომენდებული. მთავარია, კუჭმა ფუნქციონირება შეძლოს, ბევრის ჭამა მაღაროში არ შეიძლება“. „გამარჯობა, – აქ გამომიშვეს“, – კარს კიდევ ერთი, უნიფორმიანი მაღაროს მუშა აღებს და სანამ დირექტორი დაგვტოვებს, ხის გრძელი სკამის კიდეს იკავებს. თავზე წითელი დამცავი ქუდი აფარია, 15 წუთში მათი მორიგეობა იწყება.

თუმცა სანამ მუშები მაღაროს სიღრმეში გაუჩინარდებიან, გვირაბგამყვანი პაატა აბრამიშვილი მოულოდნელად მოგვმართავს – „გაინტერესებთ, გაფიცვამ ჩვენთვის სასურველი შედეგი რატომ არ გამოიღო? წამომყევით ეზოში და თქვენი თვალით ნახავთ – მუშების 90%-ს ბანკის ვალი ახრჩობს, როგორ გინდა, სამსახურის გარეშე დარჩე? მაღარო თან გვაცოცხლებს, თან გვკლავს. აი, ახლაც ხელფასები 7%-ით გაგვიზარდეს, 21-ში უნდა ჩარიცხულიყო, დღეს 26-ია და ანგარიშზე ჯერ კიდევ არაფერია“.

პაატა ამბობს, რომ ჭიათურაში გაჩერება აღარ შეუძლია, სხვა სამსახური რომ ჰქონდეს, არც დაფიქრდებოდა, ისე მიატოვებდა მაღაროს.

„ეს არაა გამოსავალი“, – აწყვეტინებს პაატას მეორე მუშა, გიორგი ტაბატაძე და გვიხსნის, რომ მაღაროების სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა უკეთესი აზრია: „ამით მუშებისთვის გაცილებით სამართლიანი გარემო შეიქმნება. ახლა, სიმართლე რომ გითხრათ, არც ერთი მხარე ყურადღებას არ გვაქცევს, არც სახელმწიფო და არც კომპანია. როცა სიტუაცია კრიზისულია და გაფიცვები იწყება, კომპანია მხოლოდ მაშინ გვეკონტაქტება. თუ მაღარო სახელმწიფოს საკუთრებაში გადავა, კანონიც ჩვენ სასარგებლოდ იმუშავებს“, – ამბობს გიორგი.

„ჯორჯიან მანგანეზმა“, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი უკრაინული ჰოლდინგის – „პრივატ ჯგუფის“ – შვილობილი კომპანიაა, მანგანუმის საბადოები ჭიათურაში 2007 წელს, ზესტაფონის „ფეროთშენადნობ ქარხანასა“ და „ვარციხე ჰესთან“ ერთად შეიძინა. სამივე მათგანი ერთ ციკლში იძლევა მანგანუმის მოპოვებისა და სილოკომანგანუმის წარმოების საშუალებას.

2013 წლის მარტში კი, „ჯორჯიან მანგანეზი“ ლუქსემბურგში რეგისტრირებულ „ჯორჯიან ამერიქენ ელოიზის“ ხელში გადავიდა.

5 საათია. მაღაროში შესვლის დროა.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ნებართვას გვაძლევს, რომ მუშებს მაღაროს შესასვლამდე გავყვეთ. რამდენიმე წუთში მათთან ერთად ე.წ. სახალხო ვაგონში ვსხედვართ. მალე ეს დაჟანგული და მორყეული ვაგონი მუშებთან ერთად რამდენიმე კილომეტრის სიღრმეში უჩინარდება.

იქვე ხის ჭუჭყიან სკამებზე ე.წ. პაიკა, მუშებისთვის განკუთვნილი საჭმლის ულუფა, დევს.

ვაგონი ძლივს მიჩახჩახებს, ნელ-ნელა გვირაბს ვუახლოვდებით.

„ახლა უნდა გადმოხვიდეთ“, – გვეუბნება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი პროდუქტის მომპოვებლები კი 5 კილომეტრის სიღრმეში შედიან. სახალხო ვაგონმა ასე ნახევარი საათი უნდა იაროს. მერე კი რვასაათიანი მძიმე სამუშაო იწყება...

ზესტაფონი, ფეროთშენადნობთა ქარხანა

ჭიათურის მაღაროების გაფიცვის პარალელურად 7 მარტს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშებმა, მაღაროელების სოლიდარობის ნიშნად, ერთდღიანი აქცია გამართეს.

თუმცა ადმინისტრაციის შენობის მისაღებში მყოფი ერთ-ერთი მუშა, რომელიც დაცვის უნიფორმიან თანამშრომლებთან ერთად გვხვდება, აქციას გაერთიანებული პროფკავშირების მიერ პროვოცირებულს უწოდებს და ამბობს, რომ რეალურად ქარხანაში დიდი გადაიარაღება მიმდინარეობს.

„სადაც მუშაობაა, იქ პრობლემები ყოველთვისაა. ვინმე საერთოდ ხელფასით კმაყოფილია? სხვა შემოსავლის წყარო აქ არც არაფერია. მთავარია, ქარხანა ვითარდება და დიდი განახლება მიმდინარეობს. შარშან

ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა 2014 წლის 23 თებერვალს სტიქიურად, წინასწარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო. იანვარ-თებერვლის ხელფასების დარიცხვის დროს მუშებმა აღმოაჩინეს, რომ ყველა მათგანს ანაზღაურება 25%-ით ნაკლები ჰქონდა. „ჯორჯიან მარგანეზის“ შვიდი მაღაროსა და ხუთი ქარხნის ყველა თანამშრომელმა მუშაობა შეწყვიტა. აქციების დროს მათ სოლიდარობა ჭიათურის მოსახლეობამაც გამოუცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გაინტერესებთ, გაფიცვამ ჩვენთვის სასურველი შედეგი რატომ არ გამოიღო? წამომყევით ეზოში და თქვენი თვალით ნახავთ - მუშების 90%-ს ბანკის ვალი ახრჩობს, როგორ გინდა, სამსახურის გარეშე დარჩე? მაღარო თან გვაცოცხლებს, თან გვკლავს. აი, ახლაც ხელფასები 7%-ით გაგვიზარდეს, 21-ში უნდა ჩარიცხულიყო, დღეს 26-ია და ანგარიშზე ჯერ კიდევ არაფერია“.

ფოტო: სერგეი ავსტრიაკოვი

„ფეროშენადნობთა ქარხნის“ ერთ-ერთი კომბინატი. ზესტაფონი, მარტი 2014

მაგალითად, როგორც ვიცი, კომპანიამ ბიუჯეტში 57 მილიონი შეიტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშებისთვისაც ნელ-ნელა ყველაფერი გაკეთდება“, – გვეუბნება ქარხნის მუშა.

4 საათზე მორიგეობა იცვლება და მუშებს შეგიძლიათ გარეთ დახვდეთ – გვითხრა ტელეფონში კომპანია „ჯორჯიან მარგანეზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა.

ამასობაში გზას ტყიბულის მაღაროსკენ გავუდექით.

კომპანია „საქნახშირის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი შეგვპირდა, რომ რამდენიმე მუშასთან გასაუბრების შესაძლებლობა გვექნებოდა.

მათ გაერთიანებული პროფკავშირების ადგილობრივი თავმჯდომარის გიორგი ბაბუხადიას სამუშაო კაბინეტში შევხვდით. ინტერვიუს რამდენიმე ადამიანი ესწრებოდა.

„45 წელია შახტაში ვმუშაობ, ადრე გაუსაძლისი პირობები იყო. ინვესტორის გამოჩენის შემდეგ ხელფასები გაგვეზარდა და შახტა აღორძინდა. უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა დაცული, რომ კაცმა არაფერი იტკინოს“, – გვიყვება რომან ბოჭორიშვილი, მეშახტე.

პროფკავშირის თავმჯომარე საუბარში ერთვება და ამბობს, რომ შახტაში ხანძარი ბუნებრივი პროცესია, ნახშირის თვითაალებადობა კი მუშების ფიზიკური დაზიანების მიზეზიც გამხდარა. თუმცა გიორგის თქმით, სიცოცხლისთვის საშიში შემთხვევები ბევრჯერ მუშების დაუდევრობითაც ხდება.

ხუთსულიან ოჯახში ბადრი ლომთაძე ერთადერთია, ვინც დასაქმებულია. ისიც თავის თანამშრომელს ეთანხება და გვეუბნება, რომ ბოლო წლებში სამუშაო პირობები გაუუმჯობესდათ, საშუალო ხელფასმაც 800 ლარამდე აიწია.

„საქნახშირის“ გენერალური დირექტორი ვალერი კუხალაშვილი 2006 წლამდე შახტის გაპარტახებულ მდგომარეობაზე გვიყვება. მისი ინფორმაციით, ინვესტორის მიერ 2006 წელს, შახტის შესყიდვის შემდეგ სრული გადაიარაღება მოხდა და ამ დროისთვის მინდელის შატხა, რომელიც ორ შახტას აერთიანებს და 1500-მდე მუშას ითვლის, სრული დატვირთვით მუშაობს.

„უსაფრთხოების წესები მკაცრად გვაქვს გაწერილი. ეს შახტა ძალიან საშიშია და თვითაალებებიც ხშირად ხდება, თუმცა ეს ბუნებრივია, ჩვენ ყველა რესურსი გვაქვს, რომ ამას გავუმკლავდეთ“.

ტყიბულის შახტაში ბოლო გაფიცვა 2011 წლის თებერვალში მოეწყო.

მაშინ მუშები უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და ხელფასების გაზრდას ითხოვდნენ.

თუმცა გაფიცვის მთავარი მიზეზი მინდელის სახელობის შახტაში 2010 წლის განმავლობაში მომხდარი რამდენიმე აფეთქება გახდა, რომლის დროსაც 9 მეშახტე დაიღუპა, 12 კი მძიმედ დაშავდა.

ფოტო: ლაშა ბაქრაძე

„ფეროშენადნობთა ქარხნის“ მუშების დასასვენებელი ოთახი. ზესტაფონი, მარტი 2014

„მართალია, ქარხანაში შესასვლელად ოფიციალური ნებართვაა საჭირო, მაგრამ მუშებმა რომ არ მოგატყუონ და არ გითხრან, ცუდ პირობებში ვმუშაობთო, შედით და თქვენი თვალით ნახეთ, რა გადაიარაღება ხდება შიგნით“.

საბოლოოდ გაფიცვის შედეგად, შპს „საქნახშირის“ მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა მოძრაობის უბნის თანამშრომლებს ხელფასები 15%-ით გაუზარდა და შეჰპირდა, რომ სხვა მეშახტეების ანაზღაურების საკითხების გადახედვა და მათი ხელფასების კორექტირებაც მოხდებოდა.

***

ტყიბულიდან ისევ ზესტაფონში ვბრუნდებით.

ნახევარ საათში მორიგეობა უნდა შეიცვალოს. „ფეროშენადნობთა ქარხნის“ მუშებს გარეთ ველოდებით.

ქარხნის შესასვლელთან დაცვის ორი წევრი ჩვენი ვინაობით ინტერესდება. წვიმას ვერიდებით და გადახურულში მათ ადგილებზე ვსხდებით.

მოულოდნელად, ჩვენ წინ 7-მდე ქარხნის თანამშრომელი ჩნდება.

ერთ-ერთი ჩვენკენ მოდის და თავს, უსაფრთხოების სამსახურის უფროსად გვაცნობს. სახელის და გვარის გამხელისგან კი თავს იკავებს.

ვუხსნით, რომ დილით საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ვესაუბრეთ და მუშებს არასამუშაო საათებში უნდა შევხვდეთ. აქ კი უბრალოდ წვიმის გამო დავსხედით.

„ახლა დავრეკავ და ადმინისტრაციას მაინც გავაფრთხილებ“.

„მართალია, ქარხანაში შესასვლელად ოფიციალური ნებართვაა საჭირო, მაგრამ მუშებმა რომ არ მოგატყუონ და არ გითხრან, ცუდ პირობებში ვმუშაობთო, შედით და თქვენი თვალით ნახეთ, რა გადაიარაღება ხდება შიგნით“, – გვპასუხობს ტელეფონში „ჯორჯიან მარგანეზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მაკა კვარაცხელია.

რამდენიმე წუთში, ქარხნის სამ თანამშრომელთან ერთად, სპეცტანსაცმლითა და დამცავი ქუდებით ქარხნის ტერიტორიაზე ვართ.

საამქროს უფროს ბადრი ფერაძეს ჭიათურის მუშების სოლიდარობის ნიშნად ზესტაფონის ქარხნის თანამშრომლების აქცია „ბუნდოვნად ახსოვს“ და ამბობს, რომ ამისთვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია: „25-მდე ადამიანი პროფკავშირების ინიციატივით ქუჩაში გავიდა და სამუშაო პირობები გააპროტესტა. უმადური უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ქარხანაში შეიცვალა. აბანო-გასახდელები იდეალურად მოეწყო, მუშებს დასასვენებელი ოთახიც აქვთ, სამზარეულო იდეალურ მდგომარეობაშია, თვითონ კომბინატში ტექნიკის განახლებაც მიმდინარეობს, ყველაფერი ავტომატიზირებული იქნება და მუშებს მხოლოდ ღილაკებზე თითის დაჭერა მოუწევთ“, – ამბობს ფერაძე და ქარხნის მთლიანი ტერიტორიის დათვალიერებას გვთავაზობს.

ქარხნის ერთ-ერთ კომბინატში ხმაურია. მუშები ყურადღებას არ გვაქცევენ, ღუმელთან მუშაობენ. უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც ქარხნის დირექტორთან ერთად თან დაგვყვება, გარემონტებული სააბაზანო-გამოსაცვლელების დათვალიერებას გვთავაზობს:

„ნახეთ, როგორი მდგომარეობაა, ზოგს სახლშიც არ აქვს ასეთი პირობები. ნახეთ, გადაუღეთ ფოტოები“.

ისევ მუშებთან ვბრუნდებით. ლევან ფერაძე მხოლოდ 3 წელია, რაც აქ მუშაობს. ხმადაბლა გვიყვება, რომ ხელფასი და პირობები არ არის გადასარევი, მაგრამ ზესტაფონში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მაინც ეს ქარხანაა: „აქ მუშაობა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, რა თქმა უნდა, არ არის. გამონაბოლქვი და მანგანუმი რომ ჩადის ორგანიზმიში, როგორ შეიძლება უსაფრთხო იყოს. მე ახალგაზრდა ვარ, სტაჟიც არ მაქვს დიდი, რაც უფრო ასაკშია ადამიანი, უფრო უჭირს“.

კომბინატში ათი წუთის შემდეგ ჩვენთვისაც შეუძლებელი ხდება სუნთქვა, კვამლი და მანგანუმის გამონაბოლქვი სასუნთქ გზებს გვიკეტავს და ისევ გარეთ, ქარხნის ეზოში გამოვდივართ.

ირგვლივ, ყველგან მშენებლობაა: თონე, ახალი სამზარეულო, სველი წერტილების განახლება მიმდინარეობს: „თბილისში რამდენად ყიდულობთ პურს? 90 თეთრად ხომ? აქ კი, კახური პურის ყიდვა მუშებს 40 თეთრად შეუძლიათ, თან ასეთ გემრიელს ვერსად ნახავთ“, – და უსაფრთხოების თანამშრომელი კმაყოფილი ღიმილით ძრავს მანქანას.

ჩაფხუტებსა და უნიფორმებს ქარხნის შემოსასვლელში ვტოვებთ და ზესტაფონში ჩვენი ჟურნალისტური ექსკურსიც სრულდება. თუმცა ამით არ სრულდება ადამიანური ისტორიები, ვისი ბედიც მაღაროებზე, შახტებსა და გიგანტ საწარმო კომპანიებზეა დამოკიდებული.

სიმონ ჩაჩანიძეს სახლი მაღაროს აფეთქების შედეგად დაენგრა. ჭიათურა, მარტი 2014

ფოტო: სერგო ალფაიძისა

სიმონი

ჭიათურა, სოფელი შუქრუთი

„ვხედავ ნელ-ნელა კედლები ერთმანეთს როგორ შორდება, როგორ იბზარება, ნელ-ნელა როგორ ინგრევა სახლი, სადაც ვცხოვრობ“.

სიმონ ჩაჩანიძე გვირაბგამყვანია. მისი ცვლა ოთხ საათზე მთავრდება. სამუშაოს დასრულების შემდეგ ისიც სხვა მუშებთან ერთად „სახალხო“ ვაგონს გამოჰყავს მაღაროდან. რამდენიმეკილომეტრიანი გვირაბის გავლას ნახევარი საათი სჭირდება. გარეთ მეორე ცვლის მუშები იცდიან, რომლებიც იმავე ვაგონმა გვირაბში უნდა შეიყვანოს. სიმონი თავს იწესრიგებს და მაღაროდან შინ მოკლე გზას ფეხით მიუყვება. სახლი, სადაც ის მიდის, თითქმის დანგრეულია. წლების წინ მის ქვეშ მაღარომ გაიარა.

სახლი დიდმა ბაბუამ ააშენა, მას მერე აქ რამდენიმე თაობა გაიზარდა. წინასწარი გაფრთხილების გარეშე, 2005 წელს მისი სახლის ქვეშ გვირაბი ააფეთქეს. მას შემდეგ ყოველდღე ხედავს, როგორ იშლება კედლები. ერთი ნაწილი ჩამონგრეულია, რამდენიმე ოთახში ცხოვრება შეუძლებელია. მხოლოდ შუა, შედარებით დიდ ოთახში დგას მაგიდა, კარადა და ორი საწოლი. დღეს ძირითად მაღაროში ატარებს, მის სახლში კი, რომელიც მაღაროს ზემოთაა, დაძინებაც საშიშია, არავინ იცის კედლები როდის ჩამოიშლება.

35 წელია მაღაროში მუშაობს. ამბობს, რომ ცხოვრების ძირითადი ნაწილი მიწის ქვეშ გაატარა. მაღაროში აღებული ფული მხოლოდ საარსებოდ ჰყოფნის. სამი შვილი ჰყავს, ორი გოგო და ერთი ბიჭი. შვილებს თავიანთი ოჯახები და ცხოვრება აქვთ, თუმცა სამსახური არც ერთს არ აქვს.

მას შემდეგ, რაც სახლს პირველი ბზარი გაუჩნდა, კომპანიიდან მოსულმა ადამიანებმა კედლები შეათვალიერეს, წითელი ლენტები მიაკრეს, თქვეს, რომ ამგვარად კედლების გადაწევის დონეს შეამოწმებდნენ და წავიდნენ. სიმონი რამდენჯერმე ჩავიდა ზესტაფონში, სადაც კომპანიის ადმინისტრაციაა დ კომპენსაცია მოითხოვა. როგორც ამბობს, დიდი ძალისხმევის შემდეგ ნაწილ-ნაწილ 31 000 ლარი გადაუხადეს.

„დავდიოდი ყოველდღე ზესტაფონში, რომ თანხა ამეღო. გადამიხადეს, მაგრამ ნაწილ-ნაწილ, ვერაფრის ყიდვა ვერ შევძელით. ოჯახია, მუდმივად უამრავი საჭიროებაა, რა მექნა? იქ ბიჭს დასჭირდა, პატარა შვილები ჰყავს, იქ ავადმყოფობა. დაიხარჯა ეს ფული. ისინი ამბობენ რომ ფული ხომ მოგეცითო. ვერაფერს გავეკეთებ“, – ამბობს სიმონი.

მის მდგომარეობაში სოფელში ბევრი ოჯახია. საკუთარი სახლები მათთვის დღითიდღე საშიში ხდება. დაახლოებით 6 წელია ასე გრძელდება.

„ერთ დღესაც სახლი რომ დაინგრეს სად წავალ? – ვერსად. დები მყავს და იმედია შემიფარებენ, ქუჩაში არ დამტოვებენ. სხვა არავისი იმედი არ მაქვს“, – ამბობს სიმონი.

■ ჩაფხუტებსა და უნიფორმებს ქარხნის შემოსასვლელში ვტოვებთ და ზესტაფონში ჩვენი ჟურნალისტური ექსკურსიც სრულდება. თუმცა ამით არ სრულდება ადამიანური ისტორიები, ვისი ბედიც მაღაროებზე, შახტებსა და გიგანტ საწარმო კომპანიებზეა დამოკიდებული.

კაზრეთელი მუშების გაფიცვა 40 დღე მიმდინარეობდა. მათ გვერდით მთელი დაბა იდგა, თებერვალი 2014

მიშა

ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი

„ჩვენ გაფიცვისას ერთმანეთის იმედი გვქონდა“

მიშა ყაფლანიშვილი კაზრეთში დაიბადა და გაიზარდა. რამდენიმე წელი საზღვარგარეთ იცხოვრა. საქართველოში დაბრუნებული კაზრეთის მაღაროში მძღოლად მოეწყო. 42-ტონიანი „ბელაზით“ მაღაროდან მადანს ეზიდება.

„ჩვეულებრივ, თითქოს 8 საათი უნდა ვმუშაობდე, მაგრამ დილის 7 საათზე უკვე ავტობუსში ვზივარ და მაღაროში მივდივარ. 8-ის ნახევარზე სმენას ვიბარებ და მუშაობას ვიწყებ. საღამოს 8 საათზე ვამთავრებ. გვატყუებენ, 12 საათი გამომდის მუშაობა,“ – ამბობს მიშა.

„ჩვეულებრივ, თითქოს 8 საათი უნდა ვმუშაობდე, მაგრამ დილის 7 საათზე უკვე ავტობუსში ვზივარ და მაღაროში მივდივარ. 8-ის ნახევარზე სმენას ვიბარებ და მუშაობას ვიწყებ. საღამოს 8 საათზე ვამთავრებ. გვატყუებენ, 12 საათი გამომდის მუშაობა.“

კაზრეთში მძიმე ეკოლოგიური გარემოს გამო, მისი მცირეწლოვანი შვილი გამუდმებით ავად ხდებოდა, ამიტომ იძულებული გახდა ოჯახი თბილისში ნათესავთან გადაეყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ კაზრეთის მაღაროდან გათავისუფლებულ 152 მუშას შორის თვითონ არ ყოფილა, თებერვალში გაფიცულ მაღაროელებს შეუერთდა და შიმშილობა დაიწყო.

მიშას არ სჯერა, რომ კომპანიას ფინანსური კრიზისი აქვს და თანამშრომლებიც ამის გამო დაითხოვა.

„ჩემი მანქანა 42-ტონიანია, ხო? ბრძანება გვაქვს, რომ სულ ბოლომდე დავტვირთოთ. კოშს ეძახიან. უნდა ნახოთ, როგორ აწვებიან ხოლმე, რომ სატვირთო ბოლომდე გადაივსოს. სანამ ქარხანაში შევალთ, სასწორზე უნდა აწონონ, მაგრამ ეს ყოველდღიურად არ ხდება. თვეში ერთხელ ან მაქსიმუმ ორჯერ წონიან მადანს, წესით ყოველ შესვლაზე უნდა აწონონ. ჩვენ კიდევ 35-38 ტონას გვიტარებენ. ერთ ჩამოტანაზე მინიმუმ 5 ტონაში მაინც იტყუებიან. ხომ წარმოგიდგენიათ, საბოლოოდ წონაში რამხელა განსხვავებაა? ამით საგადასახადოს ატყუებენ“, – ჰყვება მიშა.

ფოტო: ალეკო ავალიანი

„ერთი წელი ისეთი მანქანით დავდიოდი, ნორმალური მუხრუჭი არ ჰქონდა, მაგრამ ყურს არ იბერტყავდნენ. უბედური შემთხვევები ხშირად მომხდარა. ერთხელ მადნეულის საფქვავში ბელაზის მძღოლს უყვიროდნენ, ახლოს მიდიო და ჩავარდა. მერე კიდევ ამბობენ, რომ მუშების დაუდევრობის გამო ხდება უბედური შემთხვევებიო. ერთხელ მეც გადამიყირავდა მანქანა, ეგრევე დამეტაკა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი – ნასვამი ხომ არ ხარო. გამეცინა, ვუთხარი – შემომხედე, ნასვამი კი არა, უძილო ვარ მეთქი!“.

ათი დღე იშიმშილა. როგორც ამბობს, რამდენიმე ადამიანი მუდმივად დადიოდა და ხალხს აქეზებდა, რომ გაფიცვა შეეწყვიტათ. „ხალხი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო, სოციალური სიდუხჭირე და ბანკის ვალები. ამიტომ ეტაპობრივად ერთობაც დაირღვა“.

„კანცელარიასთან წამოსვლის დროს, პროფკავშირების წარმომადგენლები გვეუბნებოდნენ – დაიწყო მოლაპარაკებები, პრემიერი ჩართულია და აღარაა საჭირო კანცელარიასთან გასვლაო. მაშინ ძალიან გავბრაზდი, რას ნიშნავს „დაიწყო მოლაპარაკებები და ჩვენი აქტიურობა აღარ იყო საჭირო“? ომის დროსაცაა ხოლმე მოლაპარაკებები, მაგრამ ის არ წყდება, რომ გავჩერებულიყავით, მთავრობა ამასაც სათავისოდ გამოიყენებდა“.

მიშა მძიმე და საფრთხის შემცველ სამუშაო პირობებზეც საუბრობს და ამბობს, რომ ხშირად ტექნიკა გაუმართავია, რაც სამუშაოს შესრულების დროს სიცოცხლისთვის საშიშია:

„ერთი წელი ისეთი მანქანით დავდიოდი, ნორმალური მუხრუჭი არ ჰქონდა, მაგრამ ყურს არ იბერტყავდნენ. უბედური შემთხვევები ხშირად მომხდარა. ერთხელ მადნეულის საფქვავში ბელაზის მძღოლს უყვიროდნენ, ახლოს მიდიო და ჩავარდა. მერე კიდევ ამბობენ, რომ მუშების დაუდევრობის გამო ხდება უბედური შემთხვევებიო. ერთხელ მეც გადამიყირავდა მანქანა, ეგრევე დამეტაკა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი – ნასვამი ხომ არ ხარო. გამეცინა, ვუთხარი – შემომხედე, ნასვამი კი არა, უძილო ვარ მეთქი!“, – ამბობს მიშა.

„ერთხელ მანქანას ვცლიდი, მეტი დრო დამჭირდა და დასვენებაზე რამდენიმე წუთი გადამიცდა. ამიტომ, როცა დავიძინე მაღვიძარაც ცოტა გვიან დავაყენე, ვიფიქრე, რაც დასვენების დრო ვიმუშავე, იმას დავიძინებ მეთქი.

ახალჩაძინებული ვიყავი და უცებ მანქანის შუშაზე ვიღაცამ დამიბრახუნა, უსაფრთხოების თანამშრომელი იყო, – მათ შავფორმია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს ეძახიან, – საათს დახედე, რომელიაო. დავხედე და ზუსტად 9 წუთი მქონდა დასვენების დროს გადამეტებული. დილით მოხვალ და ახსნა-განმარტებას დაწერო. ჩავედი, მოვყევი ყველაფერი, როგორც იყო, რომ 9 წუთი გადავაცილე. ახლა ამაზე ამიშარდნენ, 9 წუთი რაღა იყოო. მაშინ ვუთხარი, ღამენათევი დამიბარე, აქ ერთი საათი გელოდეთ, რომ დამეწერა განმარტება და ახლა აქეთ მეჩხუბებით მეთქი? პირდაპირ გეტყვით, ეს იყო ხალხის გამოჭერის საშუალება, ასეთი დაშინებებით უნდათ, რომ ხელში მოიმწყვდიონ", – იხსენებს მიშა.

ბალიჭი

ბოლნისის რაიონი.

ბალიჭი სოფელია, სადაც ადამიანებს უკვე სამი წელია საკუთარი სახლები ნელ-ნელა ენგრევათ. ბალიჭელების თქმით, ამის მიზეზი კომპანია RMG-ის მიერ გახსნილი ახალი კარიერია.

„აქ ყველას სახლი დაბზარულია. წამოდით და თუ არ დაგეზარებათ, თითოეულ მათგანს განახებთ", – გვეუბნებიან სოფლის მაღაზიასთან მდგომი ახალგაზრდები და თან იმ კარიერისკენ გვითითებენ, რომელიც სოფლიდან სულ რაღაც ორ კილომეტრში მდებარეობს.

„დღეში 15-ჯერ მაინც არის აფეთქება. სოფელში სახლი არ არის დარჩენილი, რომ დაბზარული არ იყოს", – გვიყვება მზიური ნასყიდაშვილი. მისი სახლის კედელზე ბზარები გარედან ადვილი შესამჩნევია. შიგნით კი, ხალიჩით საგულდაგულოდ დამალული კედლებიდან აგურები ჩანს.

გიორგი მახიტაშვილის სახლის გაბზარული კედლიდან კი დღის სინათლეც აღწევს. გვერდით ოთახში ჩვილს სძინავს. შვიდსულიან ოჯახში არავინ მუშაობს.

მოსახლეობა თავს სოფლის მეურნეობით ირჩენს. თუმცა მძიმე ეკოლოგიური პირობების გამო მოსავალი თითქმის არ ჩანს.

სახლიდან სახლში გადავდივართ, ყველას ერთნაირი პრობლემები აქვს, დანგრევის პირას მისული სახლები, უმუშევრობა და მძიმე ეკოლოგიური გარემო, რომელიც მათ ჯანმრთელობაზე აისახება.

კომპანია RMG-ის გენერალური დირექტორი სოსო ცაბაძე გვეუბნება, რომ კომპანია მზად არის დააფინანსოს ექსპერტიზის ხარჯები, რომელიც შეისწავლის სოფელში სახლების დაბზარვის რეალურ მიზეზებს და თუ აღმოჩნდება, რომ ეს კარიერის გახსნის შედეგად მოხდა მოსახლეობას კომპენსაციას გადაუხდის: „სხვა შემთხვევაში არანაირ კომპენსაციაზე ლაპარაკი არ იქნება".

ახალგაზრდები, რომლებიც სოფელში მეგზურობას გვიწევენ, თავიანთ მდგომარეობაზე გვიყვებიან. მთავარი პრობლემა უმუშევრობაა, მიუხედავად იმისა, რომ საწარმო საცხოვრებელ გარემოს, ჯანმრთელობას, ეკოლოგიას ანადგურებს, სხვა სამუშაო რაიონში არ არსებობს. თუმცა მრავალი მცდელობის მიუხედავად, მათ იქაც არავინ ასაქმებს.

შრომის უსაფრთხოება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით" „დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოთი". თუმცა სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, ეს ნორმა მხოლოდ დეკლარირებულია და არსად არის მითითებული რა სანქცია შეიძლება დაეკისროს დამსაქმებელს მისი დარღვევისთვის.

ამავე ანგარიშში საუბარია, რომ სახელმწიფო დონეზე არ არის შემუშავებული შრომის, ჯანმრთელობისა და სამუშაო გარემოს შესახებ თანმიმდევრული ეროვნული პოლიტიკა და არ არსებობს მონიტორინგის მექანიზმი, თუ რამდენად არის დაცული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხო გარემო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წელს სამუშაოს შესრულებისას დაშავებულთა რაოდენობა 102 იყო, გარდაცვლილთა კი – 42. 2011 წელს დაშავებულთა რაოდენობა – 137, გარდაცვლილთა რაოდენობა 54 იყო.

სამუშაოს შესრულებისას დაშავებული და გარდაცვლილი ადამიანების შესახებ ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმაც" (EMC) გამოითხოვა. ამ მონაცემების მიხედვით, 2012 წელს დაშავებულთა რაოდენობა გაიზარდა და 289 შემთხვევა დაფიქსირდა. ამავე წელს მუშაობის პროცესს კი 48 ადამიანი ემსხვერპლა.

ამ დროისთვის საწარმოების გაკონტროლების ერთადერთი ბერკეტი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ზედამხედველობის სამსახურია, რომელმაც საწარმოში სიცოცხლესთან შეუთავსებელი

10 დღის განმავლობაში კომპანია RMG-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშებს კარვები ჰქონდათ გაშლილი და შიმშილობდნენ.კაზრეთი, თებერვალი 2014

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოს აღმოჩენის შემთხვევაში, კომპანია ან უნდა დააჯარიმოს, ან საქმიანობა უნდა შეუჩეროს.

თუმცა EMC-ის იურისტი, ლინა ღვინიანიძე ამბობს, რომ ეს სამსახური ძირითადად მხოლოდ ჯარიმების დაკისრებით შემოიფარგლება:

„მაგალითად, ჭიათურაში 2013 წელს მომხდარი უბედური შემთხვევის დროს, 2 მუშის გარდაცვალების შემდეგ ზედამხედველობის სამსახურმა კომპანია 5 000 ლარით დააჯარიმა. ბუნებრივია, როდესაც ამხელა მოგების მქონე საწარმოს მხოლოდ აჯარიმებ, არაეფექტურია. ამიტომ კომპანიის მიერ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ერთადერთი ბერკეტი საწარმოს საქმიანობის შეჩერება შეიძლება იყოს, სანამ ის ამ პირობებს არ გააუმჯობესებს“.

გასულ წელს, აგვისტოში ჭიათურის ითხვისის მაღაროს მეორე უბანზე, უეცრად მოვარდნილმა წყალმა ორი მაღაროელი – 51 წლის ცვლის უფროსი რონალდ ნოზაძე და 49 წლის გვირაბგამყვანი იუზა სამხარაძე დაახრჩო.

ერთი თვით ადრე კი, შუქრუთის მაღაროში ქანების აფეთქების დაწყებამდე ჩამოვარდნილმა ლოდმა, 60 წლის ამფეთქებელის შალვა დარბაიძის სიცოცხლე იმსხვერპლა.

უკვე დიდი ხანია იგეგმება შრომითი უსაფრთხოების ინპექციის სამსახურის შექმნა.

როგორც ლინა ღვინიანიძე ამბობს, ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში, რომელზეც მთავრობა ახლა მუშაობს, წერია, რომ ასეთი ორგანო უნდა შეიქმნას. ეს ევროინტეგრაციის ერთ-ერთი მოთხოვნაცაა: „ეს მექანიზმი კომპანიას უსაფრთხოების პირობების შექნას აიძულებს. მნიშვნელოვანია ამან ფორმალური სახე არ მიიღოს და აიძულოს მეწარმეები უსაფრთხოებაზე, ჯანდაცვაზე და სიცოცხლეზე საბაზისო მოთხოვნები დააკმაყოფილოს“, – ამბობს ლინა ღვინიანიძე.

გაფიცვების ტალღა

2014 წლის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა რეგიონს მასობრივი გაფიცვების ტალღა მოედო.

პროტესტი თავიდან ბოლნისის რაიონის დაბა კაზრეთში, შემდეგ ჭიათურასა და ზესტაფონში აგორდა.

„სახელმწიფოს დაგვიანებულმა რეაქციამ, ვფიქრობ, ძალიან მოკლე ვადაში წარმართა მედიაცია და ეს შესაძლოა აისახა კიდეც შედეგებზე. ადამიანებს აღარ ჰქონდათ დრო და სივრცე, რომ კიდევ გაეგრძელებინათ დავა საწარმოსთან და მიეღოთ უკეთესი შედეგი. პროცესები ძალიან გაიწელა. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ მგონია, რომ სახელმწიფოს ჩართულობა იყო დაგვიანებული და არაეფექტური“, – ამბობს ლინა ღვინიანიძე.

2013 წლის 13 ნოემბერს მადნის მომპოვებელი კომპანია RMG COPPER-ისა და RMG GOLD-ის თანამშრომლები წინასწარი გაფრთხილების გარეშე პირველად გაიფიცნენ.

მათი მთავარი მოთხოვნა ხელფასების 100%-ით ზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება იყო.

მოლაპარაკებების შედეგად გაფიცულებს კომპანია ანაზღაურების 50%-ით გაზრდას დაჰპირდა. თუმცა რამდენიმე თვეში RMG-ის გენერალური დირექტორი დიმიტრი კალანდაძე სოსო ცაბაძემ შეცვალა და საბოლოოდ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულა.

30 იანვარს RMG COPPER-ის და RMG GOLD-ის საწარმოში დასაქმებული 184 მუშა სამსახურიდან გაათავისუფლეს, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა, სოლიდარობის ნიშნად გაფიცულ მუშებს საწარმოს 500-მდე თანამშრომლიც შეუერთდა.

14 თებერვალს კი საწარმო 3000-მდე თანამშრომელმა დატოვა. ისინი კომპანიის საწინააღმდეგო ქუჩის აქციაში ჩაერთნენ. მათ გვერდით მთელი სოფელი დადგა, რამდენიმე დღე არ ფუნქციონირებდა სკოლები, საბავშვო ბაღები და მაღაზიები.

პარალელურად აქციები ჭიათურაშიც მიმდინარეობდა. მას შემდეგ რაც მაღაროელებს იანვარ-თებერვლის ანაზღაურება სრულად არ დაერიცხათ, 3500-მდე მაღაროელმა მუშაობა შეწყვიტა და აქციები დაიწყო.

მუშები ხელფასის ზრდას, სამუშაო პირობებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. გაფიცვის შედეგად კომპანია მუშებს აპრილიდან ხელფასების 7%-ით გაზრდას შეჰპირდა.

ჭიათურელი მაღაროელების მიმართ სოლიდარობა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის 30-მდე მუშამაც გამოხატა და შესვენების დროს 1-დღიანი აქცია გამართა.

ჭიათურისგან განსხვავებით, კაზრეთში საპროტესო აქცია 40 დღემდე გაგრძელდა. 10 დღის განმავლობაში კომპანია RMG-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მუშებს კარვები ჰქონდათ გაშლილი და შიმშილობდნენ.

კაზრეთელი მუშების მხარდასაჭერად აქციები თბილისში, კანცელარიასთანაც გაიმართა. მათ მხარი მოქალაქეებმა, სტუდენტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს.

სამსახურიდან გათავისუფლებული თანამშრომლების აღდგენა, კომპანიის მენეჯმენტის შეცვლა, ანაზღაურების გაორმაგება, სამუშაო ინვენტარისა და სამედიცინო სადაზღვევო პაკეტის გაუმჯობესება – ეს ის ძირითადი მოთხოვნები იყო, რის გამოც დაბა კაზრეთი მასშტაბურ აქციებში ჩაერთო.

რამდენიმე დღეში ჯანდაცვის სამინისტრომ პროფკავშირებთან შეთანხმების საფუძველზე კომპანიასა და მუშების წარმომადგენლებთან მედიატორად ირაკლი ყანდაშვილი დანიშნა.

ორკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 24 მარტს, ყანდაშვილმა საზოგადოებას ამცნო, რომ კაზრეთში აქციები შეწყდა და კომპანიასა და მუშებს შორის შეთანხმება შედგა.

შეთანხმების ტექსტში წერია, რომ კომპანია მზადაა, სამსახურში აღადგინოს გათავისუფლებული 80 მუშა, დანარჩენების დაბრუნება კი კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად მოხდება. გარდა ამისა, კომპანია შეთანხმებით ამ კატეგორიის მუშებს ორი თვის კომპენსაციას გადაუხდის. სამსახურში აღსადგენი დანარჩენი მუშებისგან შედგება სია და კომპანიაში ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში, მათ აიყვანენ.

გარდა ამისა, კომპანიაში შეიქმნება შრომითი ურთიერთობების, საჩივრებისა და დავების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც შეისწავლის დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ ურთიერთობებს.

დაბოლოს, თუ კომპენსაციების გაცემის შემდეგ კომპანია საწარმოში დანარჩენ მუშებს ვერ აღაგდენს, ადმინისტრაცია დაეხმარება დასაქმებულს, რომ მათ თავიანთი ხელფასებიდან წერილობითი თხოვნის საფუძველზე თანხა გამოუყონ სამსახურის გარეშე დარჩენილ მუშებს.

თუმცა დაბალანაზღაურებადი მუშებისთვის ხელფასების 15%-იანი ზრდის შესახებ შეთანხმების ოფიციალურ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი. როგორც კომპანიაში გვეუბნებიან, ანაზღაურების გაზრდა სწორედ მათი ინიციატივით მოხდა.

გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ RMG-ის ადმინისტრაციასა და მუშებს შორის შეთანხმების შესახებ საზოგადოებაში განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდა. სახელმწიფომ და პროფკავშირებმა მოლაპარაკებებს წარმატებული და მუშებისთვის მისაღები უწო-

დეს. თუმცა „ლიბერალთან“ საუბარში მუშები აცხადებენ, რომ რეალურად, კომპანიამ მათი მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და აქციების შეწყვეტის ნამდვილი მიზეზი მძიმე სოციალური ფონი გახდა:

„40 დღე, ხალხი გატყდა, ლუკმა-პური აღარ ჰქონდათ. წარმოიდგინეთ, 2 თვე ხელფასები არ გვქონია, მაღაზიაც აღარ გასცემდა „ნისიებს“. ხალხი შიმშილობდა და ბოლოს სხვა გზა არ დაგვრჩა“, – ამბობს ლადო ასლანიშვილი, რომელიც კომპანიას სამსახურში არ აღუდგენია.

გაერთიანებული პროფკავშირების თამჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია ამ შეთანხმებას დამაკმაყოფილებელს უწოდებს: „ჩვენ ხელფასების ნაწილში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მივაღწიეთ. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ არის ცოტა, დაახლოებით 300 – 400 კაცს აპრილშივე უნდა მოემატოს ანაზღაურება“.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოციალურ საკითხებში ბექა ნაცვლიშვილი, მედიაციის პროცესს თვალყურს ადევნებდა და, როგორც ამბობს, საკითხის განხილვის პროცესში პირადად იყო ჩართული.

მისი განმარტებით, შეთანხმება მუშების თითქმის ყველა მოთხოვნაზე შედგა:

„შესაძლოა ვიღაცისთვის ეს დამაკმაყოფილებელი არ იყო. მედიაცია როცა ერთვება, სიტუაცია უკვე კრიზისულია ხოლმე. თორემ, თავიდან იმედი გვქონდა, რომ პროცესები მოგვარდებოდა. როცა პროცესი ჩიხში შევიდა, სწრაფად დაინიშნა მედიატორი ფორსმაჟორულ სიტუაციაში. ეს იყო კომპრომისზე დაფუძნებული შეთანხმება, რასაც მედიაცია თავისთავად გულისხმობს“.

თუმცა EMC-ის იურისტი ლინა ღვინიანიძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო შრომით დავაში, რომელიც RMG-სა და მუშების წარმომადგენელს შორის მიმდინარეობდა, გვიან ჩაერთო და ამან, რეალურად გაფიცვის შედეგებზეც მოახდინა გავლენა:

„სახელმწიფოს დაგვიანებულმა რეაქციამ, ვფიქრობ, ძალიან მოკლე ვადაში წარმართა მედიაცია და ეს შესაძლოა აისახა კიდეც შედეგებზე. ადამიანებს აღარ ჰქონდათ დრო და სივრცე, რომ კიდევ გაეგრძელებინათ დავა საწარმოსთან და მიეღოთ უკეთესი შედეგი. პროცესები ძალიან გაიწელა. ეს, რა თქმა



კაზრეთელმა მუშებმა მთავრობის ყურადღების მისაქცევად აქციები კანცელარიასთანაც გამართეს, მარტი 2014

ფოტო/ლევან ნინიძის ინსტიტუტი

„RMG-ის გენერალურ დირექტორს, სოსო ცაბაძეს კი „ლიბერალის“ მიერ დასმულ შეკითხვაში შესწორებები შეაქვს და გვიხსნის, რომ კომპანიამ მუშების გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ეკონომიკური კრიზისი კი არა, ეკონომიკური სირთულეები დაასახელა. მისივე თქმით, ამ სირთულეებმა თავი მას შემდეგ იჩინა, რაც მუშებს უვადო ხელშეკრულებები დაუდო.

უნდა, გავლენას ახდენდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ მგონია, რომ სახელმწიფოს ჩართულობა იყო დაგვიანებული და არაეფექტური“, – ამბობს ლინა ღვინიანიძე.

განსხვავებული მოსაზრება აქვს ბექა ნაცვლიშვილს, რომელმაც განგვიმარტა, რომ კომპანიასთან მოლაპარაკებებს თავდაპირველად პროფკავშირი აწარმოებდა, შემდეგ პროცესში ქვემო ქართლის გუბერნატორიც ჩაერთო: „სახელწმიფო პირდაპირ ვერ ჩაერეოდა, ეს არაა მიღებული. მათ ერთმანეთში უნდა ელაპარაკათ. როცა გუბერნატორმა ვერ მოახერხა დავის მოგვარება, მედიატორი სწრაფი ტემპით ჩაერთო. სირცხვილია, როცა ამბობენ, რომ სახელმწიფომ დაასუსტა აქციის მონაწილეები და თითქოს კომპანიის მხარეს დადგა“.

ლინა ღვინიანიძეს შეკითხვები უშუალოდ მედიაციის მიმდინარეობის პროცესის ირგვლივაც აქვს. მისი თქმით, კომპანიის მიერ ფინანსური კრიზისის შესახებ გაკეთებული განცხადება მედიაციის დროს განხილულიც არ ყოფილა.

„როგორც ვიცით, მედიაციის ფარგლებში საერთოდ არ ყოფილა საუბარი ფინანსურ კრიზისზე. არადა ეს მუშების გათავისუფლების ერთადერთი არგუმენტი იყო. კომპანიას ამის შესახებ მტკიცებულებებიც არ წარმოუდგენია“.

გარდა ამისა, ლინა ღვინიანიძის თქმით, საინტერესო ფაქტია, რომ RMG-მ შემდეგ გათავისუფლებულ მუშებს ორი კვირით ადრე უვადო ხელშეკრულებები გაუფორმა: „შრომის კოდექსით“ უვადო ხელშეკრულების შეწყვეტა დამსაქმებელს განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში შეუძლია. რატომ შეუწყვიტა კომპანიამ უვადო ხელშეკრულებები მუშებს და რა იყო ეს განსაკუთრებული შემთხვევა, საწარმოს ხელმძღვანელობას ეს არ განუმარტავს“.

RMG-ის გენერალურ დირექტორს, სოსო ცაბაძეს კი „ლიბერალის“ მიერ დასმულ შეკითხვაში შესწორებები შეაქვს და გვიხსნის, რომ კომპანიამ მუშების გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად ეკონომიკური კრიზისი კი არა, ეკონომიკური სირთულეები დაასახელა. მისივე თქმით, ამ სირთულეებმა თავი მას შემდეგ იჩინა, რაც მუშებს უვადო ხელშეკრულებები დაუდო:

„ორი კვირით ადრე არავის შეეძლო პროგნოზირება, რომ კომპანიას ასეთი სირთულეები ექნებოდა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა“.



რაც შეეხება მიღწეულ შეთანხმებას, სოსო ცაბაძე ამბობს, რომ ხელფასების გაზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება კომპანიას გაფიცვამდე ჰქონდა დაგეგმილი.

„მუშებს საკმაოდ ბევრის დათმობა მოუწიათ“, – ასე აფასებს საბოლოოდ შეთანხმე-

ფოტო: სერგი კუტუბაძე

გაფიცულ მუშებს სოლიდარობა მოქალაქეებმა, სტუდენტებმა
და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმაც გამოუცხადეს. კაზრეთი, თებერვალი 2014

ბის პირობებს ლინა ღვინიანიძე და განმარტავს, რომ შესაძლოა კომპანიასა და მუშებს შორის გარკვეული შეთანხმება შედგა. თუმცა ისიც უნდა გავიაზროთ, რეალურად რას ითხოვდნენ საწარმოს თანამშრომლები და საბოლოოდ რა მიიღეს: „მნიშვნელოვანია, გავიაზროთ საბოლოოდ, მუშების რა მოთხოვნები დაკმაყოფილდა სრულად, რა ნაწილობრივ და რა არ დაკმაყოფილებულა საერთოდ. გაფიცვების დროს ითხოვდნენ 152 ადამიანის უპირობოდ აღდგენას, ხელფასების გაზრდას და მენეჯმენტის ცვლილებას. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კრიტიკულ მოთხოვნებზე მოლაპარაკება არ შედგა. ხელფასებიც ყველა მუშას არ გაზრდია, 152-დან მხოლოდ 80 დაუბრუნდა სამსახურს, მენეჯმენტი კი კომპანიას ისევ უცვლელი ჰყავს“.

თვითმკვლელი პატიმრების გადასარჩენად

სასამართლოსთან დაკავშირებული სტრესი, ოჯახური კავშირების რღვევა, ფსიქიკური აშლილობები, წამალდამოკიდებულება, სხვადასხვა დაავადებები და მათი მკურნალობა, რომელიც დეპრესიას იწვევს... ეს იმ მიზეზთა არასრული ჩამონათვალია, რაც პატიმართა თვითმკვლელობისკენ მიდრეკილებას ცხადს ხდის. ამ მიზეზების ბრალია, რომ პენიტენციური სისტემის ბინადარნი სუიციდის გამო ე.წ. მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან.

ზურაბ ვარდიაშვილი

2013 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში მსჯავრდებულთა სიკვდილის 25 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან 6-მა მათგანმა, ანუ გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 24%-მა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს მაჩვენებელი წინა, 2012 წლის მონაცემს აღემატება. 2012 წელს თავი ოთხმა პატიმარმა მოიკლა.

2004 წლიდან დღემდე ციხეში თავი 60-ზე მეტმა ადამიანმა მოიკლა, თუმცა ამ საკითხის შესახებ საზოგადოებრივი დისკუსია განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც გასული წლის ოქტომბერში 16 წლის გოგა ძველაია ქუთაისის N2 დაწესებულებაში გარდაცვლილი იპოვნეს. გამოძიების ვერსიით, მან თავი ჩამოიხრჩო. არასრულწლოვანი საპყრობილეში ერთი დღის მიყვანილი იყო.

ცნობილია, რომ ადამიანის, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვნის ციხეში მოხვედრიდან, სწორედ პირველი 24 საათია უმნიშვნელოვანესი. ამ შოკური, კრიზისული ფაზის დროს დაპატიმრებულს ყველაზე მეტად სჭირდება ფსიქოლოგიური დახმარება.

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი თვითმკვლელობების თავიდან აცილების ვალდებულებას სამედიცინო პერსონალს აკისრებს. კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონალის სწავლებას, სათანადო პროცედურების დაწესებასა და დაცვას, ციხის თანამშრომლების მიერ სუიციდური საფრთხის შეცნობას.

ევროკონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, პატიმრებზე სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება. სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, მიიღოს ზომები მათ დასაცავად, „ვინც შესაძლოა სი-

ტუბერკულოზის სამკურნალო ცენტრი ქსანში, თბილისი, 2014

ფოტო: ლევან ხარბედია

ცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს". ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „ციხის ადმინისტრაციამ იმგვარად უნდა განახორციელოს მისი უფლებამოსილებები, რომ თვითდაზიანების საფრთხეც მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და პატიმრის პირადი თავისუფლებაც არ შეილახოს".

2013 წლის 7 ნოემბერს, არასრულწლოვანი პატიმრის თვითმკვლელობიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, იურიდიული დახმარების, პრობაციისა და სასჯელაღსრულების საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა და პენიტენციურ სისტემაში სუიციდის პრევენციის პროგრამის შესახებ მათი მოსაზრებები მოისმინა.

სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე დღეს უკვე ამ პროგრამის შედეგებზე საუბრობს: „პროგრამა 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში N8 დაწესებულებაში დაიწყო. მასში სუიციდის მაღალი რისკის სულ 32 პაციენტი ჩაერთო. ამ პაციენტიებიდან 3-4 თვის განმავლობაში არც ერთი თვითმკვლელობა არ დაფიქსირებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 წლიდან დღემდე, ციხეში თავი 60-ზე მეტმა ადამიანმა მოიკლა, თუმცა ამ საკითხის შესახებ საზოგადოებრივი დისკუსია განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც გასული წლის ოქტომბერში 16 წლის გოგა ძველაია ქუთაისის N2 დაწესებულებაში გარდაცვლილი იპოვნეს. გამოძიების ვერსიით, მან თავი ჩამოიხრჩო. არასრულწლოვანი საპყრობილეში ერთი დღის მიყვანილი იყო.

ის მხოლოდ ორმა მათგანმა სცადა". მინისტრის მოადგილის შეფასებით, ეს ძალიან კარგი შედეგია, რის გამოც სამინისტრომ პროგრამის მთელ სისტემაში თანდათანობით გაფართოება გადაწყვიტა.

"პროგრამის ფარგლებში მობილიზებული რგოლები – ოჯახის ექიმი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოცმუშაკი, უსაფრთხოების ოფიცერი – და მათი თანამშრომლობა ეფექტური აღმოჩნდა", – ამბობს თალაკვაძე.

ის „ლიბერალთან" საუბარში ხაზს უსვამს, რომ „სუიციდის პრევენციის პროგრამებს აბსოლუტური შედეგები არსად არ აქვს".

თალაკვაძეს შესადარებლად უცხოეთის მაგალითები მოაქვს: „ბრიტანეთის მაჩვენებლის მიხედვით, 10 000 პატიმარზე 8.5 სუიციდის შემთხვევაა; გერმანიის რამდენიმე ციხის მონაცემების თანახმად, 3500 პატიმარზე 5-6 თვითმკვლელობა მოდის; ჩვენთან 10 000 პატიმარზე 6 სუიციდის შემთხვევა ფიქსირდება"... ამ მონაცემების ჩამოთვლით მინისტრის მოადგილეს სურს აგვიხსნას, რომ „საქართველოში სუიციდების სიმრავლე არ ფიქსირდება".

სუიციდის პროგრამის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სპეციალური სკრინინგ-ტესტის მეშვეობით დადგინდეს, აქვს თუ არა პენიტენციურ სისტემაში შესულ ბრალდებულს თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება.

„ხართ თუ არა უხასიათოდ? გაქვთ თუ არა სუიციდის შესახებ აზრები? გიცდიათ თუ არა ადრე თვითმკვლელობა?"... ეს არის მარტივი კითხვარი, რომელსაც პატიმარი ციხეში შესვლისთანავე ავსებს. მისი პასუხები შესაბამისი ქულებით ფასდება. თუ ქულებმა საგანგაშო მაჩვენებელს მიაღწია, მაშინ იწყება ე.წ. ინტერვენცია და საქმეში სპეციალისტი ერთვება. სპეციალისტი დამატებით, ჩაღმავებული ინტერვიუთი ცდილობს გაარკვიოს, როგორი ფსიქიკური მდგომარეობა აქვს პატიმარს – დეპრესია იქნება ეს თუ შფოთვა. ამ ეტაპზეა დამოკიდებული, შეფასდება თუ არა პატიმარი, როგორც სუიციდის საფრთხის მატარებელი.

რამდენად სანდოა კითხვარი? ფსიქიატრი ნანა ზავრადაშვილი ერთ-ერთია, რომელიც სამინისტროს მის შედგენაში ეხმარებოდა. ზავრადაშვილის მთავარი მოვალეობა საერთაშორისო დონეზე აპრობირებული კითხვარების საქართველოში ადაპტირება იყო, რადგან „კულტურით, ტრადიციებით, ფსიქოლოგიური ტიპებით ნებისმიერი ქვეყანა განსხვავდება ერთმანთისგან. კითხვა, რომელიც საფრანგეთში, ნორვეგიაში ან ინგლისში მუშაობს, შესაძლოა საქართველოსი არ გამოდგეს", – გვეუბნება ზავრადაშვილი.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში, რომელიც ზოგადად, განსაკუთრებული სიმკაცრით არ გამოირჩევა, განხილულ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა:

"გამოკითხვა არ ხდება სუიციდური ფიქრების, ზრახვების, გეგმების გამოვლინების, სუიციდის რისკის და სუიციდური ქმედების განმეორების ალბათობის გამოსავლენად. არ ხდება პარასუიციდისა და სუიციდის ერთმანეთისაგან დიფერენცირება. შესაბამისად არ ხდება ფსიქიატრიული/ფსიქოლოგიური დახმარების და დაკვირვების განსხვავებული პირობების რეკომენდირება. სამედიცინო სამსახური და დაწესებულების პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი სუიციდის, აგრესიული ქცევის, დეპრესიის ან სტრესის მართვის ალგორითმებით და არც შესაბამისი პროფესიული მომზადება გაუვლია", – ვკითხულობთ ომბუდსმენის საპარლამენტო ანგარიშში. ანგარიში 2013 წელს საქართველოში ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობას მიმოიხილავს.

სუიციდის პრევენციის პროგრამის განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში დაიწყო და გასაკვირი არაა, თუ ომბუდსმენის ანგარიშში მისი შედეგები ვერ აისახა. თუმცა პენიტენციური სისტემა საზოგადოებრივი ყურადღების არეალში რჩება. ყოველი ძალადობრივი სიკვდილი, მათ შორის თვითმკვლელობაც საზოგადოებრივი განსჯის და პოლიტიკური დაპირისპირების ახალ ტალღას იწვევს, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის ყოველი მარცხი თუ წარმატება განსჯის საგანი კიდევ ბევრჯერ გახდება.

PENAL REFORM INTERNATIONAL
Promoting fair and effective criminal justice
პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

სტატია მომზადებულია პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმების ხელშეწყობა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მეშვეობით" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა". სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა" და მასში გადმოცემული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მართმსაჯულება ONLINE

სასარგებლო ინოვაცია, კონტროლის მექანიზმი თუ არამიზნობრივად დახარჯული ფული?

ქეთევან ღვედაშვილი

ბევრ თქვენგანს სასამართლო პროცესი შესაძლოა მხოლოდ ფილმებში უნახავს: დაპირისპირებული მხარეების დაძაბული, გონებრივი შეტაკება; ჩახლართული, დეტექტიური სიუჟეტები; თავგზაამბნევი, ჯვარედინი დაკითხვები; ბოლომდე დაჭიმული ნერვები; აწეული ტემპერატურა; დრამატული სცენები... საინტერესოა, არა?

თუმცა ვიდრე პროკურორები და ადვოკატები წინასწარ გათვლილი სტრატეგიებითა და ტაქტიკით ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, მანტიამოსხმული მოსამართლე ხის ჩაქუჩს აღმართავს და ადამიანთა ბედის განმსაზღვრელი, აზარტული, მკაცრი, ინტელექტუალური შეტაკება დაიწყება. მანამდე კი დამღლელი, რუტინული, მოსაწყენი, გაჭიანურებული პროცედურებია გასავლელი.

თუ თქვენი გამოცდილება მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებით არ შემოიფარგლება და თვალებახვეული ქალღმერთის სასახლეში ფეხი ერთხელ მაინც შეგიდგამთ, უფრო კონკრეტულად კი ყოფილხართ "მხარე", გეცოდინებათ მრავალჯერ განმეორებად იდენტურ მოქმედებათა შედეგი – წყობილებიდან გამოსვლა, დაკარგული დრო, ზარალი... არა მხოლოდ მორალური...

განსახილველ საქმეთა სიმრავლე, მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი გამჭვირვალობა, პროცესების გაჭიანურება – ეს საქართველოს სასამართლოების წინაშე არსებული გამოწვევების არასრული ჩამონათვალია. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით შეიქმნა ახალი ელექტორნული საქმის წარმოების პროგრამა.

პროგრამა სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ყოველგვარი დოკუმენტისა და მასალის ელექტრონულ

აღრიცხვას გულისხმობს და მიზნად პროცედურების გამარტივებას, ტექნიკური სამუშაოსგან ადამიანების გათავისუფლებას ისახავს.

მას შემდეგ, რაც თქვენთვის საჭირო დოკუმენტი სასამართლოში მოხვდება, მისი დარეგისტრირებიდან პროცესის ჩანიშვნამდე სხვადასხვა პროცედურის გავლისას ერთი და იგივე ინფორმაცია მრავალჯერ განმეორდება – პირველადი რეგისტარციისას, თანაშემწესთან, მოსამართლესთან... ყოველ ჯერზე ყველა მონაცემები თავიდან დაიწერება.

ელექტრონული საქმისწარმოების დროს კი ერთხელ შეტანილი ინფორმაცია, დოკუმენტის „გამოძახებისას" ავტომატურად ჩნდება და ყოველ ჯერზე მისი ხელახლა შეტანა საჭიროა არ არის. ეს მომსახურე პერსონალისთვის, მოსამართლეებისთვისა და კანცელარიის თანამშრომლებისთვის შიდა პროცედურებს ამარტივებს.

ელექტორნულ საქმისწარმოებას სხვა პლიუსებიც აქვს, რომლითაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია სარგებლობა. ვებმისამართზე ecourt.ge გარე მომხმარებლები მათთვის საინტერესო ინფორმციას მიიღებენ. აქაა განთავსებული ყველა სიახლე: ონლაინ კონსულტაციები, ელექტონული ბიბლიოთეკა, მოსამართლის გადაყვეტილებები... გადაწყვეტილებები მოსამართლის ხელმოწერიდან 24 საათში ქვეყნდება.

მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საძიებო სისტემის მეშვეობით მსგავს საქმეზე გამოტანილი განაჩენების ნახვა შეეძლება. ეს კი საშუალებას მისცემს, რომ სასამართლოში არსებული პრაქტიკა გააანალიზოს და მისით იხელმძღვანელოს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი შემდგომში სხვა მოსამართლისთვის იქნება მაგალითი.

მხარეებს სასამართლოსადმი მიმართვა ვიზიტის გარეშე შეუძლია. თუკი ადრე პროცესის დაწყებამდე პროცედურებს – მხარეებისთვის დოკუმენტების გაგზავნასა და შემდეგ დასტურის მიღებას – ერთი თვე და ზოგჯერ მეტი დროც სჭირდებოდა, ელექტრონული საქმისწარმოებით 2-3 დღეც საკმარისი იქნება.

იდეის ავტორი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანია. ის პროგრამის დანერგვამდე 15-მდე ქვეყნის მოდელს გაეცნო.

„ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში სისხლის სამართლის საქმეები ნაწილობრივაა განთავსებული. ველოდებით შსს-სთან და პროკურატურასთან ინტეგრირებას. ამჟამად ხელმისაწვდომი მხოლოდ არსებითი საქმეები – დაახლოებით 20 000-მდე გადაწყვეტილებაა", – გვეუბნება ახვლედიანი.

თუ თქვენი გამოცდილება მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებებით არ შემოიფარგლება და თვალებახვეული ქალღმერთის სასახლეში ფეხი ერთხელ მაინც შეგიდგამთ, უფრო კონკრეტულად კი ყოფილხართ „მხარე", გეცოდინებათ მრავალჯერ განმეორებად იდენტურ მოქმედებათა შედეგი – წყობილებიდან გამოსვლა, დაკარგული დრო, ზარალი... არა მხოლოდ მორალური...

ელექტრონული საქმისწარმოება დაშტრიხული გადაწყვეტილებების პრობლემასაც ხსნის. ხშირად მხარეებს სურთ, რომ სახელები და გვარები შეცვლილი იყოს. მაგრამ საქმეთა სიმრავლის გამო ყველა დოკუმენტში მათი შეცვლა შეუძლებელია. პროგრამის მეშვეობით კი თუკი სახელი და გვარი ერთგან ამოიშლება, იგი სხვა დანარჩენ ადგილებშიც დაშტრიხული იქნება.

სასამართლოსადმი მიმართვის შემდეგ, კოდი და პაროლი გეძლევათ, რის მეშვეობითაც info.court.ge-ზე შესვლა და თქვენს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების ონლაინრეჟიმში ნახვას შეძლებთ. აღნიშნული ვებგვერდის მეშვეობით სარჩელს შეიტანთ, შუამდგომლობას დააყენებთ, ბაჟს გადაიხდით და ყველა იმ პროცედურას შეასრულებთ, რის გამოც მანამდე სასამართლოში უნდა მისულიყავით.

მამუკა ახვლედიანის ინფორმაციით, ივნისიდან დისტანციური ჩართვებიც დაიწყება და ადვოკატებს ბათუმში, ქუთაისში ან რაიონულ სასამართლოებში ჩანიშნულ პროცესებში მონაწილეობის მიღება თბილისიდან შეეძლებათ. ეს ადოკატებს მუშაობის პროცესს გაუადვილებს. გარდა ამისა, რეგიონების მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდება თბილისში მომუშავე ადვოკატების მომსამხურება.

რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით, ავტორიზებული მომხმარებლისთვის ელექტრონული საქმისწარმოება ფასიანია და ტარიფი სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის განმარტებით, მინიმალური საფასური 50 ლარია. მხარეების მიერ პროგრამის გამოყენების ფასს ტენდერში გამარჯვებული კომპანია არეგულირებს. საქმის ელექტრონულად წარმოების სერვისს მხარეებს ის შესთავაზებს და ყველა იმ საქმეს ასრულებს, რაც აქამდე სასამართლოს კანცელარიას ევალებოდა. მიღებული მოგების ნაწილს კი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადასცემს.

ამ ეტაპზე ელექტრონულ მართლმსაჯულებაში ჩართულია პირველი ინსტანციის ყველა სასამართლო. თბილისის სააპელაციო სასამართლოში ტესტირების ეტაპი დასრულდა. მამუკა ახვლედიანი ვარაუდობს, რომ ელექტრონული მართლმსაჯულების პროგრამაში, გეგმის მიხედვით, აპრილის განმავლობაში – ქუთაისის სააპელაციო, მაისში კი უზენაესი სასამართლოც ჩაერთვება.

* * *

საქმის ელექტრონული ფორმით წარმოება ადვოკატ ზვიად კორძაძისთვისაც მოსახერხებელია, იურისტი მიიჩნევს, რომ მტკიცებულებების გაცვლისა და დოკუმენტების წარდგე-

ნის პროცესი პროგრამის მეშვეობით უფრო ოპერატიული გახდება. გარდა ამისა, საქმეში არსებული მასალების გაცნობა ადვოკატებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ და ამისთვის სასამართლოში მისვლა და დოკუმენტების გამოთხოვა აღარ დასჭირდებათ.

ზვიად კორძაძე რეგიონების პრობლემებზეც საუბრობს და გვეუბნება, რომ ადვოკატების მომსახურების დონე შესაძლოა თბილისში უფრო მაღალი იყოს. თუმცა რეგიონების მოსახლეობისთვის ეს ძვირი სიამოვნებაა.

„ზოგჯერ ადვოკატს იქ ჩასვლა არამხოლოდ პროცესში სამონაწილეოდ, არამედ ნებისმიერი მოქმედების შესასრულებლადაც უწევს. როცა ელექტრონული წარმოება ასეთი მოგზაურობის რაოდენობას შეამცირებს ან საერთოდ გამორიცხავს, ეს ადვოკატს შესაძლებლობას მისცემს, რომ თავისი შრომა უფრო ნაკლებად დააფასოს. შესაბამისად, მისი მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი გახდება", – განმარტავს კორძაძე.

საქმის ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლო სამუშაო შეხვედრებს ბანკებთან და მსხვილ ორგანიზაციებთანაც მართავს.

როგორც "ლიბერალს" TBC ბანკის პრესსამსახურიდან აცნობეს, ბანკი სასამართლოს თვეში საშუალოდ 5-ჯერ მიმართავს.

ბანკის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, მაია ძირკველიშვილის განცხადებით – "ზედმეტი დროის დაკარგვა საბუთების ტარებაში საჭირო აღარ იქნება და ორგანიზაცია ონლაინატვირთვით, უმოკლეს დროში შეასრულებს პროცედურებს. მით უმეტეს, რომ პროცესისათვის თვალის მიდევნება ასევე ონლაინ, ოფისიდან გაუსვლელად შეგვეძლება".

* * *

სასამართლოსთან ელექტრონული კომუნიკაცია საქართველოს მთავარ პროკურატურას ადრეც ჰქონდა. მაგრამ ეს პროკურატურის პროგრამის მეშვეობით ხდებოდა. ახლა ეს კომუნიკაცია დროებით შეწყვეტილია, ვიდრე პროკურატურა სასამართლოების საერთო ელექტრონულ სისმტემაში სრულად არ ჩაერთვება.

"როდესაც დოკუმენტებს ელექტრონულად ვცვლიდით, ეს გაცილებით ეფექტური და ოპერატიული იყო, გვითხრა ლონდა თოლორაიამ, მთავარი პროკურატურის სტატისტიკის ანალიზისა და ინოვაციური პროექტების სამსახურის უფროსმა. მისი ინფორმაციით, სასამართლოსა და პროკურატურას შორის კონსულტაციები მიმდინარეობს. მისთვის უცნობია, პროკურატურა სასამართლოს ელექტრონულ სისმტემაში ჩართვას რა დროისთვის მოახერხებს, თუმცა ვარაუდობს, რომ ეს წლის ბოლომდე მოხდება.

მხარეებს სასამართლოსადმი მიმართვა ვიზიტის გარეშე შეუძლია. თუკი ადრე პროცესის დაწყებამდე პროცედურებს - მხარეებისთვის დოკუმენტების გაგზავნასა და შემდეგ დასტურის მიღებას – ერთი თვე და ზოგჯერ მეტი დროც სჭირდებოდა, ელექტრონული საქმისწარმოებით 2-3 დღეც საკმარისი იქნება.

* * *

მაია ბაქრაძე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს განსჯის. ის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამას გაეცნო, დატესტა და მასში მუშაობაზე უარი განაცხადა.

პროგრამა მისთვის არაკომფორტული აღმოჩნდა: „დასკანერებულ დოკუმენტებთან მუშაობა შეუძლებელს ხდის მნიშვნელოვანი ადგილების გახაზვას, „გამარკერებას", მონიშვნას. ეს კი მასალის აღქმასა და გათავისებაში ხელს გიშლის, მუდმივად ეკრანთან გიწევს მუშაობა, გადატვირთული გაქვს მხედველობა, გონება..."

ამასთან ერთად, როგორც ჩანს, პროგრამა სააპელაციო სასამართლოში მუშაობისთვის გათვლილი არ არის. სააპელაციო სასამართლოში საქმეებს სამი მოსამართლე განიხილავს. განხილვის დაწყებისას, როდესაც პროგრამაში მოსამართლეების ვინაობა დაფიქსირდება, ის აღარ იცვლება. „თუ რომელიმე მოსამართლე, ვთქვათ, ავად გახდა, და მას სხვა ცვლის, პროგრამაში ამის ასახვა ვერ ხერხდება და პროცესი ფერხდება", – გვეუბნება ბაქრაძე. მოსამართლე აუდიოდოკუმენტის მოსმენის რეჟიმის ხარვეზზეც საუბრობს. მისი თქმით, აუდიომასალის რამდენიმე წუთით უკან გადახვევა და განმეორება შეუძლებელია და ის ყოველ ჯერზე თავიდან უნდა დაიწყო.

ვისთვის ვაკეთებთ ამას? – კითხვას სვამს მოსამართლე, მისი დაკვირვების შედეგად პროგრამა ყველაზე მოსახერხებელი ადმინისტრაციული ორგანოებისა და მსხვილი კორპორაციებისთვისაა.

მაია ბაქრაძე დახარჯული თანხების მიზნობრიობას არ ამართლებს – „აპარატი გადატვირთულია, მოსახლეობის დიდი ნაწილი სასამართლო ბაჟს ვერ იხდის, საქალაქო სასამართლოს შენობაში ტევა არ არის. უკეთესი იქნებოდა ფინანსები ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად მიემართათ", – ამბობს ის.

თუმცა ყველაზე მთავარ პრობლემად მაია ბაქრაძე იმას მიიჩნევს, რომ „როდესაც მოსამართლე ამ პროგრამაში მუშაობს, არ აქვს განცდა, რომ ამ დროს მარტოა. მოსამართლის ყოველი საპროცესო მოქმედება და მათი შესრულების ვადები აღირიცხება და ფიქსირდება.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით სარგებლობა ჯერჯერობით ნებაყოფილობითია. როდესაც მისი პილოტირება ყველა ინსტანციას მოიცავს, შემდეგ გავიგებთ გახდება თუ არა ის სავალდებულო ყველა მოსამართლისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში პროგრამა შემდგომ განვითარებასა და დახვეწას საჭიროებს.

ჩობოჩ ვაბჩოვებთ ცოდნას?

სალომე გორგოძე

ფოტო: ლევან ხარბედია

უნივერსიტეტში სწავლის ფუნამენტური პრინციპი ცოდნის მიღებისა და შექმნის უწყვეტ პროცესს გულისხმობს, რაც, ერთი მხრივ, სწავლებით – ცოდნის გადაცემით, მეორე მხრივ კი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით – ცოდნის დაგროვებით მიიღწევა. რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? როგორ მიმდინარეობს სამეცნიერო საქმიანობა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში? რამდენად ეძლევათ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ამ საქმიანობაში ჩართვის საშუალება? დაფინანსების მომლოდინე დასრულებული სამეცნიერო კვლევები, მწირი ფინანსური რესურსები, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ასეთია ძირითადი პრობლემები, რომლებზეც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში საუბრობენ.



სტუ-ის ზოგადი ფიზიკის მექანიკის ლაბორატორია.

მარიამ შარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ გეოგრაფიას სწავლობს. მარიამი „სოფლის სოციოლოგთა კლუბის“ წევრია. სტუდენტური კლუბი 2010 წლიდან არსებობს. მისი შექმნის მთავარი მიზანი 1910 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული კვლევის – „სოფელი საუკუნის შემდეგ“ – განმეორება იყო. მარიამისთვის ეს პირველი პროექტია, რომელშიც მკვლევრის სტატუსით მონაწილეობს. ის და მისი მეგობრები თვითონვე გეგმავენ, იკვლევენ და შედეგებს აჯამებენ. 2010 წლიდან დღემდე სტუდენტები საკუთარი ხარჯებით საქართველოს სხვადასხვა სოფლებში დადიან, იქაურ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და დემოგრაფიულ ფონს იკვლევენ.

მარიამის თქმით, კვლევის გახანგრძლივების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არასაკმარისი ფინანსებია. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლები პროექტის დაწერაში დაეხმარნენ და სამომავლოდ გარკვეული სახის დახმარებასაც შეჰპირდნენ. მარიამი ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაღალი ხარისხით წარმართვას. „როცა ეს პროცესი დაბალ დონეზე ტარდება, გამოდის, რომ ფაქტობრივად კარგავ ყველა იმ დროს, რაც დახარჯული გაქვს თეორიული მასალის სწავლაში, რადგან თეორია პრაქტიკის გარეშე, განსაკუთრებით ჩემი მიმართულების სტუდენტისათვის არაფრისმომცემია“, – ამბობს მარიამი.

სანდრო ხუნძაყიშვილი თსუ-ის „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფში“ კვლევის მიმართულების ხელმძღვანელია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მცირე გაერთიანებას წარმოადგენდა, რომლებიც პრობლემურ თემებზე სასაუბროდ უნივერსიტეტის ბაღში იკრიბებოდნენ. მოგვიანებით საინიციატივო ჯგუფის შექმნის იდეაც გაჩნდა, 2013 წელს კი ჯგუფი დარეგისტრირდა როგორც ა(ა)იპ-ი. ჯგუფის წევრები უმეტესად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ჯგუფი კრიმინოლოგიურ და სოციოლოგიურ კვლევებსა და გამოკითხვებს ატარებს, ორგანიზებას უწევს კვლევითი ექსპერიმენტების ჩატარებას.

„ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის“ მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიზანი 14-18 წლის ბავშვების მართლშეგნების გამოვლენა იყო. სანდროს თქმით, პირველ ეტაპზე 500 ბავშვი გამოჰკითხეს, გაზაფხულზე გაცილებით მეტი ბავშვის გამოკითხვას გეგმავენ, - „ამჟამად ვამოწმებთ სტუდენტი ჟურნალისტების მართლშეგნების დონეს. ამ მხრივ პრობლემებია, განსაკუთრებით იურიდიულ ტერმინებთან. დაკავშირებით. კვლევის საფუძველზე გვინდა სპეციალურად მათთვის განკუთვნილი ტრეინინგების სერიის ჩატარება“.

უნივერსიტეტი მათ აუდიტორიებით ეხმარება, პროფესორ-მასწავლებლები საჭირო

■ სანდრო ხუნძაყიშვილი თსუ-ის „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფში“ კვლევის მიმართულების ხელმძღვანელია. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფი“ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა მცირე გაერთიანებას წარმოადგენდა, რომლებიც პრობლემურ თემებზე სასაუბროდ უნივერსიტეტის ბაღში იკრიბებოდნენ. მოგვიანებით საინიციატივო ჯგუფის შექმნის იდეაც გაჩნდა, 2013 წელს კი ჯგუფი დარეგისტრირდა როგორც ა(ა)იპ-ი. ჯგუფის წევრები უმეტესად იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ჯგუფი კრიმინოლოგიურ და სოციოლოგიურ კვლევებსა და გამოკითხვებს ატარებს, ორგანიზებას უწევს კვლევითი ექსპერიმენტების ჩატარებას.

■ თსუ-ში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი 2007 წლიდან არსებობს. დეპარტამენტი ეხმარება ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების თანამშრომლებს დაფინანსების მოპოვებაში, უწევს მათ საკონსულტაციო მომსახურებას, ხელს უწყობს საგრანტო პროექტების მოზიდვას, კონფერენციების ორგანიზებას, სამეცნიერო კვლევების განხორციელებას.

ლიტერატურას აწვდიან. რაც შეეხება ფინანსურ რესურსებს, ამბობს, რომ ყველაფერს საკუთარი ხარჯებით აკეთებენ – „ზოგიერთი კვლევისთვის მინიმალური თანხები ყოფილა საჭირო, რომელიც ფიზიკურად არ გვქონია. ამის გამო კი ბევრი პროექტის შეჩერება მოგვიწია“.

რა ფორმით უნდა ჩაერთოს სტუდენტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში? თსუ-ის მეოთხე კურსის სტუდენტის, ლევან ლორთქიფანიძის თქმით, ამისთვის სტუდენტს რამდენიმე საშუალება აქვს: სასემინარო/ლაბორატორიული სამუშაოები, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ ინსტიტუტებში სტუდენტური პროექტები და უნივერსიტეტის პარტნიორობა შესაბამის საგრანტო დაწესებულებებთან, რომელიც კვლევისთვის კონკრეტულ თანხას გამოყოფს. თუმცა უნივერსიტეტში დღეს არსებული რეალობა ყოველივე ამის განხორციელების საშუალებას არ იძლევა. „სასემინარო სამუშაოები მხოლოდ სასკოლო ფორმატის დონეზეა, ლაბორატორიული სამუშაოები არ არსებობს, სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს მინიმალური დაფინანსება აქვთ საიმისოდ, რომ სტუდენტური პროგრამები ჰქონდეთ, გართულებულია სამეცნიერო საგრანტო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. ანუ სამივე გზა იმისა, რომ სტუდენტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩაერთოს, დღეს შეფერხებულია“, – ამბობს ლევანი

თსუ-ში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი 2007 წლიდან არსებობს. დეპარტამენტი ეხმარება ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების თანამშრომლებს დაფინანსების მოპოვებაში, უწევს მათ საკონსულტაციო მომსახურებას, ხელს უწყობს საგრანტო პროექტების მოზიდვას, კონფერენციების ორგანიზებას, სამეცნიერო კვლევების განხორციელებას.

დეპარტამენტის უფროსის, გიორგი ღვედაშვილის თქმით, დღეისათვის თსუ 16 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აფინანსებს. მათგან 14 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც უნივერსიტეტს 2010-2011 წწ. მთავრობის დადგენილებით შემოუერთდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით ფინანსდება. დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაც სწორედ ამ ინსტიტუტების სამეცნიერო-კვლევითი კოორდინაციაა. ინსტიტუტების დაფინანსების მთავარი წყარო კი მოზიდული გრანტებია.

გიორგი ღვედაშვილი ამბობს, რომ თსუ-ში საგრანტო კონკურსებით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მას მაგალითად ბოლო პერიოდში ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტთა რაოდენობა მოაქვს, რომელშიც თსუ-მ 71 პროექტი აიღო. რაც შეეხება საერთაშორისოდ აღიარებულ პუბლიკაციებს, რომლებიც, მაგალითად, ციტირებულია ტომსონის ბაზაში, 2009-2010 წლის მონაცემებით ამგვარ პუბლიკაციათა რაოდენობა 100-მდე იყო, დღევანდელი მონაცემებით კი 300-ზე მეტია. „ჩვენთან ბუნებრივია ინსტიტუტებშიც და ფაკულტეტებზეც არიან გჯუფები, რომლებსაც ტრადიციულად აქვთ კარგი პუბლიკაციები და პროექტები, თუმცა ეს სრულ სურათს ვერ ქმნის, იმიტომ, რომ რესურსი მაინცადამაინც დიდი არ არის“, – ამბობს გიორგი ღვედაშვილი.

უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისას მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად გიორგი ღვედაშვილი მწირ დაფინანსებასა და არასათანადო მატერიალურ ტექნიკურ ბაზას ასახელებს. მისი აზრით, „სახელმწიფომ მეტი სუბსიდიები უნდა გამოყოს, მაგრამ არა პირდაპირი გზით, არამედ გრძელვადიანი პროექტის საფუძველზე, რომელიც საერთაშორისო ექსპერტიზის დონეზე შეფასდება“.

მწირ ფინანსურ რესურსებსა და მოძველებულ ტექნიკურ ბაზაზე საუბრობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში ზურაბ გასიტაშვილი. გასიტაშვილს მაგალითად ბოლო პერიოდში უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი პროექტები მოაქვს, რომლებიც უკვე დასრულებულია, მაგრამ მათ დასაფინანსებლად სახსრები ჯერ არ გამოძებნილა, – „ჩვენი უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-მუშაკებმა რამდენიმე ახალი პროექტი შექმნეს, რისი წარმატებით განხორციელების საშუალებაც არსებობს ქვეყანაში. მაგალითად, თენგიზ ჯალიაშვილის პროექტი, რომელიც მცენარიდან სტრეს ცილის გამოყოფას ეხება. ამ ტიპის ცილა წარმატებით გამოიყენება წამლებში, პარფიუმერიაში, საკვებ პროდუქტების წარმოებაში და თან გაცილებით ჯანსაღი და სასარგებლოა. გარდა ამისა, რამაზ გახოკიძის პროექტი. ეს პროექტი ნაყოფის თესლის დამუშავების ისეთ მექანიზმებს აწარმოებს, რაც ზრდის პროდუქტის



სტუ-ის ზოგადი ფიზიკის ელექტრობის ლაბორატორია.

ფოტო: ლევან ხარაბაძეისგან

ხარისხობრივ თვისებებს. აქვე აღსანიშნავია, ლამარა სახვაძის პროექტი, სადაც ბაქტერიული შტამებით, ნახშირისა და ტორფის ნაერთის დამუშავებით სასუქს ღებულობს. ეს სასუქი ქიმიურისგან განსხვავებით ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა, რადგან ბუნებრივია. ეს სამივე პროექტი – მოსავლიანობის გაზრდა, სტრეს ცილის მიღება და ბუნებრივი სასუქი – რომ შევაჯეროთ, მათი განხორციელება სოფლის მეურნეობაში ძალიან დიდი წინსვლის საწინდარი გახდება“.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პრაქტიკაში გამოყენების მნიშვნელობაზე საუბრობს გიორგი ჩიქოვანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და აფექტური ნეირომეცნიერების ლაბორატორიის მკვლევარი, მედიცინის დოქტორი.

სოციალური ნეირომეცნიერება “ახალგაზრდა” დისციპლინაა, რომელიც ერთდროულად ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, ნეირობიოლოგიის და თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ინტერდისციპლინურ მიდგომას ეფუძნება. სოციალური ნეირომეცნიერების სრულყოფილი კვლევითი ლაბორატორია ევროპაში სულ რამდენიმეა.

ლაბორატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წელს დაარსდა. პროექტის ინიციატორები უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორი გიგი თევზაძე და სოციალური ნეირომეცნიერების პროფესორი სიმონ სურგულაძე იყვნენ. ლაბორატორიის ფუნქცია სოციალური და აფექტური ნეირომეცნიერების დარგში კვლევების ჩატარებაა; ამავე მიმართულებით ლაბორტორია უძღვება ლექციებსა და სემინარებს.

ამჟამად ლაბორატორიაში, მაგისტრანტების და დოქტორანტების მონაწილეობით მიმდინარეობს მცირებიუჯეტიანი კვლევა იმ სოციალურ-კოგნიტური მახასიათებლების გამოვლენისათვის, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე. კვლევის მიზანია, გაირკვეს, რა წინააღმდეგობები და უპირატესობები აქვთ სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტიპის მქონე ადამიანებს სოციალური ინტერაქციის და საზოგადოებაში ადაპტაციის თვალსაზრისით.

დღეისათვის დასრულებულია კვლევის პირველი, ე.წ. პილოტური ეტაპი, რომლის ფარგლებშიც 140-მდე ფსიქიკურად ჯანმრთელი ცდისპირი გამოიკვლიეს. თითოეულ მა-

■ მარიამ ლეკიშვილი უკვე მეოთხე წელია ჩეხეთში ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში საბანკო და სადაზღვევო საქმეს სწავლობს. წელს ბაკალავრიატს ამთავრებს, დიპლომის დაცვისთვის ემზადება. მარიამის თქმით, უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებულია რამდენიმე ეკონომიკური მიმართულების ჟურნალი, სადაც სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება. ბაკალავრიატის სტუდენტების წვლილი ამ საქმიანობაში შედარებით ნაკლებია. მათ, როგორც დამხმარე სამეცნიერო ძალას, ძირითადად კათედრების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ეძლევათ. „რაც მახსოვს, თითქმის ყველა კათედრას შემოუთავაზებია თანამშრომლობა. მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის თანამშრომლობა უკვე სხვა სახეს იღებს, სტუდენტები ძირითადად კვლევებისა და სტატიების შექმნაში იღებენ მონაწილეობას.“

თგანში შეისწავლეს და შეაფასეს ისეთი ფსიქოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა ემპათიის უნარი, აუტიზმისკენ ან გარე სამყაროს პარანოიალური აღქმისკენ მიდრეკილება. მარტიდან კვლევის მეორე, გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი ეტაპი დაიწყო.

გიორგი ჩიქოვანის თქმით, კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. კვლევის შედეგები შეიძლება გამოიყენონ, როგორც თერაპიულ საქმიანობაში, ასევე ორგანიზაციული მენეჯმენტის ნებისმიერ სფეროში. „ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იქმნება თეორიული ბაზა იმისა, თუ როგორ დაეხმარო ადამიანს, მათ შორის ფსიქოთერაპიის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებით. გარდა ამისა, კვლევის შედეგები გამოსადეგი იქნება პედაგოგიურ საქმიანობაშიც".

მარიამ ლეკიშვილი უკვე მეოთხე წელია ჩეხეთში ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში საბანკო და სადაზღვევო საქმეს სწავლობს. წელს ბაკალავრიატს ამთავრებს, დიპლომის დაცვისთვის ემზადება. მარიამის თქმით, უნივერსიტეტის ბაზაზე რამდენიმე ეკონომიკური მიმართულების ჟურნალია დაფუძნებული, სადაც სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები იბეჭდება. ბაკალავრიატის სტუდენტების წვლილი ამ საქმიანობაში შედარებით ნაკლებია. მათ, როგორც დამხმარე სამეცნიერო ძალას, ძირითადად კათედრების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ეძლევათ. „რაც მახსოვს, თითქმის ყველა კათედრას შემოუთავაზებია თანამშრომლობა. მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის თანამშრომლობა უკვე სხვა სახეს იღებს, სტუდენტები ძირითადად კვლევებისა და სტატიების შექმნაში იღებენ მონაწილეობას.“

ნიკა მეშველიანმა ცხრა კლასი საქართველოში დაასრულა, შემდეგ განათლების მისაღებად საზღვარგარეთ ჯერ ამერიკაში, შემდეგ ინგლისში გაემგზავრა. ამჟამად ინგლისში University College London (UCL)-ში უშიშროების, პოლიტიკისა და ინტეგრაციის განხრით მაგისტრატურის კურსს გადის. მისი თქმით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. „ჩემი უნივერსიტეტი ამ კუთხით ყველა სფეროში უზომოდ დიდ თანხებს დებს. აქვთ თავიანთი საავადმყოფო, ქიმიური ლაბორატორიები, მუშაობენ კლონირების პროგრამაზე და ა.შ. მე ვარ სლავონური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტში და ჩვენთან ყველა იმ ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პროცესების კვლევა და შესწავლა ხდება, რაც აღმოსავლეთ ევროპაში მეცხრამეტე საუკუნიდან მიმდინარეობს.“

განათლების სპეციალისტს თამარ მოსიაშვილს მიაჩნია, რომ ქვეყანაში სამეცნიერო სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კვალიფიციური კადრების დეფიციტია. მისი თქმით, ცხადია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას ფინანსები სჭირდება, მაგრამ ფინანსური რესურსების მოძიებაში მხოლოდ ინფრასტრუქტურული ცვლილებები არ უნდა იგულისხმებოდეს. სერიოზული მნიშვნელობა აქვს ადამიანურ რესურსს, კვალიფიციურ მკვლევარს, რომელიც თავის მხრივ მაგისტრანტსა თუ დოქტორანტს სამეცნიერო ხარისხის მოპოვებაში დაეხმარება. „სამეცნიერო სფეროში დაფინანსების გაზრდა უპირველეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოფდეს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვას. ვინ აძლიერებს მეცნიერებას? რა თქმა უნდა პროფესიონალი კადრები. მათი შრომაც ძვირად ფასობს, ამიტომ არ ვიცი როგორ მოახერხებს ამას ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად ბოლომდე წელში გამართული არ არის“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის თამაზ მარსაგიშვილის თქმით, საქართველოში მეცნიერების განვითარების სტრატეგია ჯერჯერობით დაუსრულებელია. მიმდინარეობს მუშაობა ამ სტრატეგიის გარკვეული ელემენტების შემუშავებაზე. ამისთვის სამინისტროს თხოვნით, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა წარმოადგინა მათი სამოქმედო გეგმები, პროგრამები, პროექტები, რომლებშიც მოცემულია როგორც მათ მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოები, პუბლიკაციები, პატენტები, ასევე მომავალზე გათვლილი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამები.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი მასალების შეფასება ძირითადად უცხო ქვეყნების ექსპერტების მეშვეობით ხორციელდება. მიღებული დასკვნების საფუძველზე სამინისტრო სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის დეტალურ გეგმას შეიმუშავებს. თამაზ მარსაგიშვილი ამბობს, რომ საქართველო, როგორც ევროკავშირის მომავალი ასოცირებული წევრი ქვეყანა, გეგმავს მეცნიერების ისეთი მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მეცნიერების დარგში ევროკავშირის სტრატეგიებთან თავსე-

სტუ-ის ელექტრონული ტექნიკის მასალების ტექნოლოგიის ლაბორატორია.

ფოტო: ლევან ხარაზიშვილის

ბადი იქნება. ამას გამოხატავს ორი მკაფიო ამოცანა: ცოდნის დაგროვება და ეკონომიკის განვითარებისთვის საინოვაციო პოლიტიკის განხორციელება. „ამ ეტაპზე საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით ქვეყანაში მიმდინარეობს მეცნიერების აუდიტი, რომლის პირველადი მონაცემები ცნობილი გაზაფხულის ბოლოს გახდება. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქვეყნის მეცნიერული პოტენციალი, შესაბამისად დავგეგმოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა და ადეკვატურად გადავანაწილოთ რესურსები".

რაც შეეხება ინსტიტუტების ძირითად პრობლემებს, მწირ ფინანსურ რესურსსა და მოძველებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მარსაგიშვილის განმარტებით, აუდიტის შედეგები მათ საშუალებას მისცემს უკეთ დაიგეგმოს ფინანსური რესურსების გადანაწილება, ეს კი უდავოდ გამოიწვევს დაფინანსების შემდგომ ზრდას და სამეცნიერო ტექნიკური ბაზის განვითარებას.

2014 წლის ბიუჯეტში განათლება და მეცნიერება პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა, სამინისტროსთვის 754 300 000 ლარია გამოყოფილი, აქედან 49 700 000 ლარი – მეცნიერების ხელშეწყობისთვის.

ქვეყანაში სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახორციელებს. მისი 2014 წლის ბიუჯეტი 23 227 000 ლარს შეადგენს. ფონდი საგრანტო დაფინანსებას მხოლოდ კონკურსის საფუძველზე გასცემს. მის მიერ გამოცხადებული სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის 20 საგრანტო კონკურსის შედეგად, გასულ წელს, 822 სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტი დაფინანსდა, რომლებზეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაახლოებით 20 მილიონამდე ლარი გაიცა. ფონდის საქმიანობის განსაკუთრებული პრიორიტეტები ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერაა. 2013 წელს პირველად გამოცხადდა დოქტორანტურის პროგრამების მხარდასაჭერი კონკურსი. ამჟამად ფონდი ევროპელ პარტნიორებთან ერთად ამზადებს პროექტს, რომელიც უნდა შესრულდეს ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების ჩარჩო-პროგრამის „ჰორიზონტი 2020"-ის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტიკის მომავალი - წიგნი თუ "პომოჩები"?

„ამ წიგნს არ წაიკითხავენ ახლადგამომცხვარი ჟურნალისტები, მათ ჰგონიათ, თუ „პომოჩებს“ გაიკეთებ, უკვე ლარი კინგი ხარ. მერე გააგებინე, რომ ამ წიგნში „პომოჩებზე“ კი არ წერენ, იმას ასწავლიან, რისთვისაც ლარი კინგს 4 მილიონს უხდიან...“

თამარ ცაგარეიშვილი

სულ სხვა ქვეყანაში, სულ სხვა წიგნზე, სულ სხვა დროს გაიმართა ეს დიალოგი ჟურნალისტების სწავლა-განათლებაზე ჩაფიქრებულ ადამიანებს შორის, მაგრამ აქტუალურად მომეჩვენა და ამიტომაც გავიხსენე „აქ და ახლა“. თანაც იმ წიგნში – სათაურით „ჟურნალისტიკა“ (იდეის ავტორები მარინე ვეკუა, ჟილ რუე), რომელზეც მინდა ჩემი აზრი მოგახსენოთ და რომელმაც ათასი ფიქრი თუ ემოცია ამიშალა, ნამდვილად ის წერია, რაც მომავალმა ქართველმა ლარი კინგებმა უნდა წაიკითხონ და კარგად დაიმახსოვრონ, რომ მათაც გადაუხადონ მილიონები.... ეს დროც უნდა დადგეს საქართველოში, რომ მაგარმა, „მხეცმა“ ჟურნალისტებმა ადამიანებად იგრძნონ თავი და არა მუდმივად საშოვარზე მონანწალე მხეცებად...

ისე არ გამომივიდეს, თითქოს მხოლოდ მილიონების მოხვეჭის შემსწავლელ სახელმძღვანელოზე ვლაპარაკობ, სულაც არა...

ვსაუბრობ წიგნზე – სადაც მწყობრად არის ჩამოყალიბებული პროგრამა ადამიანისთვის, რომელსაც სურს გახდეს ჟურნალისტი ამ ცნების სრული გაგებით, და არა ფოსტალიონი, ჩიტკორესპონდენტი, კაჭკაჭი ან თუნდაც ვიღაცის რუპორი; რომელსაც უნდა შეიძინოს პროფესიული ცოდნა, ჩასწვდეს მის არსს, განსაზღვროს საკუთარი ფუნქცია და დანიშნულება.

ვსაუბრობ წიგნზე – სადაც უაღრესად სწორად არის შერჩეული მიმართულებები, უაღრესად დაკვირვებით არის დასმული მახვილები. წიგნზე, სადაც ხაზგასმულადაა გამოკვეთილი – სიტყვის თავისუფლების ფილოსოფიური ასპექტი, რომლის გააზრების გარეშე ჟურნალისტი ვერ შეძლებს ხედვის, პრინციპების, მსოფლაღქმის ჩამოყალიბებას და მუდმივად დაირწევა „როგორც ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ .



ვსაუბრობ წიგნზე – სადაც ვრცლადაა წარმოდგენილი, ქართული და ზოგადად ჟურნალისტიკის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, რაც მომწონს, რადგან – რაღაც რომ შეიყვარო მისი ისტორია უნდა იცოდე. რაღაც რომ დაინახო, ყველა წინამორბედი უნდა აღიარო, ვინც შენამდე ქმნიდა, იღვწოდა, წვალობდა, აგურ-აგურ აწყობდა იმ ხიდს, რომელზეც შენ და მერე შენს შთამომავლებს ევლოთ.

ვსაუბრობ წიგნზე, რომლის წაკითხვის შემდეგ გაიგებ, რა უნდა იცოდეს ჟურნალისტმა, როგორ იმეტყველოს, როგორ გამოიყურებოდეს, რა გაითვალისწინოს, რას სცეს პატივი, ფასეულობათა რომელი სისტემა გაიზიაროს; ეცოდინება უფლება-მოვალეობები, ეთიკის ნორმები, ადვილად რომ არ მოაწეროს ხელი უხამსობას, ფულისა და იაფი პოპულარობის გამო.

მახსოვს, როგორი ინტერესით და შურით ვკითხულობდი კოვაჩისა და როზენსტილის „ჟურნალისტიკის ელემენტებს“. ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს პრესის, ტელევიზიებისა და რადიოების გავლენიანი ჟურნალისტები საკუთარი პროფესიის მომავალზე ზრუნვამ ჰარვარდის კლუბში, გრძელი მაგიდის გარშემო შეკრიბა. მათი აზრით, ჟურმალისტიკას რაღაც სერიოზული სენი შეჰყროდა და სარგებლობის ნაცვლად ზიანს აყენებდა საზოგადოებას. საზოგადოებაც, თავის მხრივ, სულ უფრო ნაკლებად ენდობოდა ჟურნალისტებს, „სძულდა კიდეც ისინი“. ბევრი სერიოზული კითხვა ეკიდა ჰაერში: თუ ჟურნალისტიკის არსებობა აზრს კარგავდა, მაშინ რით უნდა შეცვლილიყო ის? ეყოფოდათ თუ არა ჟურნალისტებს ცოდნა და სიმტკიცე დამოუკიდებელი პრესის გადასარჩენად და სხვა, და სხვა...

მოკლედ, კონსილიუმი გამართა 25-მა ჟურნალისტმა, და როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი სურვილი მნიშვნელოვანია

რასაც არ უნდა გეგმავდეთ, ჩვენ გთავაზობთ საუკეთესო პირობებს სახელფასო სესხზე ნებისმიერი მიზნობრიობით! ასევე, გააერთიანეთ და გადმოიტანეთ სამომხმარებლო სესხი სხვა ბანკიდან და მიიღეთ გაუმჯობესებული პირობები 14 მაისამდე!

აქციის პირობებით სარგებლობა შეგიძლიათ მიუხედავად იმისა, გერიცხებათ თუ არა ხელფასი ბანკ „რესპუბლიკაში"!

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

SOCIÉTÉ GÉNÉRALE 150 წლის

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

ბანკში სოსიეტე ჟენერალი

მათ ქვეყანაში ხშირად ხდება ხოლმე, დიაგნოზიც დასვა, მკურნალობის გზებიც დასახა, ორწლიანი კვლევა და გამოკითხვებიც ჩაატარა, და წიგნი-სახელმძღვანელოც გამოაცხო. შურით ვკითხულობდი – ასე იყო ნამდვილად. იმიტომ რომ შეკრებითაც შევკრებილვართ, ქართველი ჟურნალისტები, გვიმსჯელია კიდეც საჭირბოროტო საკითხებზე, რაღაც გეგმებიც დაგვისახავს, მაგრამ კრება უმეტეს შემთხვევაში „მხიარული დარჩენილა". არ ვინდომებდით საკმარისად თუ ვერ ვაკეთებდით, არ ვიცი. ჟურნალისტიკაში შეიძლება ცალკეული სახელმძღვანელოების დასახელება, თუმცა მათ ამინდი ვერ შექმნეს.

ამიტომ განსაკუთრებით გამახარა და სასიამოვნოდ გამაოცა ქართულ სინამდვილეში კონსილიუმის შეკრების ფაქტმა – ცხრა უნივერსიტეტის ცამეტი პროფესორის, მათ შორის ფრანგის – ძალისხმევამ, თანამშრომლობამ, რომელსაც რეალური შედეგი წიგნი-სახელმძღვანელოს შექმნა მოჰყვა.

მოკლედ, წიგნი გვაქვს, მაგრამ კლასიკური ტრიადის - „მასწავლებელი-წიგნი-მოსწავლის - „ამოქმედებას კიდევ ორი აქტორი სჭირდება – მასწავლებელი და მოსწავლე.

ხშირად მახსენდება, ერთი ამერიკელი ჟურნალისტის, ლინ მარტინის სიტყვები: „ჟურნალისტიკის სახელმძღვანელოებს ბევრს გაჩვენებთ, გირჩევთ და გაგატანთ კიდეც, მაგრამ „ჰომო-სოვიეტიკუსი" რომ გააქროთ თქვენში და მერე ჟურნალისტიკაში, სახელმძღვანელოს გარდა მასწავლებელი გჭირდებათ, რომელიც თანამედროვედ აზროვნებს და სწორად ასწავლის ..."

ლინს ნიუ-იორკში 1998 წელს შევხვდი. ა.შ.შ.-ში სასწავლო პროგრამით შვიდ ჟურნალისტთან ერთად ვიყავი მივლენილი, რომლებთანაც ბევრი მქონდა საერთო: ჯერ ერთი ყველა – 5 რუსი, მე, მოლდოველი და აზერი – წარმოშობით საბჭოთა კავშირიდან ვიყავით; მეორე – პირველად გვიხდებოდა თავისუფალი სიტყვის მექაში ჩასვლა, ოხრად გვქონდა სანახავი და სასწავლი; მესამე – ყველას ერთნაირად არ მოგვწონდა, რაც ჩვენს ქვეყნებში ხდებოდა და მოგვწონდა, რაც იქ ხდებოდა საითკენაც გეზი გვქონდა აღებული. კიდევ, მიუხედავად ასაკისა, ყველანი „SPRING CHICKEN"-ებად ვგრძნობდით თავს და არამწეველთა ქვეყანაში ერთნაირად დაბალი ხარისხის თამბაქოს ვეწეოდით...

პროგრამა „RULE OF LAW" ექსსაბჭოთა ჟურნალისტების ბოლომდე გასაგიჟებლად ბრწყინვალედ იყო დაგეგმილი. მოიცავდა შეხვედრების ძალიან ფართო სპექტრს სასამართლო, საგანმანათლებლო და მედიასივრცის საკმაოდ მაღალი პოზიციების მქონე პირებთან. ყველგან შეგვახედეს, დაიწყეს სუპერ უნივერსიტეტებითა და განაგრძეს პრეზიდენტის, მთავრობისა და სასამართლოების პრეს-სამსახურებით, „ნიუ-იორკ თაიმსით", „ვოშინგტონ პოსტით", „ჩიკაგო ტრიბუნით", „ფოქს თივით", „ფრიდომ ფორუმით" და ა.შ. მოგვატარეს ბევრი, ჩვენზე წინ წასული აწყობილ-გაწიკწიკებული სასწავლო თუ მედია ინსტიტუტი, გვამეცადინეს და გვითხრეს – ახლა თქვენ გისმენთო...

მაშინ, „რეტრო/პერ/სპექტივა", ერთადერთი 50-კაციანი თოქშოუ მიმყავდა საქართველოს ერთადერთ ტელევიზიაში. ჩემი გაჭირვება, ამოცანები და ინტერესები მქონდა, ისევე როგორც ჩემს ექსსაბჭოთა კოლეგებს. ჰოდა, მოვხსენით გუდას თავი....

გვისმინა, გვისმინა ჩვენმა ამერიკელმა მასპინძელმა, მერე ჩვენი შეკითხვები და კომენტარები შეაჯამა და მაშინ ეს სიტყვები მითხრა „ჰომო სოვიეტიკუსზე", წიგნებსა და მასწავლებლებზე....

მას შემდეგ კარგა ხანი კი გავიდა, მაგრამ არც პედაგოგების მომზადების სფეროში მიგვიღწევია დიდი შედეგისთვის, ზოგჯერ ისეთი ვინმე მეტყვის – ლექციებს ვკითხულობ, ამა და ამ უნივერსიტეტის პროფესორი ვარო, ორ ბატსაც არ ჩააბარებს კაცი...

ისე, რად უნდა ამას ამერიკელის რჩევა, რომ კარგ სახელმძღვანელოს კარგი პედაგოგი უნდა, როგორც კარგ მთქმელს – კარგი გამგონე, მაგრამ ვგიჟდებით უცხოელების რჩევებზე!

მგონი, ძალიან არ მიწყენთ, ცოტას კიდევ თუ გადავუხვევ გზას და სამუელ ჰანტინგტონთან წავალ. რატომ? რა მინდა ასე შორს? ჯერ ერთი ჭკვიანი კაცია და კარგად აქვს გადმოცემული რა გავლენას ახდენს ცივილიზაციებზე, ქვეყნებზე, ცალკეულ დარგებზე, სისტემებზე და ბოლოს ადამიანზე გარემო, რომელშიც მათ უხდებათ ფორმირება, ჩამოყალიბება. მეორე, მომავალი ჟურნალისტების, ანუ იმ ხალხის საქმიანობაზე ვსაუბრობთ, ვისაც ყველაზე სათუთ და იმავდროულად საშიშ სფეროსთან, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან, ხშირ შემთხვევაში, მისით მანიპულირებასთან, მასზე ზეგავლენის მოხდენასთან აქვს საქმე. ამიტომ, ვფიქრობ, ყველა გზას უნდა გადაწვდე. თვითონ ჰანტინგტონი ცივილიზაციათა შორის განსხვავება-მსგავსებაზე, მათი დეფინიციის კრიტერიუმებზე მუშაობდა. ნაკლებად ეხებოდა ცალკეული ადამიანის, მით უფრო, ჟურნალისტების სწავლა-აღზრდის პრობლემებს, მაგრამ ცალკეული ადამიანები არ აშენებენ (და ანგრევენ) სისტემებს, ქვეყნებს, ცივილიზაციებსაც კი?! ჩვენში დარჩეს და, მაგარ ჟურნალისტებსაც შეუძლიათ ბევრი რამის აშენებაც და დანგრევაც.... მოკლედ, დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციათა განსხვავებულობის ერთ-ერთ კრიტერიუმად ჰანტინგტონი, მონგოლ-თათართა გავლენას მიიჩნევს და წერს: ურდოს გავლენა მძიმე დაავადების მძიმე სიმტომია. ის ქვეყნები, რომლებსაც ეს ორსაუკუნოვანი უღელი ედგათ, „არა-დასავლური" მიმართულებით წავიდნენო...

ამ უღლის მსგავსმა – შეიძლება უფრო ხანმოკლემ, მაგრამ სისასტიკითა და ზიანის თვალსაზრისით მისმა ტოლფასმა – რამდენმა რეჟიმმა გადაიგრუხუნა ჩვენს თავზე? ყველა მათგანის სამიზნე ადამიანის გონება

იყო, რომელიც სათავისოდ უნდა გაეწვრთნათ. გამსახურდიას ხელისუფლებას არ დასცალდა განათლების სფეროს რეფორმირება. არც შევარდნაძის მმართველობის დროს მომხდარა არსობრივი დადებითი ცვლილებები, რადგან ჯერ კიდევ ძლიერი იყო წარსულის გავლენა და ინერცია. სულ სხვა საკითხია სააკაშვილისდროინდელი განათლების სფეროს იდეოლოგები, რომლებმაც შაჰიდების ფუნქცია შეასრულეს და 9 წელიწადში ამ სისტემის ბევრი „სტრატეგიული პუნქტის" აფეთქება მოახერხეს. ამიტომ პასუხები ისეთ სერიოზულ კითხვებზე: რატომ ვერ ჩამოვყალიბდით სამოქალაქო საზოგადოებად; სხვისი აზრის მიმღებებად; სხვისი უფლებების პატივისმცემლებლად; რატომ გვიჭირს პასუხისმგებლობის აღება; რატომ ვეძებთ კერპებს, მესიებს; რატომ გვიჭირს საკუთარი შესაძლებლობების შეფასება; რატომ გვაქვს კანონთან, მორალთან, ცნობიერებასთან, ამდენი პრობლემა – ისტორიულ, კულტუროლოგიურ გავლენებში, ეთნიკურ, გენეტიკურ თავისებურებებში და კიდევ იმ ექსპერიმენტებში უნდა ვეძიოთ, რომლებსაც გაუთავებლად საკუთარ სხეულზე გაუტკივარების გარეშე ვიტარებთ.

იმედი მაქვს, ჰომო-სოვიეტიკუსი ჩემს თაობასთან ერთად წავა და აღარ დაამძიმებს დედამინას, თუმცა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს თავიანთი ეპოქის ეშმაკუნები დაემუქრებიან, რომელთაგან თავის დახსნა ისევ იმ მუდმივი, უნიკალური გზით სიარულია, რომელსაც სიბნელესთან ბრძოლა, ცოდნის შეძენა, წიგნი ჰქვია....

მოკლედ, ჩვენ გვაქვს ახალი წიგნი, „ჟურნალისტიკა", რომელიც საუკეთესო სახელმძღვანელოდ გამოდგება. მადლობა მის შემქმნელებს, სწორად მიგნებული და გადმოცემული კონტენტისთვის, ფართო თემატიკისთვის, სადა, თანამედროვე ფორმისთვის.

ახლა მთავარია ვასწავლოთ და ისწავლონ, და კიდევ ერთი – მხოლოდ „პომოჩების", ლამაზი ცხვირ-პირის ან ათასი სხვა ეფემერული, უაზრო ფასეულობების იმედად არ დარჩნენ მომავალი ჟურნალისტები...

სტუდენტური კონკურსი "ჩემი ბორჯომი 2014" დაიწყო

კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო" სტუდენტებს ყოველწლიურ კონკურსში იწვევს.

„ჩემი ბორჯომი 2014", რომლის ავტორი და ორგანიზატორი თავად კომპანიაა, უკვე მეოთხედ ტარდება. კონკურსის მიზანი მომავალ თაობაზე ზრუნვა, ახალი კადრების აღზრდა და სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის მიცემაა.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5 000 დოლარია და იგი სამ ფინალისტ გუნდზე შემდეგნაირად გადანაწილდება: I ადგილი - 2500 დოლარი; II ადგილი - 1500 დოლარი; III ადგილი - 1000 დოლარი.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის - კომპანია "IDS ბორჯომი საქართველო" კონკურსის მონაწილეებს კიდევ ერთ შანსს აძლევს - თუ ჟიურის წევრებს ფინალს მიღმა დარჩენილი რომელიმე გუნდის იდეა მოეწონება, კომპანია მას დამატებით თანხას გადაუხდის.

ზაზა პიკვაძე,
„IDS ბორჯომი საქართველოს" გენერალური დირექტორი:

„ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პროექტია როგორც უნივერსიტეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რადგან ჩვენ უპირველესად სტუდენტების ცოდნის ამაღლებაზე ვზრუნავთ. ამ კონკურსით სტუდენტები ნამდვილად დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ასეთ დიდ ბრენდებთან მუშაობა სტუდენტებისთვის ნამდვილი გამოწვევაა! ჩვენი კომპანია წლების განმავლობაში არაერთ პროექტს ახორციელებს, რომელიც მომავალი თაობის განათლებაზეა ორიენტირებული. მინდა წარმატება ვუსურვო თორმეტივე უნივერსიტეტის სტუდენტებს. ვიმედოვნებ რომ ღირსეულები გაიმარჯვებენ".

წელს კონკურსში მონაწილეობას თორმეტი უნივერსიტეტი იღებს: საქართველოს უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, გ. თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (ჯიპა), შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და თეატრალური უნივერსიტეტი.

კონკურში მონაწილე ყველა გუნდს მარკეტინგში ტრენინგი ჩაუტარდება, რის შემდეგაც ისინი საკონკურსო დავალებას მიიღებენ. პროექტის ფარგლებში ასევე იგეგმება სტუდენტების ტური ბორჯომში, რომლის ფარგლებშიც ისინი მინერალური წყლის წარმოების პროცესს გაეცნობიან.

დავალების შესასრულებლად კონკურსანტებს სამი თვე ეძლევათ, „ჩემი ბორჯომი 2014"-ის გამარჯვებულებს ჟიური შემოდგომაზე გამოავლენს.

ჩემი ბორჯომი
ბორჯომი ჩემი წყალია

ღუხობოჰების ქვეყანა

ნათელა გრიგალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუხობორები, ანუ სულისთვის მებძოლნი – ასე უწოდებს საკუთარ თავს მართლმადიდებლური პროტესტანტული საზოგადოება, რომელიც რუსეთში, ტამბოვის პროვინციაში, პირველად სამი საუკუნის წინ გამოჩნდა.

მეფის რუსეთიდან გასახლებულებმა და საქართველოში ჩამოსახლებულმა დუხობორებმა ჯავახეთში ათი სოფელი დააარსეს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატისა, ისინი დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ, შექმნეს საერთო კომუნა, დააარსეს ობოლთა სახლი, სკოლა. მალე ისინი კავკასიაში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ თემად იქცნენ. საბჭოთა დროს გორელოვკის კოლმეურნეობა საბჭოთა კავშირში სიმდიდრით მეორე აგილზე იყო. სოფელ გორელოვკის სკოლა კი ლევ ტოლსტოის დახმარებით აშენდა. დუხობორები გამოირჩეოდნენ როგორც მშრომელი, მოწესრიგებული და პატიოსანი ადამიანები.

ისინი რწმენაში ყოველივე მატერიალურს უარყოფენ: ჯვარს, ხატს, მღვდელს და ეკლესიურ წესებსა და კანონებს. დაბადებისას, ქორწინებისას და გარდაცვალებისას ატარებენ მარტივ რიტუალებს. ისინი ამბობენ, რომ ღმერთი ყველგან და ყველაფერშია, რომ ის უპირველესად ადამიანის სულშია და ყოველი ადამიანი თვითონაა ცოცხალი ტაძარი.

თემის სათავეში ყოველთვის იდგნენ სულიერი ლიდერები. მათთან არასოდეს დარღვეულა გენდერული ბალანსი, ყოველთვის არსებობდა ქალის კულტი და სულიერი წინამძღოლებიც ხშირად ქალები იყვნენ.

დუხობორები თვლიან, რომ ჯავახეთი წმინდა მიწაა. სოფელი გორელოვკა მსოფლიოში გაბნეულ დუხობორთა ცენტრად ითვლება. გორელოვკაში მდებარეობს წმინდა სასაფლაო, სადაც განისვენებს მათი სულიერი ლიდერი ლუკერია კალმიკოვა. აქვეა სამლოცველო სახლი, სადაც კვირაობით ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული ქალები სპეციალურ ფსალმუნებს გალობენ.

ისინი დიდ მოწიწებას განიცდიან იმ გარემოს მიმართ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

დუხობორების სოფლებს ირგვლივ ოთხი მთა აკრავს: წმინდა ყორღანი, ცისფერი ყორღანი, ივანისის მთა და დიდი აბული. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს მთები „დუხობორების ქვეყნის“ ერთგვარი საზღვარია. წმინდა ადგილებად ითვლება სტეპები, რომლებსაც მათი წინაპრები მომხვდურისგან იცავდნენ. აქ დუხობორებმა ომის და ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ პროტრესტის ნიშნად იარაღი დაწვეს, რისთვისაც მეფის მთავრობამ ისინი მკაცრად დასაჯა.

დუხობორებისთვის განსაკუთრებით მძიმე ბოლო ოცი წელი იყო. არავინ იცის, რატომ აიყარნენ და დაბრუნდნენ რუსეთში. არსებობს სხვადასხვა ვერსია: რუსების მხრიდან ღალატი, შიში, შევიწროვება, ცრუ დაპირებები. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულებმა ცხოვრება მეტ-ნაკლებად აიწყვეს, თუმცა სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვეს, რადგან მათი სამშობლო ჯავახეთია. „ჩვენი სიმშვიდე მხოლოდ აქაა“, - ამბობენ დარჩენილები.

ჯავახეთში მათ სახლებს ანგრევენ და სახეს უცვლიან ახალი მეპატრონეები, რომელთათვისაც უცხოა მათი კულტურა. ნადგურდება საუკუნოვანი უნიკალური რუსულ-უკრაინული ჩუქურთმიანი სახლები, ხატები, ძველრუსული ბუხრები. დუხობორები ნაღვლიანად უყურებენ, როგორ მახინჯდება მათ თვალწინ წინაპრების სოფელი.

დუხობორებს სჯერათ წინასწარმეტყველებების, რიმლის მიხედვითაც ჯავახეთი დაიცლება დუხობორებისგან, მათ მიწას და სახლებს უცხოები დაეპატრონებიან. ისინი გაივლიან დიდ და ტანჯვით აღსავსე გზას. მაგრამ მოვა დრო და დუხობორია ისევ აღორძინდება ჯავახეთში.

გოგონები სტეპში. აქ ყოველწლიურად მოდიან დუხობორები ნინაპრების პატივსაცემად, რომლებმაც უარი თქვეს იარაღის გამოყენებაზე და ამ ადგილას პროტესტის ნიშნად დაწვეს ის.

სოფელი ბლრელოვკა. აქ შემოსავლის ერთადერთი წყარო მესაქონლეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა სოფელში.

დუხობორების ერთადერთი ფერმა. აქ ძირითადად ქალები მუშაობენ.

რუსული სკოლის დირექტორი ტატიანა.
ეს სკოლა ლევ ტოლსტოის დახმარებით აშენდა.

სოფელი გორელოვკა. წმინდა საფლავები,
სადაც დუხობორები დღესასწაულებზე სალოცავად დადიან.

დუხობორი გოგონა ბიძასთან ერთად.

დუხობორები სხვადასხვა დღესასწაულებსა და რიტუალებზე სპეციალურ ფსალმუნებს გალობენ.



სოფელში იკლო ახალგაზრდების
რიცხვმა. ზოგიერთი მათგანი თუნდაც
დროებით სამუშაოდ რუსეთში მიდის.

დუხობორების ოჯახი.



ნიკალაი სუხორუკოვი სულ ახალგაზრდა წავიდა რუსეთში. ოცდაათი წლის შემდეგ უკან დაბრუნდა და აღადგინა წინაპრების ხატა.

აღდგომა წმინდა სასაფლაოზე. სოფელი გორელოვკა.

1895 წელს დუხობორებმა ძალადობის მიმართ პროტესტის ნიშნად იარაღი დაწვეს. მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ისინი მკაცრად დასაჯა. მათ პატივსაცემად დუხობორები ამ დღეს ყოველ წელს გამოქვაბულთან აღნიშნავენ.

სოფელი ფარავანი. დუხობორთა სოფელი როდიონოვკა. აქ დუხობორთა ერთი ოჯახიღა დარჩა. დანარჩენი ოჯახები სომხურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

GOOGLE GLASS-ის მოლოდინში

ინდიანას შტატის საავადმყოფოს ქირურგებმა პოლ სზოტეკმა და ჯეფ ბრაუნმა თებერვალში მუცლის კედლის ოპერაცია გააკეთეს. ოპერაციას ჩვეულებრივზე ნაკლები დრო დასჭირდა. ამის მიზეზი კი მხოლოდ ის იყო, რომ ორივეს სათვალე ეკეთა, ოღონდ არა ჩვეულებრივი, არამედ „ჭკვიანი". ექიმების ტრადიციულ აღჭურვილობას კიდევ ერთი „ხელსაწყო", ამჯერად Google glass შეემატა. მისი დახმარებით ქირურგებს პაციენტის ტომოგრაფიისა და რენტგენის ფოტოები მუდმივად თვალწინ ჰქონდათ. ოპერაციის ხანგრძლივობის შემცირებაც ამით იყო განპირობებული.

ნინო ნატროშვილი

„ჩემი აზრით, ამ მეთოდს შეუძლია შეცვალოს ის, რასაც ვაკეთებთ და ისიც, როგორ ვაკეთებთ. წარმოიდგინეთ, რამდენი დროის ეკონომია იქნება შესაძლებელი, თუ ამ ხელსაწყოს, მაგალითად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბიც გამოიყენებს და შემთხვევის ადგილიდან ტრავმების შესახებ ინფორმაციას ცოცხალი გამოსახულებითა და ჩანაწერით მიიღებს. მერე კი ამ ინფორმაციას ქირურგებთან გაგზავნის, რომლებიც დაზიანებებს ოპერატიულად შეაფასებენ და დაზარალებულებთან კონტაქტი რეალურ დროში ექნებათ", – განაცხადა ექსპერიმენტის წარმატებით დასრულების შემდეგ პოლ სზოტეკმა.

***

მომდევნო სასწავლო წელს სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში სტუდენტებს ახალ სასწავლო კურსს შესთავაზებენ. ვებჟურნალისტიკის პროფესორი რობერტ ერნანდესი ამბობს, რომ ეს ის იშვიათი შესაძლებლობა იქნება, რომელიც ჟურნალისტიკას ტექნოლოგიური ტრენდისთვის გასწრების საშუალებას მისცემს. „ეს პლატფორმა იმდენად ახალია, რომ ჯერ არც არავინ იცის, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მასზე ესა თუ ის ფორმატი", – ამბობს პროფესორი.

ამ შემთხვევაშიც საუბარია Google glass-ზე და ახალ სასწავლო კურსსაც Google glass ჟურნალისტებისთვის ჰქვია. რობერტ ერნანდესი შეეცდება, სტუდენტებს ის ახალი ხერხები შეასწავლოს, რომელთა დახმარებითაც ჟურნალისტური ისტორიების Google glass-ით გადმოცემაა შესაძლებელი, და ახსნას, როგორ შეიძლება შექმნან მასალა მკითხველებმა ან იკითხონ ისინი ჭკვიანი სათვალის გამოყენებით. სტუდენტები თავადვე შექმნიან იმ სპეციალურ დამატებებს, რომლებიც ისტორიების გადმოცემაზე იქნება ორიენტირებული. ერნანდესი ვარაუდობს, რომ კურსის შესწავლით არა მარტო ჟურნალისტიკის, არამედ დიზაინის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობების სტუდენტებიც დაინტერესდებიან.

***

ქალთა საერთაშორისო დღეს ინტერნეტსივრცეში ვიდეორგოლი გავრცელდა, რომელიც პოპულარული მალევე გახდა. ვიდეო ერთი ჩვეულებრივი ქალის ჩვეულებრივ დღეს ასახავს და ძალიან დადებით ემოციებს იწვევს... თუმცა ეს მხოლოდ ფინალამდე: საბოლოოდ, პოზიტიური რგოლი ოჯახში ძალადობის სცენით სრულდება.

„Woman's Day #throughglass"-ის იდეა კომპანია Banjo Eyes Films-ს ეკუთვნის. მისი რეჟისორი დევიდ ჯენტილე ამბობს, რომ სოციალური ვიდეორგოლის ერთადერთ მიზანს ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიქცევა წარმოადგენდა. თუმცა მაყურებლისთვის მოულოდნელი მხოლოდ ვიდეოს ფინალი არ აღმოჩნდა: სიახლეს წარმოადგენდა ისიც, რომ რგოლი Google glass-ით იყო გადაღებული, რის გამოც ის ერთი შეხედვით ამ გაჯეტის რეკლამასაც ჰგავდა.

***

არაოფიციალური ინფორმაციით, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამუშაო პროცესში Google glass-ის გამოყენების ტესტირება დაიწყეს. პორტალ VentureBeat-ზე ერთ-ერთი წყარო წერს, რომ დეპარტამენტმა რამდენიმე მოწყობილობა შეიძინა, რათა გაარკვიოს, რამდენად ეფექტური იქნება გაჯეტით სარგებლობა საპატრულო ჯგუფებისთვის. ჯერჯერობით ყოველდღიურ მუშაობაში სათვალის დანერგვაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ Google glass მათ სხვადასხვა სამძებრო ოპერაციების განხორციელებაში მათ გარკვეულ დახმარებას გაუწევთ.

და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც Google-ს ინოვაციური გაჯეტი ჯერ კომერციულ გაყიდვაში არც გამოსულა. დამატებითი რეალობა და „ჭკვიანი სათვალე", რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, ხმოვანი ბრძანებების დახმარებით ვიდეო და ფოტო გადაიღოს, ნავიგაციით, ელექტრონული ფოსტით, SMS-ითა და სხვა ფუნქციებით ისარგებლოს, ჯერ კიდევ მხოლოდ პროტოტიპია. გაჯეტი, რომლის კონცეფციაც პირველად ზუსტად ორი წლის წინ წარადგინეს, კვლავაც დამუშავების სტადიაშია. დეველოპერებისთვის ის უკვე ხელმისაწვდომია, თუმცა მოწყობილობის „გადაყიდვა" სამომხმარებლო შეთანხმებით აკრძალულია. როდის

■ ქალთა საერთაშორისო დღეს ინტერნეტსივრცეში ვიდეორგოლი გავრცელდა, რომელიც პოპულარული მალევე გახდა. ვიდეო ერთი ჩვეულებრივი ქალის ჩვეულებრივ დღეს ასახავს და ძალიან დადებით ემოციებს იწვევს... თუმცა ეს მხოლოდ ფინალამდე: საბოლოოდ, პოზიტიური რგოლი ოჯახში ძალადობის სცენით სრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ კომპანიაში უკვე ამბობენ, რომ მოდელების ხაზი ყველაზე წამყვანი ტექნოლოგიის, ავანგარდული დიზაინის, საუკეთესო სტილის, ხარისხისა და ფუნქციონალის სინთეზი იქნება. ჯერჯერობით მათი გამოსვლის კონკრეტული თარიღი ასევე უცნობია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ საბოლოო ჯამში, ტექნოლოგიური ინდუსტრიის მომავალი მატარებელი მობილური მოწყობილობებისაა. კომპანია Juniper Research-ის ანალისტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2018 წელს ჭკვიანი სათვალეების გაყიდვები მილიონს მიაღწევს. ასე რომ, დროა ისწავლოთ ცხოვრება **Google glass**-ით... მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ იყიდება, ის მაინც უკვე აქ არის.

გამოვა Google glass ბაზარზე, ჯერ კიდევ უცნობია. რთულია იმის თქმაც, თუ რამდენად მაღალი იქნება მოთხოვნა მოწყობილობაზე, რომელიც 1500 დოლარი ღირს და რომელსაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, თუმცა დასაწყისში მოტანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მისი გამოყენების არეალი უსათუოდ მრავალფეროვანი იქნება, გაჯეტს კი ნამდვილად აქვს შანსი მეინსტრიმიდან პროფესიულ სფეროებშიც შევიდეს. ყოველ შემთხვევაში, ეს სფეროები უკვე ემზადებიან „ჭკვიან სათვალესთან" ინტეგრაციისთვის და მომხმარებელსაც აჩვევენ ახალ ქცევას, რომელიც Google glass-ს აუცილებლად მოჰყვება.

როგორი იქნება დამატებითი რეალობის დამატებითი ქცევა? სანამ ყველანი გაჯეტის მოლოდინში ვართ, Google-მა გადაწყვიტა, თავადაც შეიტანოს წვლილი მის ფორმირებაში და ამით ის აჟიოტაჟიც გაანეიტრალოს, რომელიც ინოვაციას ჯერ კიდევ გამოსვლამდე ხვდა წილად. საქმე ის გახლავთ, რომ უფლებადამცველები გაჯეტის კონცეფციის წარდგენის დღიდანვე ცდილობენ გაარკვიონ, არღვევს თუ არა მისი ვიდეო თუ ფოტოგადაღების ფუნქციები ადამიანების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ამერიკელი კონგრესმენებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი ორგანოები მიიჩნევენ, რომ Google glass პრივატულობასთან დაკავშირებით სერიოზულ კითხვებს აჩენს. ზოგიერთ კაფესა და გასართობ დაწესებულებაში კი მფლობელები ჭკვიანი სათვალით შესვლას კრძალავენ: ვინ იქნება იმის გარანტი, რომ რომელიმე მომხმარებელი ერთი ფოტოს ან ვიდეოს უნებართვო გადაღებით დამატებით რეალობას დამატებით თავსატეხად არ აქცევს...

Google-ს ამაზე თავისი პასუხი აქვს: ისარგებლე Google glass-ით, მაგრამ ნუ იქნები „glasshole"! ამ ტერმინით კომპანია იმ მომხმარებელს მოიხსენიებს, რომელიც გაჯეტით სარგებლობის ეტიკეტს მიზანმიმართულად არღვევს, თუნდაც იმით, რომ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ფოტოებსა თუ ვიდეოებს ნებართვის გარეშე, დემონსტრაციულად უღებს. Google-მა ეტიკეტიც უკვე გამოაქვეყნა და გაჯეტის ფუნქციონალთან ერთად მომხმარებლებს მოქცევის წესებიც აუხსნა:

- აიღეთ ნებართვა! Google glass-ის ფუნქციები არ განსხვავდება მობილური ტელეფონის ფუნქციებისგან. ამიტომ მოიქეცით ისე, როგორც მოიქცეოდით მობილური ტელეფონის შემთხვევაში. ითხოვეთ ნებართვა ფოტოს თუ ვიდეოს გადაღებამდე.
- ნუ ივლით მუდმივად ჩართული გაჯეტით, არ გადაინაცვლოთ ეკრანის სივრცეში და არ წაიკითხოთ „ომი და მშვიდობა" glass-ით. ასეთ შემთხვევაში გარშემომყოფებს აუცილებლად უცნაურად მოეჩვენებით.
- არ იფიქროთ, რომ glass-ით ვერავინ შეგამჩნევთ. საკმაოდ ბევრ კითხვას დაგისვამენ, ამიტომ ნუ გაღიზიანდებით და მოთმინებით აუხსენით სხვებს, რომ მას ბევრი ისეთი ფუნქცია აქვს, როგორიც მობილურ ტელეფონს.

იმ ადგილებში, სადაც აკრძალულია ტელეფონის კამერის ჩართვა, glass-ის კამერის გამოყენებაც დაუშვებელია. თუ ამ წესს არ დაიცავთ და თქვენი სურვილის მიხედვით მოქცევას მაინც უხეშად შეეცდებით, ცუდ შთაბეჭდილებას შეუქმნით, როგორც გაჯეტს, ისე მის სხვა მფლობელებს.

მოგვიანებით კი კომპანიამ უფლებამდაცველებისა და მომხმარებლების დამატებითი შეშფოთების დეტალებიც განმარტა და აღნიშნა, რომ სათვალეს არც ადამიანების სახეების გარჩევის სისტემა ექნება და არც პირად ცხოვრებას „მოკლავს“: „როცა სამომხმარებლო ბაზარზე პირველი კამერები გამოჩნდა, ხალხი ასევე საუბრობდა პირადი ცხოვრების არსებობის გაქრობის შესახებ. კამერები იკრძალებოდა პარკებში, ძეგლების სიახლოვესა და პლაჟებზე. ეს შიში კვლავ გაჩნდა, როცა პირველად გამოჩნდა მობილური ტელეფონი ინტეგრირებული კამერით. ახლა მათ ვხედავთ ყველგან და მომდევნო 10 წლის განმავლობაში, Google glass-თან ერთად, თუ მის გარეშე, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება“, – ამბობენ Google-ში.

ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის: Google-მა უკვე მოაწერა ხელი შეთანხმებას ცნობილი ბრენდების Ray-Ban-ისა და Oakley-ს მწარმოებელ კომპანია Luxottica-სთან. ამ შეთანხმების მიხედვით, Google glass-ის დიზაინზე სწორედ Luxottica იზრუნებს და გაჯეტს კიდევ უფრო მოდურს გახდის.

ყოველ შემთხვევაში, კომპანიაში უკვე ამბობენ, რომ მოდელების ხაზი ყველაზე წამყვანი ტექნოლოგიის, ავანგარდული დიზაინის, საუკეთესო სტილის, ხარისხისა და ფუნქციონალის სინთეზი იქნება. ჯერჯერობით მათი გამოსვლის კონკრეტული თარიღი ასევე უცნობია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ საბოლოო ჯამში, ტექნოლოგიური ინდუსტრიის მომავალი მატარებელი მობილური მოწყობილობებისაა. კომპანია Juniper Research-ის ანალისტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2018 წელს ჭკვიანი სათვალეების გაყიდვები მილიონს მიაღწევს. ასე რომ, დროა ისწავლოთ ცხოვრება Google glass-ით... მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ იყიდება, ის მაინც უკვე აქ არის.

Radio Commersant

ბიზნესის პერსონალური რადიო

გაიგე, როგორ გახდე წარმატებული

“ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად”, – თქვენ უსმენთ ყოველდღიურ რჩევებს წარმატებული ადამიანებისგან, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დილა იმისთვის, რომ დღის ბოლოს ის წარმატებულად ჩაითვალოს.

გადაცემის ყოვლედღიური სტუმრები ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან და საკუთარ რჩევებს რადიო კომერსანტის მსმენელს უზიარებენ.

ისინი იწყებენ საქმიანობას ადრე დილით, ადგენენ გეგმებს და ანაწილებენ დროს პროდუქტიულად. მსმენელი იღებს პასუხს კითხვებზე, საქმიანობის პირველ საათთან დაკავშირებით.

ყოველ დილით, რადიო კომერსანტის ეთერით, გაიგეთ ჯანსაღი ცხოვრების მარტივი წესი, როგორ დავეხმაროთ გონებას და სხეულს აქტიურად მუშაობისთვის.

„ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთან“

ყოველდღე 09:45. 11:45 საათზე

FM 95.5 სიხშირეზე, - გადაცემა თქვენი წარმატებისთვის!

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955
Commersant.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოქსტროტი თოვლზე

მარტი უცნაური გამოდგა: ჯერ იყო და „თოვლმა“ სოციალური ქსელები დაფარა, თვის ბოლოს კი – კვირტებში წყალჩამდგარი ხეხილი. რთული სათქმელია, მხატვრული ნაწარმოები უფრო მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის, თუ დროსაცდენილი ბუნებრივი მოვლენა. ამ კითხვაზე პასუხის ძიებას აქტუალობა ქართველი მსახიობის, რეჟისორის, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის ინტერვიუმ დაუკარგა.

გიორგი ჭეიშვილი

ასე იყო, თუ ისე, მთელი თვის განმავლობაში, ძირითადად, არა პოლიტიკურ, ლგბტ, ან რელიგიურ საკითხებზე, არამედ ლიტერატურაზე საუბრობდნენ. გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც ამ თემის ირგვლივ საუბარი დადებით კონტექსტში მიმდინარეობდა, ქალაქში „მოხეტიალე წიგნების" გამოჩენას უკავშირდება.

ლიტერატურის მიმართულებით ბრძოლის ველის განვრცობა, ნობელიანტი თურქი მწერლის, ორჰან ფამუქის საქართველოში ვიზიტით დაიწყო. ჯერ იყო და განხილვისა თუ ქილიკის თემა ის ეიფორია გახდა, მწერალთან შეხვედრის მსურველები შეზღუდული რაოდენობით დაბეჭდილი მოსაწვევების მოპოვებისას რომ მოიცვა, შემდეგ კი – თავად ავტორის 2002 წელს გამოცემული რომანი „თოვლი".

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ რომანის ის მონაკვეთი გამოაქვეყნა, რომელშიც ამბის მთხრობელი თურქეთში საშოვარზე ჩასული ქართველი ცოლ-ქმრის ყოფას აღწერს: ტუბერკულოზით დაავადებული ქალი პროსტიტუციითაა დაკავებული, მისი ქმარი „დანარჩენი ქართველების მსგავსად, ნახევარ ფასად მუშაობს და შედეგად, მუშების ბაზარზე ორმოც წელიწადში ერთხელ გამოჩენილ სამუშაო ადგილს თურქეთის მოქალაქეს ცხვირწინ აცლის", ხოლო „ამგვარი წურბელები, რომელთა მოშორებას მექრთამე პოლიცია ვერ ახერხებდა, ყარსში სამხედრო ხელისუფლებას უნდა მოესპო".

კონტექსტიდან ამოგლეჯილი ეს მონაკვეთი, ასევე, ავტორისა და მთხრობელის (ხელოვნური ინსტანცია) გაიგივება გახდა იმის საბაბი, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ფამუქისთვის ქართველთა შეურაცხყოფაში დაედო ბრალი, ნაწარმოებში ფარული, პოლიტიკური კონტექსტი აღმოეჩინა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის ქრონიკებისთვის გადაევლო თვალი, მისთვის ღია წერილით ეპასუხა, Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე კომენტარები დაეტოვებინა და მწერლისთვის გადაცემული „ნობელის პრემიიდან მომავალი ახრჩოლებული ფეკალიების სუნისათვის" გაესვა ხაზი.

არადა, თოვლზე, თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და თბილისზე ორჰან ფამუქის სხვა ნაწარმოებების პერსონაჟებიც საუბრობენ, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც „თოვლის" მაგალითზე, პერსონაჟებისა და ავტორის დამოკიდებულება თავისთავად იდენტური არ არის:

„ვხედავდი, თუ როგორ იკავებდნენ ავტობუსებში მინიატურული ზომის წმინდა ყურანით მოვაჭრე ავღანელი იმიგრანტების ადგილს ქართული და რუსული ოჯახები, რომლებიც პლასტმასის ჭადრაკს, ჭოგრიტებს, სამხედრო მედლებსა და კასპიის ზღვის ხიზილალას ჰყიდდნენ", – „ახალი ცხოვრება", 1997წ.

„ეჰ, თბილისი, – თქვა დიდმა ოსტატმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია თოვლიანი ეზოდან შემოსული სინათლისთვის, მუშამბაგადაკრული ფანჯრიდან რომ აღწევდა, – იქ ახლა თოვს?"; „ისიც ვუთხარი, როცა თბილისის ქუჩებს ათოვს, სარეცხის მრეცხავი ქალები ყვავილებზე მღერიან, ბავშვები კი თოვლს ბალიშის ქვეშ ინახავენ საზაფხულოდ-მეთქი", – „მე წითელი მქვია", 2001წ.

ლიტერატურათმცოდნე ლევან ცაგარელი აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია, რომ ნაწარმოებში ამბავს მოგვითხრობს არა ავტორი, არამედ მთხრობელი, ერთგვარი ხელოვნური ინსტანცია, რომელსაც ავტორი მხატვრული სამყაროს სხვა განუყოფელ კომპონენტებთან ერთად ქმნის.

მისივე თქმით, სწორედ ავტორისა და მთხრობელის სხვადასხვაობაა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ მემუარები და რომანი, მატიანე და მოთხრობა; მოთხრობასა თუ რომანში დაფიქსირებული თითოეული აზრის ავტორის იდეოლოგიურ პოზიციად აღქმა კი, საბჭოთა კავშირში, მარქსისტი ლიტერატურათმცოდნეებისათვის იყო დამახასიათებელი.

ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი აღნიშნულ მხატვრულ ნაწარმოებში ქართული ოჯახის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიების გამო საქართველოში ატეხილ აჟიოტაჟს ამ საკითხთან მიმართებაში ქართული საზოგადოების სენსიტიურ დამოკიდებულებას უკავშირებს.

„თუ დავაკვირდებით, საზღვარგარეთ გასული იაფი მუშახელი ძირითადად ქალები არიან, კაცები უმეტესად აქ რჩებიან. ეს ადამიანები მთელ ოჯახს არჩენენ, ზოგიერ-

ის-ის იყო ორჰან ფამუქის რომანის წინააღმდეგ დაწყებული „ბრძოლა" და ვნებათაღელვა საზოგადოების მწერალთან გამიჯვნით, თავად ავტორის, ასევე მისი ნაწარმოებების დაგმობითა და იგნორირებით სრულდებოდა, როცა მღელვარებისა და შეურაცხყოფის ახალი ფრონტი ქართველი მწერლის, ზურაბ ქარუმიძის წინააღმდეგ გაიხსნა. თუკი ფამუქმა უკანმიდევნებულ რისხვას „გაასწრო", ამ ყველაფრთან შეხება ზურაბ ქარუმიძეს უშუალოდ მოუხდა, თანაც 2011 წელს გამოცემული რომანი „მელიატულეფია: FOX-TROT" აქტუალური არა მისი მხატვრული ღირებულების, არამედ ერთი-ერთი ბეჭდური გამოცემის „რეცენზიის" გამო გახდა.

■ ცენზურის საფრთხეზე ფრანგი ფილოსოფოსი ვოლტერიც წერს, თუმცა გაცილებით ადრე, 1733 წელს, და მაღალი რანგის სახელმწიფო კომისარს განუმარტავს, რომ სახელმწიფო მოხელეებართვას გასცემს, როგორც კარგი, ასევე ცუდი ნაწარმოების ბეჭდვაზე: „ხალხი იმას ყიდულობს, რასაც თავად ირჩევს. დიდი ბიბლიოთეკა პარიზს ჰგავს, სადაც დაახლოებით რვაასი ათასი ადამიანია: ადამიანი მთელ ბრბოსთან ერთად როდი ცხოვრობს, შენ თავად ირჩევ კონკრეტულ საზოგადოებას და ცვლი მას. ასეა წიგნებიც: ბევრი მეგობრიდან რამდენიმეს ირჩევ. დღესდღეობით შვიდი ან რვა ათასი საკამათო წიგნი იქნება, და თხუთმეტი, ან თექვსმეტი ათასი რომანი, რომელსაც არ წაიკითხავ: აუარება ბროშურა, რომელსაც წაკითხვის შემდეგ ცეცხლში მოისვრი. გემოვნებიანი ადამიანი მხოლოდ იმას წაიკითხავს, რაც კარგია...“

თი წლებია სამშობლოში არ ყოფილა, უკან დაბრუნებისას კი არ იციან, ოჯახში თავად არიან საჭირონი, თუ – მათი მატერიალური შემოსავალი. არც ის იციან, იპოვნიან თუ არა სამშობლოში საკუთარ ადგილს. არის ოჯახები, რომლებიც უბრალოდ დაინგრა. არსებობენ ქალები, რომლებიც საზღვარგარეთ გაურკვეველ პირობებში გარდაიცვალნენ – ეს დიდი ტრაგედია და სირცხვილია, რაც ჩვენი საზოგადოების თავმოყვარეობაზე ძალიან მოქმედებს. ვცდილობთ, ცნობიერებიდან განვდევნოთ ის პრობლემები, რომლებიც სირცხვილისმომგვრელია და რისი გახსენებაც უდიდეს ემოციურ რეაქციას იწვევს. ამ საკითხის მიღმა ძალიან დიდი სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები დგას და ამიტომაც არ მიკვირს, რომ გარედან დანახულმა ამ პრობლემის აღქმამ მოსახლეობაში აგრესია გამოიწვია“, – აღნიშნავს ჯანა ჯავახიშვილი.

ის-ის იყო ორჰან ფამუქის რომანის წინააღმდეგ დაწყებული „ბრძოლა“ და ვნებათაღელვა საზოგადოების მწერალთან გამიჯვნით, თავად ავტორის, ასევე მისი ნაწარმოებების დაგმობითა და იგნორირებით სრულდებოდა, როცა მღელვარებისა და შეურაცხყოფის ახალი ფრონტი ქართველი მწერლის, ზურაბ ქარუმიძის წინააღმდეგ გაიხსნა. თუკი ფამუქმა უკანმიდევნებულ რისხვას „გაასწრო“, ამ ყველაფრთან შეხება ზურაბ ქარუმიძეს უშუალოდ მოუხდა, თანაც 2011 წელს გამოცემული რომანი „მელია-ტულეფია: FOX-TROT“ აქტუალური არა მისი მხატვრული ღირებულების, არამედ ერთი-ერთი ბეჭდური გამოცემის „რეცენზიის“ გამო გახდა.

„რეცენზია“ „მელია-ტულეფია: FOX--TROT“-ის ავტორს რომანის დასაწყისში აღწერილი ნაყოფიერების არქაული რიტუალის გამო არაერთ „ბოროტებასა“ და „უმსგავსობაში“ ამხელს და მკითხველს რიტორიკულ კითხვასაც უსვამს, სურს თუ არა „აი, ეს“ დაინიშნოს საქართველოს ელჩად დიდი ბირტანეთის გაერთიანებულ სამეფოში?!

„აი, ეს“, ანუ ზურაბ ქარუმიძე, ამ რომანის გამო ჯერ აღნიშნულმა გამოცემამ „გააკრიტიკა“, შემდეგ კი ის შეურაცხყოფის ობიექტად ქართველი კანონმდებლის მხრიდანაც იქცა, რომელიც თითოეულ დეპუტატს, ვინც ელჩად ქარუმიძის დანიშვნას დაუჭერდა მხარს, მამაკაცის გენიტალიად მოხსენიებით დაემუქრა, ხოლო მწერლის კანდიდატურის დამტკიცების შემთხვევაში მოქმედი ხელისუფლება „სვანეთის გადაკიდების“ საფრთხეზე გააფრთხილა.

(დიდ ბრიტანეთში ელჩად მწერლის დანიშვნის შესაძლებლობა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემაც დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ პოსტზე ქარუმიძის კანდიდატურა განიხილებოდა და ამ თემის ირგვლივ არაჯანსაღი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, რადგან ელჩის კანდიდატურას არა პარლამენტი, არამედ მთავრობა ამტკიცებს, შემდეგ კი პრეზიდენტს ეგზავნება ხელმოსაწერად.)

მიუხედავად იმისა, რომ „მელია-ტულეფია: FOX-TROT“-ის სადავო მონაკვეთი რომანის პერსონაჟის, შაქრო კარმელის, სიზმრის ირგვლივ ტრიალებს, მთხრობელის სიტყვები ამ შემთხვევაშიც ავტორს, უფრო კონკრეტულად კი მის „უხამს ფანტაზიას“ მიეწერა, მაშინ როდესაც „მელიაი ტულეფიას“ ჩვეულების შესახებ ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში (მეორე თავი – „ქართველების წარმართობა“) წერდა.

რომანთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს ავტორმა რამდენიმე ინტერვიუში უპასუხა და არაერთხელ აღნიშნა, რომ სვანეთი განსაკუთრებით უყვარს და ნაწარმოებშიც „სვანეთისადმი დიდი სიყვარულია ჩადებული“, თუმცა რთული სათქმელია, რამდენად ამოიწურა ამით აღნიშნული „გაუგებრობა“.

ნაწარმოების გამო მწერალთან დაპირისპირების ფაქტებზე საუბრობს გადაცემა „წიგნების“ ავტორი და დეპუტატი ლევან ბერძენიშვილიც, რომელიც იხსენებს, რომ პირველ პირში დაწერილი რომანის გამო ერთ-ერთ ქართველ მწერალს ფიზიკურად გაუსწორდნენ, ამ ტიპის ანტიმწერლური გამოსვლები კი პირველი არ არის საქართველოში.

მისივე თქმით, რეალურ ფაქტებზე აგებული კრიტიკული მოთხრობის გამო – „ციმორების ჭერა საქართველოში“ – მის ავტორს (ვიქტორ ასტაფიევი) თითქმის მთელი საქართველო დაუპირისპირდა – „მაშინ არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამ მწერალს რუსებზე გაცილებით უარესები ჰქონდა ნათქვამი. დაგვაბრმავა იმან, რომ ეს მოთხრობა რუსმა დაწერა. ახლაც გვაბრმავებს ის, რომ ეს ნაწარმოები თურქმა დაწერა. ოდესმე თურქებმა რომ ქართული ლიტერა-

ტურა შეისწავლონ, როგორ გგონიათ, რამდენ ასეთ ცოლ-ქმარს იპოვნიან და რამდენი არაკეთილმოსურნე გამონათქვამს წააწყდებიან თურქებზე, მათ ხასიათზე, მუსულმანებზე... მსოფლიოში უნდა დავამკვიდროთ წესი, რომ თუკი ნაწარმოებში ქართველი აღმოჩნდება, ის აუცილებლად კარგი უნდა იყოს?! ამით არ უნდა იზომებოდეს მწერლობა, მწერლობა ჩვენი მტერი არ არის."

ცენზურის საფრთხეზე ფრანგი ფილოსოფოსი, ვოლტერიც წერს, თუმცა გაცილებით ადრე, 1733 წელს, და მაღალი რანგის სახელმწიფო კომისარს განუმარტავს, რომ სახელმწიფო მოხელე ნებართვას გასცემს, როგორც კარგი, ასევე ცუდი ნაწარმოების ბეჭდვაზე: „ხალხი იმას ყიდულობს, რასაც თავად ირჩევს. დიდი ბიბლიოთეკა პარიზს ჰგავს, სადაც დაახლოებით რვაასი ათასი ადამიანია: ადამიანი მთელ ბრბოსთან ერთად როდი ცხოვრობს, შენ თავად ირჩევ კონკრეტულ საზოგადოებას და ცვლი მას. ასეა წიგნებიც: ბევრი მეგობრიდან რამდენიმეს ირჩევ. დღესდღეობით შვიდი ან რვა ათასი საკამათო წიგნი იქნება, და თხუთმეტი, ან თექვსმეტი ათასი რომანი, რომელსაც არ წაიკითხავ: აუარება ბროშურა, რომელსაც წაკითხვის შემდეგ ცეცხლში მოისვრი. გემოვნებიანი ადამიანი მხოლოდ იმას წაიკითხავს, რაც კარგია..."

თითოეული ადამიანი თავად წყვეტს რა წაიკითხოს. და მოსწონს თუ არა ესა თუ ის ნაწარმოები, ამაში მისი წაკითხვის შემდეგ ერკვევა. ისეთებიც მრავლად არიან, საყვარელ წიგნს ყდის ქვეშ რომ აწერენ – „გამარჯობა, მე მოხეტიალე წიგნი ვარ, წამიკითხე და შემდეგ სადმე დამტოვე, სხვამაც რომ წამიკითხოს" და სკვერებში, გაჩერებებზე, კაფეებსა თუ უბრალოდ გზაზე რომ ტოვებენ. ჰოდა, თუკი საკუთარ ბიბლიოთეკაში შემთხვევით რომელიმე თქვენთვის მიუღებელ ავტორს წააწყდებით, კარგს იზამთ, თუ არც ცეცხლში მოისვრით და არც დასალპობად გაიმეტებთ, არამედ სადმე, საჯარო სივრცეში დატოვებთ, წიგნია მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ქრონოტოპოსი" - "სამოთხის გასაღები"?

საუბარი დოქტორ ფრანკ ტრემელთან

ეს დიალოგი გასული საუკუნის ერთ-ერთი დიდი სწავლულისა და ჰუმანისტის, ალექსეი უხტომსკის მიერ შემოღებული „ქრონოტოპოსის“ მნიშვნელობით არის ინსპირირებული. უხტომსკის მიხედვით ადამიანს „თანამოსაუბრე სწყურია“, სადაც „მარადიული მოსაუბრენი“ ყველასათვის სწორხაზოვანი დროის მიღმა არსებობენ. დოქტორი ფრანკ ტრემელი, ისტორიკოსი, მუშაობს ფილოსოფიური ანტროპოლოგიისა და გლობალური განვითარების საკითხებზე. „ადამიანი ვერ იქნები, – ადამიანად გამუდმებით უნდა იქმნებოდე“ (ალექსეი უხტომსკი)

შენს ერთ-ერთ სტატიაში მოგაქვს ჭავჭავაძის ციტატა – „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის! აი, გზა ცხოვრებისა! აი, ხიდი ცხონებისა! აი, გასაღები სამოთხისა!“ – სადაც აღნიშნავ, რომ ...„პიროვნულობის სრულყოფა, როგორც ერის გამოხსნის გზა, მოძველებულ იდეალიზმად აღიქმება.“

საქართველოში მიმდინარე დისკუსიები ამ „ერის გამოხსნის“ გზას სულ უფრო მეტად გვაშორებს. საზოგადოების ცნობიერება, ისევე როგორც ჩვენი ტერიტორია დანაწევრებულია. ჭავჭავაძისეული „სამოთხის გასაღები“ – სოლიდარობა – ვერც ერთი თემის ირგვლივ საჭირო მასშტაბს ვერ იძენს. ადამიანის ერთ-ერთი ბუნებრივი თვისება – „სხვისთვის კეთება“ – საქართველოს დავიწროებულ საჯარო სივრცეში დამახინჯდა. საქართველო ასახავს გლობალურ მოვლენებს, მაგრამ ჩემი შეკითხვა, რასაკვირველია მხოლოდ საქართველოს დღევანდელობას არ ეხება. სად, რომელ კულტურულ გარემოში უნდა ხდებოდეს პიროვნული სრულყოფა?

როცა ჭავჭავაძის კულტურის წარმოდგენაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავაცნობიეროთ, რა არის დროული. ილია ჭავჭავაძისდროინდელი კულტურის ცნება, როგორც ჩანს გაუფერულდა. თუ კულტურა თავდაპირველად უმაღლეს პიროვნულ ღირებულებებს გულისხმობდა, დღეს იგი ყოველდღიურობასთანაა გაიგივებული. დღეს ჩვენ ერთი და იგივე გაცვეთილი ფრაზებით ვსაუბრობთ როგორც მცენარეთა კულტურაზე, ასევე მასების, ჭამის თუ მე-18 მე-19 საუკუნის განათლების კულტურაზე. ზოგიერთ ჩვენს თანამედროვეს კულტურის ცნებასთან საბოლოო გამომშვიდობებაც კი უპრიანად მიაჩნია, როგორც ეს 85 წლის დავოსში მარტინ ჰაიდეგერს მიაჩნდა. მან კულტურის საპირისპიროდ მაშინდელი თავისი ოპონენტის ერნსტ კასიერთან დისკუსიაში „არსებობა სიკვდილისთვის“ („შეინ ზუმ თოდ“) გამოაცხადა.

დღევანდელი ლინეარული, „წინსვლის ცნობიერებით“ შეპყრობილი წარმოდგენების გამო რთულდება ილია ჭავჭავაძის თავდაპირველ იდეებთან ჩაჭიდება. ლინეალურ-ქრონოლოგიური დრო და მითიური დრო ერთმანეთისაგან გამიჯნულია და აქ იკარგება შემოქმედებითობისათვის საჭირო თავისუფლება. საჭიროა ის ახალი აზროვნება, რომელიც ადამიანს სხვადასხვა დროების აწმყოში გაცნობიერებულ აღქმის უნარს აღმოაჩენინებს. ეს ნაწილობრივ ჯერჯერობით მხოლოდ ხელოვნებაში განხორციელდა. პოსტმოდერნისტული კულტურა უნდა განვიხილოთ, როგორც სხვადასხვა დროების „ხმის გაწყობა“, შემოქმედებითი „დროისგან გათავისუფლება“ და არა შინაარსდაცლილი სიმულტანობა (ჟან გებსნერი). ამდენად საჭიროა აწმყოში გავიაზროთ მითი დაგვიანებით მოსული ქართველების შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი თავიანთი პოლიფონიური სიმღერით ღვთის სასუფეველში ხვდებიან.

ვფიქრობ, ბოლო ფრაზა განსაკუთრებით საინტერესოა გებსნერის და ქართული პოლიფონიის ურთიერთმიმართებისა და ყველასათვის ცნობილი ქართული მითის, დედამიწაზე მიწების დანაწილების შესახებ. ალბათ გებსნერის ნაზრევი დროის შესახებ, მისი „ინტეგრალური აზროვნება“ სწორედ ერთ-ერთი მეთოდია 21-ე საუკუნის ადამიანისათვის. მე მგონი, გებსნერის „გამოთავისუფლებული დრო“ არც საქართველოშია პოპულარული და იმედი მაქვს მომავალში ამაზე საუბარს გავაგრძელებთ. საქართველოში მიმდინარე დისკუსიებშიც ერთ-ერთი თემა სწორედ „ქართველების დაგვიანება“. მხოლოდ იქ ეს უარყოფითი კონტექსტით არის გაგებული, რაც სხვა მიზეზებთან ერთად საზოგადოების ნიჰილიზმს იწვევს. ამას რასაკვირველია ბევრი მიზეზი გააჩნია და გარკვეულწილად მართებული მიზეზებიც, მაგრამ ალბათ სწორედ ისეთი „პოზიტიური შემობრუნებებია“ საინტე-

რესო, როგორსაც შენ გულისხმობ. მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რაც საქართველოს აქვს, ამ „დაგვიანებულობით" მას პირველობის დიდი შანსიც გააჩნია, თუ ის შეძლებს, როგორც ფილოსოფოსი იტყოდა, ამ ახალ აზროვნებაში „ჩავარდნას". ვფიქრობ, ეს რაიმე ფუყე ოცნება კი არ არის, არამედ სწორედ ჩვენი პლანეტის დღევანდელობის გამოწვევაა. და რა პარადოქსადაც არ უნდა ჟღერდეს, თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს, ეს პირველ რიგში საქართველოშია შესაძლებელი. ახლა ჩვენი საუბარი გავაგრძელოთ, – როდესაც აწმყოში გააზრებაზე საუბრობ, სად შეგვიძლია ჩვენ „დროის გათავისუფლება", რომელიც კულტურას, ყოფას, ე.ი. მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთადროულად დაგვანახებდა? ეს იდეა, რომელიც გებსნერის გარდა სხვა მეცნიერებსაც საინტერესოდ აქვთ გააზრებული დღემდე „ხელუხლებელია". მას ხომ ფორმირება სჭირდება?

ბერძნული სიტყვა ტოპოსი სივრცესა და თემას აღნიშნავს. კოსმიური დროის მარადიულობა, ისტორიული დრო და ინდივიდუალურად განცდილი დრო ინდუსტრიალიზაციის შემდგომ, მოდერნიზმში ერთმანეთისაგან დაცალკევდნენ. სწორხაზოვანი დროის საპირისპიროდ, კულტურა არის ის მოპოვებული სივრცე, რომელიც ახლიდან გარითმვას საჭიროებს. ფორმების კონტური გაწონასწორებული მოქმედებებით უნდა იყოს შენარჩუნებული. კულტურა არის პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად აღქმას ემსახურება, რომელიც ტაქტის შეგრძნებაზე და საარსებო ატმოსფეროს შევსებაზეა დამოკიდებული. „აჩქარებულ უძრაობაში" (Paul Virilio) აღარ არსებობენ განცდილი ფიგურები, არც სახეები და ამდენად არც შეხვედრები. დედამიწის თითოეული ინდივიდი საკუთარი თემით სამყაროს შუაგულს წარმოადგენს.

რომელიმე ინდივიდისთვის, როგორც შენ ამბობ, „სამყაროს შუაგული" ადგილის მიჩენა არაფერს გვაძლევს, რაც არ უნდა ლამაზი იყოს ეს ადგილი, თუ არ არის სოლიდარობა, თანაც ისეთი, რომელიც რაიმე დაჯგუფების საზღვრებს თავს დააღწევდა და გაზიარებული იქნებოდა. თუ ხელოვანი თავისი შემოქმედებით მიგვანიშნებს ახალ საზღვრებზე და აზროვნებაზე, მისი კულტურული გარემო, სწორედ ის ადგილი, რისგანაც ის თავის დაღწევას ცდილობს, იმდენად ჰომოგენური უნდა იყოს, რომ მისმა „კულტურიდან გასვლამ" სოციუმში ახალი თვისობრიობების უკან შემოტანა შეძლოს. აქ ალბათ კვლავ მეცნიერებისა და განათლების პედაგოგიურ როლსა და უნარზე უნდა ვისაუბროთ, რასაც ზემოთხსენებული გებსნერი „ინტეგრალურ აზროვნებას" უწოდებს.



დროის ახალი სივრცე მხოლოდ შემოქმედებით წამსა და ჩვეულებათა შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომელიც რაციონალური წინსვლის ცნობიერების საპირისპიროდ, თუმცა ასევე მითოლოგიურ მარადჟამობასთან მიმართებაში, ტრადიციის გაცნობიერებული რეაბილიტაციით ჩნდება.

დიალოგი, სადაც სხვების თემაც წარმოჩინდებოდა, დღესდღეობით ახალ სივრცობრივ დროს, „ქრონოტოპოსს" (ა.უხტომსკი) მოითხოვს. აქ თანამედროვე სინქრონული ინტერაქტიული ტექნოლოგიები ისე უნდა გამოიყენებოდეს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა სამყაროს შვილად იგრძნოს თავი. აჩქარებული გლობალური ელექტრონული კომუნიკაცია ხშირად არ ემთხვევა ბიოლოგიურ რიტმებს. ილიასეული „სამოთხის გასაღები", საყოველთაო ადამიანური ეკოლოგია და მისი შესატყვისი პოლიტიკური პრაქტიკაა.

პოლიტიკური პრაქტიკა, რასაც შენ ახსენებ, დღემდე ამ აზროვნების სამსახურში არ ჩამდგარა, ამიტომ ალბათ საზოგადოებამ თავად უნდა სცადოს ასეთ გზაზე დადგომა. დღეისთვის საამისოდ საკმარისადაა შემოთავაზებული ბევრი საინტერესო პრაქტიკული მოდელი, ცოდნა, თეორიული საფუძვლები. თუნდაც შენ მიერ ნახსენები ალექსეი უხტომსკი თვალსაწიერის გაზრდისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია და მას უკვე თითქმის 100 წელია ვიცნობთ. ერთ-ერთი ასეთი შემოთავაზება ჩვენი თანამედროვე ფილოსოფოს გივი მარგველაშვილისგანაც არის ასათვისებელი: ადამიანი, როგორც – ბიბლიო-ბიოლოგიური არსება. ბიოლოგიაზე მინიშნებით, ჩემი აზრით, სწორედ სოციუმში ადამიანსა და პარლამენტს, ადამიანსა და საზოგადოებას შორის სათანადო პრაქტიკულ ქმედებაზეა ხაზგასმა. ნებისმიერი შედარება ბიოლოგიურ სამყაროსთან, ჭიანჭველები, მგლები თუ სხვ. კარგად გვიჩვენებს სწორედ ამ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მოდელს. ამ ყველაფრის ერთად გააზრება, თუნდაც მათი გაცნობა, ალბათ დიდი ნაბიჯი იქნება ცნობიერების გაფართოებისათვის. ხელოვნებაში ამის ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ალბათ ცალკე დარჩენილი მეცნიერების გამო ის საზოგადოების ცნობიერების ნიშნულამდე ვერ აღწევს. ეს დღევანდელი დასავლური მეცნიერებების მთავარი პრობლემაა.

დროის ახალი სივრცე მხოლოდ შემოქმედებით წამსა და ჩვეულებათა შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს, რომელიც რაციონალური წინსვლის ცნობიერების საპირისპიროდ, თუმცა ასევე მითოლოგიურ მარადჟამობასთან მიმართებაში, ტრადიციის გაცნობიერებული რეაბილიტაციით ჩნდება. ტრადიცია გამუდმებული ძალისხმევაა გამყარებისა და გაზიარების მოდუსით. მხოლოდ ასეა შესაძლებელი ახალ სივრცობრივ დროში სოციალური სხეულების ფორმირება, რომელთა ძარღვებში სიყვარულის ენა ფეთქავს.

ესაუბრა მარიკა ლაფაური-ბურკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პავილიონი, ვენეციის ბიენალე 2013 წელი

დაივიწყეთ ვენესია!

დავით ბუხრიკიძე

დანიის პრინცისა არ იყოს, „ცუდ ამბებს ვხედავთ"... და უარესს უნდა ველოდოთ – ამჯერად, ჩვენი ნათელი არტის ბნელ დერეფნებში. როგორც გაირკვა, 2014 წელს ვენეციის ცნობილ არტბიენალეზე საქართველო ოფიციალურად მონაწილეობას არ მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ გაიხსნება მუდმივმოქმედი პავილიონი, არტკურატორები არ დანიშნავენ საქართველოს დღეს, ჩვენი ქვეყანა ვერ მოხვდება სპეციალურ საინფორმაციო თუ სახელოვნებო კატალოგებში და, რაც მთავარია, ჯადოსნურ „ჯარდინიმდე" წლების განმავლობაში გაკვალური არტბილიკი საინფორმაციო უღრანში ჩაიკარგება.

კულტურის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია ასეთია: პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ, არტკრიტიკოსმა და კურატორმა ხათუნა ხაბულიანმა თანადაფინანსება ვერ მოიპოვა. თავად პროექტის ავტორის, ხათუნა ხაბულიანის თქმით კი, სამინისტროს უბრალოდ ვენეციის ბიენალეზე მონაწილეობის მიღება რატომღაც არ სურს და უარისთვის მხოლოდ ფორმალურ მიზეზს ასახელებს.

ხათუნა ხაბულიანი: „ვერ მივხვდი რა გახდა პროექტის ჩაშლის მიზეზი. თავიდან კულტურის სამინისტრო ნამდვილად აპირებდა ბიენალეზე მონაწილეობას და კონკურსიც გამოაცხადა. გადაწყდა ორი პროექტის გაერთიანება: კურატორ კატარინა შტადლერის თბილისი Insights და ჩემი – transforming Georgia. ჩემი პროექტიდან აიღეს ფასადის ნაწილი. ინტერიერში მეორე პროექტიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, უფრო კვლევით-კომუნიკაციური ფორმის. გასულ წელს ვე-

ნეციის ბიენალეზე მნიშვნელოვან ფაქტორად რჩებოდა საქართველოს მიერ წარმოდგენილი პროექტი „კამიკაძე ლოჯია“, რომელიც პავილიონის როლს ისევ შეასრულებდა. პირადად მე ნეიტრალურ სივრცეში უფრო მაინტერესებდა მუშაობა, მაგრამ არჩევნამდე საქმე არ მისულა.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს გააზრებული რა ამბიცია გვაქვს და რა პროდუქციას წარვადგენთ. შეიძლება უბრალოდ მიიღო მონაწილეობა ბიენალეზე და წარდგე როგორც, მხოლოდ ეგზოტიკური ქვეყანა; ან სხვა შემთხვევაში აჩვენო, რომ აქტუალური პროცესების თანამონაწილე ხარ ხელოვნებაში, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო პროცესებს ეხმიანება...“

პროექტს მარინა მიზანდარი ხელმძღვანელობდა, თუმცა მისი გათავისუფლების შემდეგ სამუშაო სხვებს უნდა გაეგრძელებინათ. სავარაუდოდ, სწორედ ამ ადმინისტრაციულ ცვლილებებსა თუ „ძიძგილაობას“ შეეწირა უკვე ფინანსურად დამტკიცებული პროექტი. ასეა თუ ისე, დედლაინის ვადა ამოიწურა და, როგორც ვენეციის მუდმივი ექსპოზიციის წევრი, 2014 წელს ვენეციის ბიენალეზე საქართველო მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. თუმცა იმავე პერიოდში არსებობს ე.წ. თანმდევი გამოფენებიც, რაც უფრო კომერციულ პროექტებსა და გამოფენებს უკავშირდება და იქ ნებისმიერ არტისტს შეუძლია პროექტის წარდგენა. ეს ცხადია, საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა.

ხათუნა ხაბულიანის პროექტი საქართველოში მიმდინარე არქიტექტურული განვითარების ტენდენციებს ასახავდა. გასულ წელს, ვენეციაში აგებული პავილიონი სახელწოდებით „კამიკაძე ლოჯია“ (რომელიც ბიენალეზე საქართველოს წარმოადგენდა), მხოლოდ ნაწილობრივ შეიცვლებოდა – გარედან შეიმინებოდა. ამით შეიქმნებოდა ერთგვარი ექსტერიერი, რომელიც 21-ე საუკუნის ქართულ ურბანულ არქიტექტურაში დამკვიდრებული „აკვარიუმის შენობების“, ანუ მინის არქიტექტურისადმი ჯანსაღ ირონიას და გასაგებ „მწკლარტე“ რეფლექსიას ერთდროულად გამოხატავდა.

დონორობას ასევე ნიუ-იორკში მდებარე გალერეა Leonardos Arts-იც დასთანხმდა, სადაც პროექტის ერთ-ერთი მონაწილე ლევან მინდიაშვილი მუშაობს. ბიენელეზე წარმოდგენილ ინტერიერს სწორედ მხატვარ ლევან მინდიაშვილის მიერ შექმნილი ურბანული არქიტექტურის მოტივები უნდა გაეერთიანებინა, რომლის ცენტრალური ელემენტი ფრესკაა. მასზე ნარიყალას ციხე და ძველი თბილისია გამოსახული, რომელიც თბილისის უძველესი ფოტოების მიხედვითაა შექმნილი.

თანადაფინანსების შესახებ წერილი ხაბულიანმა სამინისტროში დიდი ხნით ადრე წარადგინა, თუმცა მარტის დასაწყისში (როცა უკვე მარინა მიზანდარის თანამდებობიდან გათავისუფლება გარკვეული იყო) სამინისტრომ მოულოდნელად უარი განაცხადა პროექტის დაფინანსებაზე. მთავარი მიზეზი სამინისტროსა და მის მიერ შექმნილ შესარჩევ კომისიას შორის შეუთანხმებლობაა. საქმე ისაა, რომ კომისიას სამინისტროსგან მიცემული ჰქონდა დასტური, რომლის მიხედვითაც რამდენიმე პროექტის შერჩევა შეეძლო. გამარჯვებულად კატარინა შტადლერის პროექტი დაასახელეს, რომელსაც სხვა კურატორებთან უნდა ეთანამშრომლა და ბიენალეზე საერთო პროექტით წარმდგარიყო.

თუმცა სხვადასხვა ავტორების ერთად თავმოყრასა და ამგვარ „სიმბიოზურ პროექტებს“ თავად ვენეციის ბიენალეს კონცეფცია ეწინააღმდეგება. თანამედროვე ხელოვნების ამ უდიდეს არტფორუმზე ქვეყანამ მხოლოდ ერთი პროექტი უნდა წარმოადგინოს, და არა რამდენიმე. წარდგენილი პროექტი ექვსი თვის განმავლობაში ბიენალეს პავილიონებსა თუ ღია სივცეში დარჩება. ხათუნა ხაბულიანი აღნიშნავს, რომ კომისიის მუშაობაში იყო „გაუთვალისწინებელი და წინააღმდეგობრივი მომენტებიც, რამაც კრიზისული სიტუაცია შექმნა“.

რა მიზეზებიც არ უნდა ითქვას, ფაქტია – კულტურის სამინისტრომ ვერ მოახერხა წარმოდგენილ ვადებში ჩატევა და ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოუწია მუშაობა. თუმცა პროექტების წარდგენის ყველა ვადა მაინც გადაცილებულია, განაცხადის მიღება კი – დასრულებული. ასე, რომ 2014 წელს ვერანაირი „კამიკაძე“ და ვერც ერთი გამძლე „ლოჯია“ ვერ მიეხმარება საქართველოს, ვენეციის ბიენალეზე ოფიციალურად წარადგინოს პროექტები.

ვენეციის წლევანდელი ბიენალეს თემაა არქიტექტურა, რომლის სექცია პირველად 1980 წელს ჩამოყალიბდა. ურბანული არქიტექტურის განვითარება და ტენდენციების წარმოჩენა ჩვენთვის მაინც მიუღწეველი აღმოჩნდა – ჩვენივე უთავბოლობის გამო. ასე რომ, ფრანკო ბრუზატის ფილმისა არ იყოს, ვენეცია ერთი წლით მაინც უნდა დავივიწყოთ.

■ მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ გვაქვს გააზრებული რა ამბიცია გვაქვს და რა პროდუქციას წარვადგენთ. შეიძლება უბრალოდ მიიღო მონაწილეობა ბიენალეზე და წარდგე როგორც, მხოლოდ ეგზოტიკური ქვეყანა; ან სხვა შემთხვევაში აჩვენო, რომ აქტუალური პროცესების თანამონაწილე ხარ ხელოვნებაში, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო პროცესებს ეხმიანება...“

ტრუსები ჭანა დარჩისათვის

პაველ პრიაჟკოს სკანდალური პიესა „ტრუსები“, რომელიც სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დაიდგა, ერთგვარი ტესტია საზოგადოებაში ტაბუირებული თემების „გასაზომად“.

დავით ბუხრიკიძე

როცა ადამიანები ფსიქიკის მოსაწესრიგებლად მარკებს, მონეტებს, მცენარეებს, ან ნიჟარებს აგროვებენ, ეს არავის უკვირს. მათ კოლექციონერებს უწოდებენ და რაღაც უცნაური მოწიწებითაც კი ეპყრობიან. მაგრამ ვინმემ ტრუსების შეგროვება რომ დაიწყოს და მთელი სახლი ქალისა და მამაკაცის ფერადი ტრუსებით მორთოს, ალბათ ეს მთელი საზოგადოების განსჯის საგანი გახდება. უფრო „ფაქიზად“ და ფსიქოლოგიურად რომ ვთქვათ, პიროვნების ინტიმურ-ფეტიშისტურ მიდრეკილებებს ჩვენ აშკარა გამოწვევად აღვიქვამთ მაშინ, როცა ათასობით მკვდარი პეპლის, თუ გამხმარი მცენარეების წიგნებში ჩაკვრა ლამის მეცნიერულ მიდრეკილებად აღიქმება.

შეჩვეული არტისტული, კინო თუ თეატრალური სკანდალების ფონზეც სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრში დადგმული ახალი სპექტაკლი სახელწოდებით „ტრუსები“ გარკვეულ სკანდალურ-საავდრო

მოლოდინს მაინც აღძრავდა. პრემიერა მარტში გაიმართა და წარმოდგენამ თეატრალებს შორის – აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო მაყურებლის ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია...

პრინციპში მესმის. ძნელია გლდანის სახელოვანი საშაურმის გვერდით სულ რაღაც 200-300 მეტრში მდებარე თეატრში ასობით ნიფხავის შემგროვებელ ქერა გოგონას გულგრილად უყურო... განსაკუთრებით მძიმე მარხვაში... ამდენად, მაქმანებით გაწყობილი წითელი ტრუსების შეძენა ფარისეველი, სასტიკი და შურისმაძიებელი საზოგადოების ფონზე, ლამის თავისუფლების პიროვნულ გამოვლინებად აღიქმება.

ევროპაში უკვე კარგად ცნობილი ბელორუსი დრამატურგის, პაველ პრიაჟკოს პიესა „ტრუსები“ ახმეტელის თეატრის სცენაზე, საგანგებოდ მოწვეულმა ესტონელმა რეჟისორმა კალევ კუდუმ რეკორდულად მოკლე დროში – 25 დღეში დადგა! ისიც აღსანიშნავია, რომ პიესა საქართველოში პირველად იდგმება. თამამი, გამომწვევი, სკანდალური და, ამავე დროს, მძაფრად სოციალური – ასეთია პაველ პრიაჟკოს ტექსტი, რომლის სცენურ ინტერპრეტაციას გასულ წელს (მინსკის საერთაშორისო ახალგაზრდული თეატრების ფესტივალი) დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. სწორედ „ტრუსებმა“ მოუტანა რეჟისორ კალევ კუდუს ტარტუს დრამატულ სტუდიაში პირველი დიდი წარმატება. ასე რომ, ახმეტელის თეატრში მოწვეულ რეჟისორს „ტრუსებში“ ხელი უკვე გაწაფული ჰქონდა, რამაც ქართველ მსახიობებთან მუშაობა გაუიოლა.

მომხიბვლელი, სექსუალური, ბავშვური, ოდნავ ქარაფშუტა და მარტოსული ნინა პროვინციულ ქალაქში ცხოვრობს და უზეიულო გატაცება აქვს: ტრუსების შეგროვებითაა დაკავებული. ცხადია, ეს სასტიკ და შიშებით შეპყრობილ საზოგადოებაში „სიგიჟედ“ და „ბოზობად“ აღიქმება. ნინა ბავშვური გულწფელობითა და ინფანტილურობით გამოირჩევა, თუმცა მას ლამის კეთროვანივით უფრთხის მთელი ქალაქი. მას ყველა ერჩის: მუდმივად აღგზნებული პოლიციელი, გარდაცვლილი მამის ლოთი მეგობრები, ინტერნეტით გაცნობილი მატყუარა „შეყვარებული“, შურიანი და ჭორიკანა ქალები... საბოლოოდ, ტრუსების შემგროვებელ, სიყვარულში იმედგაცრუებულ ნინას, ჟანა დარკივით კოცონზე წვავენ.

სკეპტიკურად განწყობილი მაყურებელი იფიქრებს, რომ ამგვარი ფინალი პოსტმოდერნისტი დრამატურგის „დასახიჩრებული“ ფანტაზიის ნაყოფია; რომ ამგვარი ნინები ჩვენს სინამდვილეში ღამ-ღამობით ცირკის მიდამოებში დაეხეტებიან და სულაც არ აწუხებთ სულისა და სხეულის შეუთავსებლობის პრობლემები. მაგრამ სკეპტიკოსებს ისევ პაველ პრიაჟკოს პიესის ტექსტს, უფრო ზუსტად ნინას მონოლოგს შევახსენებთ, რომელიც დეკარტეს „ფსიქო-ფიზიკურ პარალელიზმზე“ საშიში ნამდვილად არ არის:

ნინა: „ღმერთო, გევედრები, გეხვეწები! არ მინდა მანქანა, არ მინდა ბინა, არაფერი შენგან არ მინდა... რა თქმა უნდა მინდა, მაგრამ ეს ისე ცოტაა, ისე პატარა... შენთვის არაფერია. დამიჯერე, ჩვენ ერთ ნავში ვსხედვართ, ყველა შეცდომებს ჩავდივართ, მაგრამ ასე რატომ მაწამებ ღმერთო? რისთვის დავიმსახურე, ამიხსენი? რა გავაკეთო, ღმერთო? ვილოცო? ჰო, ვილოცებ, ვიმარხულებ... თუ გინდა თავს გადავიპარსავ, ჭუჭყიან არხში ჩავწვები, ვინმეს ვუკბენ. ვიქნები მონა, ან თავადის ქალი. გავხდები რაც გსურს, ან ვინც გსურს, ოღონდ დამიბრუნე ყველაფერი, რაც გაქრა, რაც დაიკარგა. დამიჯერე, ამის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია“.

ნინას როლს მსახიობი სოფია სებისკვერაძე ასრულებს, რომელიც გიორგი ლიფონავას ფილმის „ჭამა და სექსის“ შემდეგ იმდენად პოპულარულია ახალგაზრდებს შორის, რომ ჟურნალისტებმა და კრიტიკოსებმა მას „ქართველი მერილინ მონროც“ კი შეარქვეს. ვერ ვიტყვით, რომ მისი თამაში განსაკუთრებით საინტერესოა და დრამატული კონტრასტებით გამოირჩევა. არც მისი „კოცონზე ასვლაა“ დამაჯერებელი. შესაძლოა იმიტომ, რომ რეჟისორი უფრო გროტესკულ ფორმაზე გადაერთო და ნაკლებად მოიცალა პიესის დრამატული ქვეტექსტების ამოსახსნელად. არადა პიესაში სწორედ ესაა მთავარი – როგორ და რატომ იქცა პროვინციულ რუსულ ქალაქში მცხოვრები ფეტიშისტი გოგონა თანამედროვე ჟანა დარკად. და ეს მთავარი ამოცანა სპექტაკლში ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა.

გაცილებით სახალისო სანახავია მრავალი ფერადი ტრუსით გაფორმებული სცენა (მხატვრობა და სცენოგრაფია თავად რეჟისორს ეკუთვნის), რომელმაც პურიტანი მაყურებელი გააღიზიანა. სამაგიეროდ, ეს-

■ სკეპტიკურად განწყობილი მაყურებელი იფიქრებს, რომ ამგვარი ფინალი პოსტმოდერნისტი დრამატურგის „დასახიჩრებული“ ფანტაზიის ნაყოფია; რომ ამგვარი ნინები ჩვენს სინამდვილეში ღამ-ღამობით ცირკის მიდამოებში დაეხეტებიან და სულაც არ აწუხებთ სულისა და სხეულის შეუთავსებლობის პრობლემები.

■ **რეჟისორი უფრო გროტესკულ ფორმაზე გადაერთო და ნაკლებად მოიცალა პიესის დრამატული ქვეტექსტების ამოსახსნელად. არადა პიესაში სწორედ ესაა მთავარი - როგორ და რატომ იქცა პროვინციულ რუსულ ქალაქში მცხოვრები ფეტიშისტი გოგონა თანამედროვე ჟანა დარკად.**

თეტიკურად აღაგზნო სიახლის მხარდამჭერები, რომელთა რაოდენობაც, სიმართლე რომ ვთქვათ, შედარებით მცირე აღმოჩნდა. უნდა აღინიშნოს საშუალო თაობის მსახიობების გარჯაც: ალეკო ალავიძე, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი. თუმცა არც ახალგაზრდები აშავებენ – გიორგი მიგრიაული, გიორგი ჭუმბურიძე, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური.

სხვათა შორის, თეატრის დირექციამ მოსალოდნელი სკანდალის თავიდან ასაცილებლად (თუ რეკლამისათვის) წინასწარ ზომები უკვე მიიღო, ამიტომაც აფიშაზე გაჩნდა წარწერა: სპექტაკლზე არასრულწლოვანი მაყურებელი არ დაიშვება! ასე რომ, ნინას სამზარეულოში „მოჩურჩულე ტრუსების“ სცენას თეატრში მისული მაყურებელი „გაგებით უნდა მოეკიდოს“, ისევე როგორც, ტრუსებისადმი ფაშისტურ, უცნაურ-პოეტურ დამოკიდებულებას... თუ გვინდა, რომ პიესაში წარმოჩენილ პროვინციულ ქალაქს არ დავემსგავსოთ და თუნდაც ძალიან უცნაური, ძალიან უდისციპლინო და ფეტიშისტი გოგოები სადმე, გლდანის საშაურმის გადაღმა, კოცონზე არ დავწვათ.

ორიოდე სიტყვით თავად რეჟისორის შესახებ: კალევ კუდუ რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგია. დაამთავრა ტალინის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მანამდე სწავლობდა ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის არაერთი თეატრალური ჯილდოს მფლობელი. ესტონეთში დაარსებული აქვს ახალგაზრდული თეატრი THEATRE & ZERO THEATER. იყო ახალგაზრდა თეატრალური ჯგუფის, „GEOUP – 80“-ის მსახიობი და რეჟისორი. დააარსა ერთი მსახიობის თეატრი, მოგვიანებით – ტარტუს სტუდენტური თეატრი, რომლის დირექტორი, მსახიობი და რეჟისორი წლების განმავლობაში თავად იყო.

მიმდინარე თეატრალურ სეზონში ეს უკვე მეორე საერთაშორისო თეატრალური კოპროდუქციაა, რომელსაც ახმეტელის თეატრი ახორციელებს. გასული წლის დეკემბერში პოლონელმა რეჟისორმა, დარიუშ ეზერსკიმ სლავომირ მროჟეკის პიესა „პოლიცია“ დადგა. მაისში კი რეჟისორი ირაკლი გოგია თანამედროვე ავსტრიელი დრამატურგის, არანაკლებ სკანდალური ინგრიდ ლაუზუნდის პიესას „უხერხემლოებს“ დადგამს.

პაველ პრიაჟკოს „ტრუსები“ თანამედროვე ჟანა დარკების კოლექციიდან მხოლოდ „გამხრწნელი“ დასავლეთის აღმოსავლეთ-ევროპული ხედია. წარმოიდგინეთ უკვე ლაუზუნდის „ხედებით“ მოხიბლულთა ხმაური და მძვინვარება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



WWW.LIBERALI.GE

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

გვიპოვეთ სოციალურ ქსელზე

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine